CHRISTIANITY: PAST, PRESENT, FUTURE

ХРИСТИАНСТВО: ПРОШЛОЕ, НАСТОЯЩЕЕ, БУДУЩЕЕ

ეროვნული ბიბლიოთეკა

K 20 420 / 4

ქრისტიანოგა

წარსული, აწმყო, მომავალი

ეროვნული ბიბლიოთეკა



სპეც-2000
ამანაგამებული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Patriarchate of Georgia
The Javakhishvili Institute of History and Ethnology, Georgian Academy of Sciences
NGO Fund "Udabno"

International Symposium

CHRISTIANITY: PAST, PRESENT, FUTURE

October 11-17, 2000
Tbilisi, Georgia

Short contents of the papers

Edited by MARY CHKHARTISHVILI and LADO MIRIANASHVILI

Mematiane
Tbilisi
2000

Патриархия Грузии
Институт истории и этнологии им. И. Джавахишвили Академии наук Грузии
Неправительственная общественная Организация Фонд "Удабно"

Международный симпозиум

ХРИСТИАНСТВО: ПРОШЛОЕ, НАСТОЯЩЕЕ, БУДУЩЕЕ

11-17 октября, 2000
Тбилиси, Грузия

Краткие содержания докладов

Под редакцией МАРИИ ЧХАРТИШВИЛИ и ЛАДО МИРИАНАШВИЛИ

Мематиане
Тбилиси
2000

საქართველოს საპატრიარქო
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
არასამთავრობო ორგანიზაცია ფონდი „უდაბნო“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საერთაშორისო სიმპოზიუმი

ქრისტიანობა: წარსული, აწმყო, მომავალი

2000 წლის 11-17 ოქტომბერი
თბილისი, საქართველო

მოხსენებათა მოკლე შინაარსები

რედაქტორები მარიამ ჩხარტიშვილი და ლადო მირიანაშვილი

მემატიანე
თბილისი
2000

22/28 (479.22)
ქრისტიანობა საქართველოში

ББК 86.37

УДК 23/28

ქ 732

კრებულში დაბეჭდილია საერთაშორისო სიმპოზიუმის „ქრისტიანობა: წარსული, აწმყო, მომავალი“ მონაწილეთა მოხსენებების მოკლე შინაარსები. ისტორიული, ისტორიოგრაფიული, წყაროთმცოდნეობითი, ეთნოლოგიური, ლიტერატურათმცოდნეობითი, მეცნიერებათმცოდნეობითი, ხელოვნებათმცოდნეობითი, ფილოსოფიური, სამართალმცოდნეობითი კუთხით გაშუქებულია სამი გლობალური პრობლემა: ქრისტიანობა და სახელმწიფო, ქრისტიანობა და საზოგადოება, ქრისტიანობა და კულტურა.

კრებული განკუთვნილია სპეციალისტების, აგრეთვე ჰუმანიტარული კვლევებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

კრებული გამოსაცემად მომზადდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის გამომცემლობაში „მემატიანე“

გამომცემლობის მთავარი რედაქტორი: თამაზ ჭყონია

კომპიუტერული უზრუნველყოფა: მარიამ ბუტიკაშვილი
ანა რუაძე
ნინო ხუციშვილი

გარეკანზე: ღვთისმშობელი ჩვილით. გელათის მოზაიკა. ფრაგმენტი. XII ს.

ქ---27---
2000

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორებისაგან

საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ქვეყანაა. ახალი რწმენის პირველი მქადაგებლები აქ ხომ ქრისტეს უშუალო მოწაფეები - წმინდა მოციქულები იყვნენ. უკვე IV ს. I ნახევარში ქრისტიანობა ქართული სახელმწიფოს იდეოლოგიაა. ქრისტიანობა გახდა ქართული კულტურის ენა. ქრისტიანობის დაცვით ქართველი თავს იცავდა მოზღვავებული მტრისაგან და ამით გადარჩა კიდეც.

მაცხოვრის მოვლინება ქვეყნად კაცობრიული ისტორიის ყველაზე საკრალური ფაქტია. ამიტომაა, რომ ქრისტეშობის ოცსაუკუნოვანი იუბილე, რომელიც მიმდინარე წელს მოდის, ყოველ ქრისტიან ერში და რა თქმა უნდა, ქართველ ერშიც აღძრავს ამაღლებულ გრძნობას.

მიუხედავად დღეს ჩვენს ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური და ეკონომიკური ვითარებისა, ყველა ქართველი, ერი თუ ბერი, შეძლებისდაგვარად ცდილობს პატივი მიაგოს ამ უბრწყინვალეს თარიღს. საერთაშორისო სიმპოზიუმი „ქრისტიანობა: წარსული, აწმყო, მომავალი", რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, საქართველოს საპატრიარქოსა და არასამთავრობო ორგანიზაცია ფონდ „უდაბნოს" ეგიდით ტარდება, სწორედ ამ რიგის ღონისძიებათაგანია. მისი მიზანია საერო და სასულიერო მეცნიერთა, საზოგადოების ფართო ფენების წარმომადგენელთა მონაწილეობით განიხილოს ქრისტეს ეკლესიის ისტორია, მისი მდგომარეობა და როლი თანამედროვე საზოგადოებაში, მისი პერსპექტივები მერმისში.

სიმპოზიუმის საორგანიზაციო კომიტეტმა სამეცნიერო წრეებს შესთავაზა სამი გლობალური პრობლემა: ქრისტიანობა და სახელმწიფო, ქრისტიანობა და საზოგადოება, ქრისტიანობა და კულტურა. მონაწილეობის სურვილი გამოთქვა მრავალმა სპეციალისტმა საქართველოს თითქმის ყველა შესაბამისი პროფილის კვლევითი დაწესებულებიდან, აგრეთვე, რიგი საზღვარგარეთული ცენტრებიდან. მოხსენებების სათაურებისათვის თვალის გადავლებაც კი ცხადყოფს, რომ თავი მოიყარა სხვადასხვა დისციპლინის (ისტორიული, ისტორიოგრაფიული, წყაროთმცოდნეობითი, ეთნოლოგიური, ლიტერატურათმცოდნეობითი, სამართალმცოდნეობითი, მეცნიერებათმცოდნეობითი, ხელოვნებათმცოდნეობითი, ფილოსოფიური ხასიათის) მასალამ, რაც პრობლემების უფართოეს კონტექსტში განხილვის საშუალებას იძლევა. მიუხედავად ამ მრავალრიცხოვნებისა, ცხადია, ეს ყველაფერი მაინც ზღვაში წვეთია საქართველოსა, თუ მსოფლიოს მასშტაბით ქრისტიანული კვლევების მთელ მოცულობასთან შედარებით. მართალია, „მცირედი გვეძლევა მრავალთაგან", მაგრამ ზოგადი მდგომარეობის წარმოდგენას ეს გარემოება ხელს ვერ შეუშლის, რადგან „მდინარისა დიდისაჲ ტაკუკითა ერთითა იხილვების, თუ რაჲ გემოჲ აქუს".

მოხსენებათა მნიშვნელოვანი ნაწილი ინტერესს აღძრავს ერთდროულად რამდენიმე სამეცნიერო დარგის კუთხით. ამის გამო მიზანშეუწონლად ვცანით კრებულში მათი მოკლე შინაარსების დაჯგუფება რაიმე თემატური პრინციპით. ისინი ანბანური რიგით, ავტორთა გვარების მიხედვით არის წარმოდგენილი. აქ შეტანილია იმ მოხსენებათა სათაურებიც, რომელთა ავტორებმა წინასწარი რეგისტრაციის ფორმით დაადასტურეს სიმპოზიუმის მუშაობაში თავიანთი მონაწილეობის სურვილი, მაგრამ წინამდებარე კრებულის პუბლიკაციის დროისათვის მოკლე შინაარსების წარმოდგენა დაუგვიანდათ.

საერთაშორისო სიმპოზიუმებზე დანერგილი პრაქტიკის გათვალისწინებით საორგანიზაციო კომიტეტმა მოხსენებათა მოკლე შინაარსების წარმოდგენა მოითხოვა წინასწარ შემუშავებული წესის დაცვით, გადაღებისათვის მზა ფორმით, მაგრამ შემოსული მასალის მნიშვნელოვანი ნაწილი აღმოჩნდა ტექნიკური წუნით, რიგ შემთხვევაში აუცილებელი შეიქნა რედაქტორებს თავის თავზე აეღოთ ტექსტის სტილისტური დახვეწა და ზოგიერთი შინაარსობრივი უზუსტობის აღმოფხვრა. ჩვენ მიერ არის შესრულებული სიმპოზიუმის საზღვარგარეთელ მონაწილეთა მოხსენებების მოკლე შინაარსების თარგმანები ინგლისური და რუსული ენებიდან. თუმც რედაქტორებს ძალღონე არ დაუშურებიათ ყველაფერი საერთაშორისო სტანდარტების დონეზე ყოფილიყო, ხარვეზისაგან ცხადია, დაზღვეული არავინ შეიძლება იყოს. ყველა საქმიან შენიშვნას ისინი მიიღებენ მადლიერებით, მით უმეტეს, რომ მოხსენებების სრული ტექსტების დაბეჭდვაც არის გამიზნული.

სიმპოზიუმის სამუშაო ენების შესაბამისად, ქართული ვარიანტის პარალელურად გამოიცემა წინამდებარე კრებულის ინგლისური და რუსული ვარიანტები.

„ქრისტე-ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენც ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველოს გადავულოლეთ მკერდი და ამ მკერდზე, როგორც კლდეზე დავუდგით ქრისტიანობას საყდარი, ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად ჩვენი სისხლი“ - წერდა წმ. ილია მართალი.

ეს იყო წარსულში. აწმყოში და ალბათ მომავალშიც არც ქართველობას, არც სხვა რომელიმე ქრისტიან ერს, იმედი ვიქონიოთ, რომ ამგვარი მსხვერპლის ფასად აღარ მოუწევს რწმენის დაცვა. თუმც თავგანწირვისათვის მზაობა, მარადი მღვიძარება უცვლელი სულიერი მდგომარეობა უნდა იყოს ჭეშმარიტი ქრისტიანისათვის ყოველ ეპოქაში.

მარიამ ჩხარტიშვილი

ლადო მირიანაშვილი

თბილისი, 2000, 10 აგვისტო

"ღვთის კარის" სიმბოლიკის ადგილობრივი განზომილებისათვის ქართულ მართლმადიდებლურ ქრისტიანულ ტრადიციაში

ნინო აბაკელია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

ქრისტიანული სალოცავის კარი ("ღვთის კარი") სხვადასხვა და, ასევე, ერთსა და იგივე კულტურის ფარგლებში მნიშვნელოვნად განსხვავებულია, როგორც იკონოგრაფიული, ისე, კანონიკური გაფორმების და სხვა თვალსაზრისით.

ღვთის კარის, ისევე როგორც თვითონ სალოცავის, მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კავშირის დამყარება ორ სფეროსთან: საკულტოსთან (ამიერთან) და ღვთაებრივ (იმიერ) სფეროებთან.

ქართულ ტრადიციაში, ფუნქციებიდან გამომდინარე, "ღვთის კარი"-ს ადგილობრივ განზომილებას წარმოადგენს *ნიში* (ან მისი გამარტივებული სახე - *საკრალური ხე*) და *მარანი* (ან *ნიში-მარანი*).

მარნის სახელის სიმბოლიკა, მისი საკულტო, კოსმიური და მითოლოგიური განზომილებანი უშუალოდაა დაკავშირებული ღმერთის კონცეფციასთან. მარანში შესრულებული რიტუალის მითოლოგიზაცია მიიკვლევა საკულტო პოეზიაში, რომელშიც სამოთხის ნეტარი ხილვაა გადმოცემული.

ამგვარად, მარანი ადგილობრივი განზომილებით "გარღვევის" ადგილია (და ამ გაგებით ღვთის კარია), საიდანაც და რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება ჟამიდან უჟამობაში გადასვლა.

ქრისტიანული კომპლექსები ყირიმში როგორც ბერძნული მოსახლეობის რელიგიური ცხოვრების ნაშთი

მარიანა აბდულაევა

უკრაინის ისტორიის ინსტიტუტი
უკრაინის ეროვნული აკადემია
კიევი, უკრაინა

ადრექრისტიანული ქართლის (იბერიის) ეროვნული იკონოგრაფიის სათავეებთან

გურამ აბრამიშვილი

შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი
თბილისი, საქართველო

1.ეროვნული იკონოგრაფიის წარმოშობას ქვეყნის აღმავლობა აპირობებდა. ასეთ მნიშვნელოვან ტეხილად გამოდის ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება, რამაც ძირეულად შეცვალა ქვეყნის ორიენტაცია და კულტურის განვითარების გეზი. ამ ხანის

უძველესი ქანდაკებები შემოგვინახა ბოლნისის სიონმა, რომლის თემატიკაში ქართლის მოქცევის სიმბოლიკის იდენტიფიცირება არაერთი პრობლემის ახლებურად გააზრების რეალურ საფუძველს იძლეოდა. ბაზილიკის კაპიტელებზე, სამოთხის წიაღში სხვადასხვა მოძრაობაში გამოქანდაკებული ირმები (მორბენალი, ღონემიხდილი, ხის ნაყოფის ჭამით განკურნებული), მოქანდაკეებს ისეთივე თანმიმდევრობით გამოუსახავთ, როგორც აღწერილია „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ში და „ქართლის ცხოვრებაში". ეს სიმბოლიკა აისახა V ს. ქანდაკებებში (აკაურთა, ერწო, კაწარეთი, წოფი, დამბლუტისწყალი).

2.ქართული წერილობითი წყაროების ცნობით, ბოლნისის ეკლესია აუშენებიათ IV-V სს. მიჯნის იბერიის მეფეებს - ბაკურს (402-416) და ფარსმანს (416-420). ბოლნისის სიონის არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილი წარწერიანი არქიტრავის (ლ. მუსხელიშვილი) წაკითხვის და ნაკლული ადგილების აღდგენით (ა. შანიძე), ბაზილიკის მშენებლობა 479-494 წწ. განისაზღვრა და ირანის შაჰის-პეროზის სახელს დაუკავშირდა. ა. შანიძე – გ. ჩუბინაშვილის ეს თვალსაზრისი კრიტიკულად იქნა შეფასებული (ს. ს. კაკაბაძე, ბ. მჭედლიშვილი). ბოლნისის სიონის დეკორში ქართლის გაქრისტიანების თემის ჩართვა პეროზის პოზიციის გამომხატველად ვეღარაფრით ჩაითვლებოდა. რჩებოდა ერთადერთი გზა, მეტი ნდობა გამოგვეცხადებინა ქართული წერილობითი წყაროებისადმი.

3.ბოლნისის ეკლესიის მაშენებელ მეფეთაგან, მხოლოდ ბაკურს შესწევდა უნარი საფუძველი ჩაეყარა იკონოგრაფიისათვის. ბაკურს ჯერ კოლხეთის რიტორიკულ აკადემიაში მიუღია განათლება, შემდეგ ანტიოქიაში, ცნობილ ნეოპლატონიკოს ლიბანიოსთან გაუღრმავებია ცოდნა. ბაკურთან ერთად სწავლობდნენ გამოჩენილი საეკლესიო მამები: იოანე ოქროპირი, გრიგოლ ნაზიანზელი, ბასილ დიდი, გრიგოლ ნოსელი და სხვანი, რომელთა ეგზეგეტიკურმა მოღვაწეობამ დიდი როლი ითამაშა ბიზანტიის იკონოგრაფიის ფორმირებაში. ამდენად, „ფრიად სარწმუნო ბაკური", ყველა ნიშნით ეროვნული იკონოგრაფიის მესაძირკვლედ უნდა მივიჩნიოთ. ასეთი იდენტიფიკაცია იმასაც გულისხმობს, რომ ბაკური და ფარსმანი ყოფილან ბოლნისის ეკლესიის მაშენებლები.

ფილოსოფიური და რელიგიური თეოლოგია

სერგი ავალიანი

სავლე წერეთლის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

1. არსი სამი ძირითადი სფეროსაგან შედგება: რეალური არსი (მოვლენათა სამყარო), სპეციალურ არსებათა სამყარო და სუბსტანციური არსი. თითოეულ მათგანს ცოდნის გარკვეული დონე შეესაბამება: წინამეცნიერული, მეცნიერული და ფილოსოფიური, რომლებიც ერთმანეთისაგან ზოგადობისა და სიღრმის ხარისხით განსხვავდება. ფილოსოფია ("პირველი ფილოსოფია" ანუ ონტოლოგია) არის მეცნიერება არსის უზოგადესი და ულრმესი სფეროს - სუბსტანციური არსების – შესახებ.

2. სუბსტანციური არსება, რომელიც აბსოლუტურ არსს წარმოადგენს, რეალური არსის სფეროში, ანუ ბუ-ნებაში, როგორც მის შემოქმედებაში გამოვლინდება და მაშასადამე, შემეცნებადია. ეს ნიშნავს, რომ ფი-ლოსოფია არის მეცნიერება, ცოდნის დარგი.
3. სუბსტანციური არსება შეიძლება იყოს მხოლოდ იდეალური. მატერიალური სუბსტანცია შეუძლებელია იმის გამო, რომ მატერია ინერტულია, მოკლებულია შემოქმედების უნარს, რაც სუბსტანციის ერთ-ერთ ძირითად ნიშანს წარმოადგენს.
4. იდეალური სუბსტანცია, როგორც აბსოლუტური არსი, არის ღმერთი; ღმერთის შესახებ მოძღვრება კი არის თეოლოგია. ამ აზრით ონტოლოგია, როგორც "პირველი ფილოსოფია", არის თეოლოგია.
5. ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ფილოსოფიური და რელიგიური თეოლოგია; პირველი ცოდნის დარგია, ფილოსოფიური მეცნიერებაა, ცოდნის სისტემაა, მეორე კი რწმენის სფეროა. ფილოსოფიური თეოლოგია ღმერთის არსებობას ასაბუთებს რეალური არსის (ბუნების) კანონზომიერების შემეცნების პროცესში.
6. ღმერთის არსებობა უნდა დასაბუთდეს არა უსასრულო იდეის საფუძველზე, როგორც ამას ონტოლოგი-ური არგუმენტის დამცველები (ანსელმი, დეკარტი) ვარაუდობდნენ, არამედ მხოლოდ მისი შემოქმედების შემეცნების შედეგად. ღმერთი ბუნებაში, როგორც მის შემოქმედებაში, უნდა ამოვიკითხოთ (ლაიბნიცი, მაქს პლანკი, ბოხენსკი).
7. რელიგიური თეოლოგია, როგორც რწმენის სფერო, ემყარება ფილოსოფიურ თეოლოგიას, რომელიც აბ-სოლუტური არსის (ღმერთის) არსებობას მეცნიერულად ასაბუთებს. ათეიზმის წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ღმერთის არსებობის მეცნიერული დასაბუთების (შემეცნე-ბის) საფუძველზე, რომელიც მარტოოდენ ფილოსოფიური თეოლოგიის პროგრამატივას წარმოადგენს.
8. აქედან ცხადია, რომ ფილოსოფიური და რელიგიური თეოლოგია ანუ მეცნიერება და რელიგია ერთმა-ნეთს კი არ უპირისპირდება, არამედ „ავსებენ და განაპირობებენ ერთმანეთს" (მაქს პლანკი).

მცხეთის XI საუკუნის სვეტიცხოვლის ტაძრის სკულპტურული დეკორი და მისი თეოლოგიური პროგრამა

ნათელა ალადაშვილი

გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარმა, აგებულმა 1010-1029 წლებში მელქიზედეკ კათალიკოსის თაოსნობით ხუროთმოძღვარ არსუკისძეს მიერ, საუკუნეების მანძილზე არაერთი გადაკეთება განიცადა. ამის შედეგად მისი ფასადების შემამკობელი ზოგიერთი ფიგურული რელიეფის ადგილმდებარეობა შეცვლილია. ამის მიუხედავად, შესაძლებელია ტაძრის სკულპტურული დეკორის თავდაპირველი სისტემის და თეოლოგიური პროგრამის სავარაუდო აღდგენა. ეს რელიეფები თავის დროზე ერთიან ანსაბლს ქმნიდა.

თავდაპირველ ადგილზეა დასავლეთ ფასადის რელიეფი, რომელიც წარმოადგენს უფლის დიდების კომპოზიციას: აღსაყდრებულ მაცხოვარს ორ მფრინავ ანგელოზს შორის. ეს თემა გადმოცემულია სიმბოლური მინიშნებით ევქარისტიის საიდუმლოზე, რაზედაც მიუთითებს სეფისკვერი და სურა ანგელოზთა ხელში. XI ს-ს მიეკუთვნება აღმოსავლეთ ფასადის მფრინავ ანგელოზთა ანალოგიური გამოსახულებანი, რომლებიც თავდაპირველად ასევე შედიოდნენ უფლის დიდების კომპოზიციაში (ქრისტეს ამაღლება ან მეო-რედ მოსვლა). ეს რელიეფი ასევე ფასადის ფრონტონში იქნებოდა მოთავსებული. ამრიგად, დასავლეთ და აღმოსვლეთ ფასადების კომპოზიციები შინაარსობრივად და მხატვრული გადაწყვეტითაც ეხმიანებოდა ერთმა-ნეთს.

გადაადგილებულია აღმოსავლეთ ფასადზე მოთავსებული არწივის და ლომის გამოსახულებანიც. ეს დიდი ზომის, მონუმენტური ფიგურები, ალბათ ფასადების ზედა ნაწილში იქნებოდნენ განსაკუთრებით გამოყოფილი (ჩრდილოეთ და სამხრეთ ფასადები). ქრისტიანული თეოლოგიის თანახმად, როგორც არწივის, ისე ლომის ერთ-ერთი სიმბოლური მნიშვნელობა, ქრისტეს ღვთიურ არსს გამოხატავს. საფიქრებელია, რომ მაღლა, საკულტო შენობის ციურ ზონაში წარმოდგენილი ლომი და არწივი ღვთის ტრიუმფის სიმბოლოდ შეიგრძნობოდა და ამრიგად, გადმოსცემდა იმავე განზოგადოებულ იდეას, რომელიც უფლის დიდების ამსახველ სიუჟეტურ კომპოზიციაშია ხორცშესხმული.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ჰერაკლე კეისრის რელიგიური პოლიტიკა საქართველოში

გიული ალასანია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

VII ს-ის 30-იან წლებში ბიზანტიაში შემუშავებული და ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებული მონოთელიტობა მე-6 მსოფლიო საეკლესიო კრებაზე (680-681) საბოლოოდ დაიგმო. ვინაიდან, იმ ახალი მიმართულების დოგმატიკური საფუძვლების შემუშავების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო კიროს ფასისელი, იგივე კიროს ალექსანდრიელი, რომელიც ქართლის კათალიკოსთან არის გაიგივებული, დამატებითი არგუმენტების მოშველიებით სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ გამეორდა ვარაუდი ქართლსა და ეგრისში მონოთელიტობის გავრცელების შესახებ.

პრობლემა უკავშირდება, როგორც ქართლის ეკლესიის ავტოკეფალიის, ასევე დასავლეთ საქართველოზე საეკლესიო იურისდიქციის, ამასთანავე ქართლის და ეგრისის პოლიტიკური დამოკიდებულების საკითხებს. სამეცნიერო ლიტერატურაში დომინირებს აზრი, რომ ირან-ბიზანტიის ომის შემდეგ (622-628) კავკასია და, კერძოდ, საქართველო ბიზანტიის კონტროლის ქვეშ მოექცა, რაც, ჩვენი აზრით, საკმარისად დასაბუთებული არ არის. 628 წლის ირან-ბიზანტიის ზავის პირობებით ქართლის ნაწილი თბილისის ჩათვლით, ისევე როგორც 591 წლის ზავით, ირანს გადაეცა, თუმცა ქვეყანა ფაქტობრივად დამოუკიდებელი გახდა.

განსხვავებული ვითარება ქართლის მეორე ნაწილში, სადაც დამყარდა ბიზანტიის პოლიტიკური კონტროლი, და დასავლეთ საქართველოში, რომლის კუთხეები განსხვავებული ხარისხით იყო დამოკიდებული ბიზანტიის ხელისუფლებაზე, ერთგვარად სავალდებულოს და მოსალოდნელს ხდიდა იქ მის დიქტატს. ამ სავარაუდო მორჩილების შესახებ, ლიტერატურაში მოტანილი არგუმენტების განხილვით, მოხსენებაში გამოთქმულია აზრი საკითხის ამგვარად გადასაწყვეტად წყაროთა არარეპრეზენტატულობის შესახებ, რომელთა მონაცემები უფრო მეტად საქართველოში მონოთელიტობის არარსებობას უჭერს მხარს.

სპარსული ფრაზა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ „წმ. ნინოს ცხოვრების“ ტექსტში

ზაზა ალექსიძე
კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

<u>ალექსანდრე გვახარია</u>
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ „წმ. ნინოს ცხოვრების“ ტექსტში, იქ, სადაც აღწერილია კერპთა დამხობის სცენა, ჩართულია მირიან მეფის რეპლიკა სპარსულ ენაზე. დღემდე ჩვენამდე მოაღწია ამ ტექსტის სამმა რედაქციამ (N/Sin-50, შატბერდული და ჭელიშური). ყველა მათგანი რედაქციული თვალსაზრისით თარიღდება X ს-ით, ხოლო შატბერდული გვიანი X ს-ით.

სპარსული ფრაზა შემონახული აქვს „მოქცევაჲს“ სამივე რედაქციას. ტექსტის არქეტიპში სპარსული ფრაზის თარგმანი, როგორც ჩანს, არ იყო. ავტორის აზრით, მკითხველს მისი სწორად გაგების პრობლემა არ უნდა ჰქონოდა (თუმცა იგი უკვე გაუგებარი ჩანს ჭელიშური რედაქციისათვის). აღნიშნული ფრაზის თარგმანი დაცულია მხოლოდ შატბერდულ რედაქციაში („მართალსა იტყჳ ბედნიერო დედოფალო და მოციქულო ძისა ღმრთისაო“), რომლის საფუძველზეც ნ. მარმა დაზიანებული ტექსტი აღადგინა ახალი სპარსული ენის ნორმების მიხედვით („ჰეჲ, ჰეჲ, რასთ მეგოჲ ხოჯასთა ბანუ [ვა] რასულ[ე] ფასარ[ე] [ი]ზად“) და დაათარიღა IX-X სს-ით. ნ. მარის აღდგენა და დათარიღება ფაქტობრივად გაიზიარა უშუალოდ მომდევნო ხანის ქართულმა ისტორიოგრაფიამ.

ჩვენი აზრით, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ სამი რედაქციის შედარებითი შესწავლა გამორიცხავს ტექსტის არქეტიპის დათარიღებას IX-X სს-ით. ყველა მათგანი ძლიერ არის დროით დაშორებული დედანს და ცალ-ცალკე განვითარების დიდი გზა აქვს განვლილი, სანამ თანამედროვე მდგომარეობამდე (X ს) მოაღწევდა. ამავე დროს სპარსული ფრაზა (ტექსტოლოგიურად აღდგენილი: „ჰე, ჰე, რასთ მებოჲ ხოჯასთა ბანოგ რასულ ფასარ ზად“) მოცემულია სამივე მათგანში და ორგანულია ტექსტისათვის. „მოქცევაჲში“ არაფერია ნათქვამი მირიანის სპარსული წარმომავლობის შესახებ, ამიტომ ინტერპოლატორი მას ვერ მიაწერდა სპარსულ ფრაზას, თუ იგი არ იყო დედანში. ამავე დროს, მირიანის სალაპარაკო ენა უნდა ყოფილიყო, რა თქმა უნდა, საშუალო სპარსული და არა ახალი.

ასეთი ამოსავალი დებულებები გვაიძულებს ხელახლა მივუბრუნდეთ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტში დაცული სპარსული ფრაზის ანალიზს. კვლევის ამ ეტაპზე, ჯერჯერობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქმე უნდა გვქონდეს საშუალო სპარსულიდან ახალზე გარდამავალ ენობრივ მოვლენასთან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ახალი სპარსულის უძველეს პერიოდთან საშუალო სპარსულის რეციდივებით („ბანოგ“) და არაბულიდან ნასესხობებით („რასულ“). ასეთი პერიოდი ზოგადად VII-IX სს-ით შეიძლება განისაზღვროს. ფრაზის თავდაპირველი სახე (მინიმალური აღდგენებით) და თარგმანი ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:

„ჰე, ჰე რასთ მეგოჲ ხოჯასთა ბანოგ რასულ ფასარ [ი]ზად“.

„ჰაჲ, ჰაჲ მართალს ამბობ ბედნიერო დედოფალო, მოციქულო ძისა ღმრთისა“.

„მაკაბელ ყრმათა წამების“ ქართული ვერსიები

ია არაბიძე

კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

„მაკაბელ ყრმათა წამების“ ტექსტს შეიცავს „ძველი აღთქმის" „მაკაბელთა II და IV წიგნებს". „მაკაბელთას“ სახელით ჩვენამდე მოღწეულია ოთხი ბიბლიური წიგნი, რომლებიც სელევკიდების დინასტიის წინააღმდეგ ებრაელი ხალხის გმირული ბრძოლის შესახებ მოგვითხრობს. ეს წიგნები ძვ. წ.-აღ.-ის II-I საუკუნეებში უნდა წარმოშობილიყო, აქედან გამომდინარე, ვერ მოხვდებოდნენ ძვ. წ.-აღ-ის III ს.-ში შექმნილ „სეპტუაგინტას“ პირველ რედაქციაში. ალბათ, ამით აიხსნება საეკლესიო კრებების სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება „მაკაბელთა წიგნების“ კანონიკურად, თუ არაკანონიკურად მიჩნევასთან დაკავშირებით. ასევე არაერთგვაროვანი შეხედულებაა მეცნიერებაში „მაკაბელთა წიგნების“ ორიგინალთა ენის შესახებ: თუ მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ I და II წიგნები ებრაულ ენაზეა შექმნილი და შემდეგ ითარგმნა ბერძნულად, მეორე ნაწილი ოთხივე წიგნს უშუალოდ ბერძნულ ენაზე დაწერილად თვლის.

ქართულ ენაზე „მაკაბელთა წიგნები“ მხოლოდ XVIII საუკუნეში გამოჩნდა: რუსეთში გადახვეწილი საქართველოს სამეფო კარის წარმომადგელების ძალისხმევით მოხერხდა 1743 წელს დაბეჭდილიყო სრული ბიბლია, ე. წ. „ბაქარის ბიბლია“, რომელშიც შევიდა არჩილ მეფის მიერ სლავურიდან თარგმნილი „მაკაბელთას“ პირველი სამი წიგნი.

მართალია, „მაკაბელ ყრმათა წამების“ შემცველი ბიბლიური წიგნები გვიან ითარგმნა ქართულად, მაგრამ ქართველი მკითხველი საუკუნეებით ადრე იცნობდა ამ თემაზე შექმნილ ჰაგიოგრაფიულ, ჰიმნოგრაფიულ და ჰომილეტიკურ მასალას. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდის **Sin**.62-სა (120-129ფ. X საუკუნის ხელნაწერი) და **A** 95-ში (1006-1023ფ. X-XI საუკუნის ხელნაწერი) დაცული „მაკაბელ ყრმათა წამების“ ჰაგიოგრაფიული ტექსტი წარმოადგენს კიმენურ რედაქციას. იგი ქართულ ენაზე IX ს-ში უკვე უნდა არსებულიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული ტექსტი ვერ მოხვდებოდა X ს-ში შედგენილ კრებულში (**Sin**.62).

კ. კეკელიძეს თავის ნაშრომში „ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“ (ტ. V, გვ.: 128) მითითებული აქვს, რომ ოქსფორდში, ბოდლეს წიგნსაცავში **NR**4-ით (313-332ფ.) დაცული ხელნაწერი და ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის ფონდის გელ.1 (გვ.: 230-260) შეიცავენ „მაკაბელ ყრმათა წამების“ ჰაგიოგრაფიული ტექსტის მეტაფრასულ რედაქციას. მისი შექმნა მიეწერება ცნობილ ებრაელ ისტორიკოსს იოსებ ფლავიუსს (ახ. წ.-აღ-ის I ს.). ამის შესახებ ცნობა დაცულია „მაკაბელ ყრმათა წამების“ მეტაფრასული რედაქციის როგორც ბერძნულ, ასევე ქართულ ენაზე არსებულ ყველა ხელნაწერში.

ჩვენ ერთმანეთს შევუდარეთ აღნიშნული „წამების“ ბერძნული და ქართული ვერსიები და აღმოჩნდა, რომ ქართულ კრებულებში შესული მეტაფრასული ჰაგიოგრაფიული „მაკაბელ ყრმათა წამება“ წარმოადგენს ბიბლიური „მაკაბელთა IV წიგნის“ თარგმანს. შედარებამ ქართველი მწიგნობრების მთარგმნელობით საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალი საყურადღებო დეტალი გამოავლინა.

მაკაბელები საკმაოდ პოპულარულნი ყოფილან საქართველოში. ამაზე მეტყველებს მათი ცხოვრების ირგვლივ შექმნილ ნაწარმოებთა ჟანრობრივი მრავალფეროვნება და ხელნაწერთა სიმრავლე. XVIII ს-დან კი ეს პოპულარობა ქართულ ტოპონიმიკაში არეკვლითაც დასტურდება.

ვახუშტი ბაგრატიონი მოგვითხრობს იმის შესახებ, რომ არჩილ მეფემ აღმოსავლეთ საქართველოში ააგო ციხე და ეკლესია, რომლებსაც „მაკაბელი“ უწოდა. იოანე ბატონიშვილი „ქართლ-კახეთის აღწერაში“ ენისელის კუთვნილ სოფლებს შორის ასახელებს სოფელ მაკაბეთს. სამივე პუნქტი დატანილია ი. ჯავახიშვილის რედაქტორობით 1923 წ. გამოცემულ „საქართველოს ისტორიულ რუკაზე“. აღნიშნული ეკლესია, ციხე და სოფელი დღეს საინგილოში მდებარეობს.

განხეთქილება საქართველოს ეკლესიაში XX საუკუნის 20-იან წლებში

ირინე არაბიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, მკვეთრად დაისვა საეკლესიო ცხოვრების ნორმალიზაციის საკითხი. პირველმა საეკლესიო კრებამ ეკლესიის მართვა-გამგეობის კოლეგიალური პრინციპი დააწესა, რათა ჩვენი ეკლესია რაც შეიძლებოდა მალე განთავისუფლებულიყო რუსეთის სინოდის გავლენისაგან, პირველ კათალიკოს-პატრიარქებსა და მღვდელმთავრებს გაადვილებოდათ ეკლესიური ცხოვრების კანონიკურ კალაპოტში ჩაყენება. მუშავდებოდა პროექტები რეფორმებისათვის.

სრულიად საქართველოს მეორე საეკლესიო კრებას (1920 წელი) გადაეცა „განახლების" რეფორმისტული მოძრაობის წარმომადგენელ სასულიერო პირთა მიერ შედგენილი აქტი. ამ აქტით მოითხოვდნენ საეკლესიო სფეროში ზოგიერთი ისეთი ცვლილების განხორციელებას, რომელიც უმრავლესობისათვის მიუღებელი იყო. ამ მოძრაობამ საქართველოს სამღვდელოება ორ მტრულ ბანაკად გაყო. საბჭოთა ხელისუფლებმა კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი და მისი მომხრენი რეაქციონერებად მონათლეს, მათთან დაპირისპირებულნი კი – პროგრესისტებად. ამ გაყოფაში დიდი როლი შეასრულა გენუის კონფერენციაზე 1922 წლის თებერვალში კათალიკოს-პატრიარქ ამბროსის მიერ გაგზავნილმა ანტისაბჭოთა მემორანდუმმა, რომლის გამოც კათალიკოს-პატრიარქი და საკათალიკოსო საბჭოს რამდენიმე წევრი საპყრობილეში აღმოჩნდნენ.

საეკლესიო სფეროში დაგროვილმა პრობლემებმა მეოთხე საეკლესიო კრების მოწვევის აუცილებლობა აშკარა გახადა. საბჭოთა ხელისუფლება ყოველ ღონეს ხმარობდა შეენარჩუნებინა ეკლესიის საქმეებში მოჩვენებითი ჩაურევლობის პოლიტიკა. ხედავდა, რომ ბოლო ხანებში ეკლესიის ორგანიზაციულ განმტკიცებასთან ერთად მნიშვნელოვნად გაიზარდა მისი გავლენა მასებზე, რომ საეკლესიო კრება განსაზღვრავდა საქართველოს ეკლესიის მდგომარეობას რამდენიმე უახლოესი წლის განმავლობაში. ამის გამო საჭიროდ ჩათვალა მეოთხე საეკლესიო კრების გადადება გარკვეული ვადით, რათა ამ დროში გაემრავლებინა თავისი მომხრენი სასულიეროთა შორის. ამ გზით სურდა მიეღწია სასურველი კანდიდატების გაყვანისათვის მღვდელმთავრებად.

1926 წლის 24-25 დეკემბერს ოპოზიციამ ქუთაისში მოიწვია კრება. კალისტრატე ცინცაძის მოგონებებიდან ჩვენთვის ცნობილია იმ ეპისტოლეს შინაარსი, რომელიც კრების მონაწილეებმა შეადგინეს კათალიკოს-პატრიარქისა და საკათალიკოსო საბჭოს წინააღმდეგ. მათ შეწყვეტილად გამოაცხადეს საკათალიკოსო საბჭოს მუშაობა და მეოთხე საეკლესიო კრების მოწვევამდე სრულიად საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა შემოიღეს.

ქუთაისის კრება და მისი დადგენილებანი საკათალიკოსო საბჭოს მიერ უკანონოდ იქნა გამოცხადებული, მაგრამ კრების მოწვევის ფაქტი, მის მიერ შექმნილი სრულიად საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა, საკათალიკოსო საბჭოსა და კათალიკოს-პატრიარქის წინააღმდეგ მიმართული ეპისტოლე, ბრძანება-განკარგულებანი და დადგენილებანი დიდ საფრთხეს უქმნიდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას, იწვევდა განხეთქილებას ეკლესიაში. კათალიკოს-პატრიარქ ამბროსის საეკლესიო საქმეებიდან ჩამოცილებისა და გარდაცვალების შემდეგ, საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი გახდა პროკომუნისტური ფრთის წარმომადგენელი, ოპოზიციონერთა ერთ-ერთი ლიდერი ეპისკოპოსი ქრისტეფორე (ციცქიშვილი). მისი მოღვაწეობა საბჭოთა ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის არსებული დაპირისპირების აღმოფხვრისაკენ იყო მიმართული.

„რიფსიმეანთა წამების“ ლიტერატურული კავშირებისა და წყაროების შესახებ

ქნარიკ არევშატიანი-ტერ-დავთიანი

ლიტერატურის ინსტიტუტი
სომხეთის ეროვნული აკადემია
ერევანი, სომხეთი

ეკლესიური მკურნალობის საკითხები ქართული სამედიცინო ხელნაწერების მიხედვით

ნატო ასათიანი

ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმი
მედიცინის ისტორიის აკადემია
თბილისი, საქართველო

გრიგოლ განმანათლებელი და ქართული სამყარო

ნინო აფციაური

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

გრიგოლ განმანათლებელი, პართელი, ტრადიციულად ითვლება სომეხთა მომაქცევლად. სომხურ ქრისტიანულ ეკლესიას ზოგჯერ მისი სახელის მიხედვით გრიგორიანულსაც უწოდებენ. სომხურ ეკლესიაში წმ. გრიგოლის პატივსაცემად დაწესებულია ყოველწლიური მოსახსენებელი დღეები. ქართული საეკლესიო ტრადიციის მიხედვით წმ. გრიგოლმა სომხებს „მართალი სარწმუნოება“ ასწავლა, რომელსაც შემდგომში სომხებმა გადაუხვიეს. ამიტომაა, რომ ქართული ეკლესია ცნობს წმ. გრიგოლის კულტს. ძველ ქართულ მწერლობაში დაცულია წმ. გრიგოლისადმი მიძღვნილი საგალობლები, ქართულ ენაზე შემონახული გვაქვს „გრიგოლის ცხოვრების“ ციკლში გაერთიანებულ თხზულებათა თარგმანები („რიფსიმეანთა წამება“, „სარწმუნოებისათჳს“, „ცხორება წმ. გრიგოლ პართელისაჲ“).

ქართლში და საერთოდ კავკასიაში წმ. გრიგოლის კულტის გაჩენას, მკვლევართა ერთი ნაწილი კავკასიის ქრისტიანი ხალხების მოქცევის საქმეში გრიგოლ განმანათლებლის დამსახურებით ხსნის.

ძველი სომხური ისტორიოგრაფია წმ. გრიგოლის სახელს ქართველების და კავკასიის ალბანელების მოქცევასაც უკავშირებს. მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორიის“ მიხედვით, წმ. ნინო გრიგოლ განმანათლებლის მითითებებით მოქმედებს. „გრიგოლის ცხოვრების“ ბერძნული და არაბული ტექსტების მონაცემებით კი, წმ. გრიგოლი სომხეთის მეფესთან ერთად ნათლავს იბერთა და ალბანთა მეფეებსაც, სებასტიელ მღვდელს კი აძლევს მიტროპოლიტობას და გზავნის იბერიაში ეპისკოპოსების დასადგენად. აღნიშნულ ცნობებზე დაყრდნობით, სპეციალისტთა ერთმა ნაწილმა გრიგოლ განმანათლებელი ქართველთა მომაქცევლად მიიჩნია და ქართლში წმ. ნინოს კულტის გვიან გაჩენა ივარაუდა.

სომხური ტრადიცია გრიგოლ განმანათლებლის ღვაწლის შესახებ ქართველთა გაქრისტიანების საქმეში ქართული წყაროებით არ დასტურდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ განმანათლებლის სამისიონერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული ქართული, სომხური და უცხოენოვანი წყაროების შესწავლით ირკვევა, რომ ქართველთა მოქცევის საქმეში წმ. გრიგოლისათვის მიწერილი დამსახურება, არ იძლევა მისი ქართველების განმანათლებლად მიჩნევის შესაძლებლობას.

აფხაზ მეფეთა წარწერები ქრისტიანული ხელოვნების ძეგლებზე

ლია ახალაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი
თბილისი, საქართველო

აფხაზთა სამეფო, რომელიც შეიქმნა VIII ს. მიწურულს, X ს. 80-იანი წლებიდან გაერთიანებული საქართველოს ნაწილი ხდება. თანამედროვე ისტორიოგრაფიაში მრავალმხრივი კამათი მიმდინარეობს აფხაზი მეფეების პოლიტიკური და რელიგიურ-სარწმუნოებრივი ორიენტაციის შესახებ. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვან საისტორიო წყაროდ უნდა ჩაითვალოს აფხაზ მეფეთა წარწერები, რომლებიც მოთავსებულია საეკლესიო დანიშნულების ქრისტიანული ხელოვნების ძეგლებზე და შესრულებულია ქართული ასომთავრული დამწერლობით.

მოხსენებაში განხილულია ამ წარწერების ძირითადი ნაწილი, შესწავლილია მათი პალეოგრაფიული და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ღირებულება.

აფხაზ მეფეთა წარწერების გავრცელების არეალი არ შემოიფარგლება ისტორიული აფხაზეთის ან თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიით, ისინი დაცულია საქართველოს სხვა ისტორიულ რეგიონებშიც, კერძოდ ოდიშში, შიდა ქართლსა და ჯავახეთში. კლასიფიკაციის მიხედვით ეს წარწერები ლაპიდარული და ჭედური წარწერების ჯგუფებს მიეკუთვნება. შინაარსობრივად გვაქვს, როგორც სავედრებელ-მემორიალური, ასევე საამშენებლო-ქტიტორული წარწერები. ყველა წარწერა IX-X სს. თარიღდება. მათ შორის ყველაზე ადრინდელად უნდა ჩაითვალოს გიორგი I (861-868), ხოლო ყველაზე გვიან შესრულებულად - ლეონ III (957-967) წარწერები.

აღნიშნული ეპიგრაფიკული მასალის პალეოგრაფიული და წყაროთმცოდნეობითი ანალიზის, მათი დანარჩენ საისტორიო წყაროებთან ერთიან კულტურულ-ისტორიულ ჭრილში გააზრების საფუძველზე, ნაშრომში გარკვეულია აფხაზ მეფეთა ტიტულატურის, საეკლესიო-საამშენებლო საქმიანობის, რელიგიურ-სარწმუნოებრივი პოლიტიკის და სხვა საკითხები.

აფხაზ მეფეთა წარწერები კიდევ ერთხელ არგუმენტირებულად ასაბუთებს, რომ ქართული ენა აფხაზთა სამეფოს, როგორც სახელმწიფოებრივი, ასევე საეკლესიო ღმრთისმსახურების ენა იყო, ხოლო პოლიტიკურად აფხაზი მეფეები ორიენტირებული იყვნენ ქართულ სამყაროზე, რაც თვალსაჩინოდ გამოვლინდა კიდეც ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების პროცესში მათი აქტიური მონაწილეობით.

წმინდა ნაწილების კულტი: აღმოსავლეთი და დასავლეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელკა ბაკალოვა

ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევების ინსტიტუტი
ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემია
სოფია, ბულგარეთი

„ქრისტიანულ რელიკვიებს (წმინდა ნაწილებს), ისტორიაში არასოდეს ეკიდებოდნენ სათანადო ყურადღებით... ისტორიკოსებს სამართლიანად შეჰქონდათ ეჭვი მათ შორის ყველაზე დიდ სიწმინდეთა ავთენტურობაში, აყენებდნენ რა ამით ყველას ერთ რიგში, ავიწყდებოდათ რომ თვით სიყალბესაც კი შეიძლება ჰქონდეს ისტორიული ღირებულება... ამ რელიკვიებს შორის არის ისეთებიც, რომლებიც დამატებით ცნობებს გვაწვდის არა მარტო თავისი დროის ისტორიის შესახებ, არამედ აქტიურ მონაწილეობასაც კი იღებენ ამ ისტორიის ჩამოყალიბებაში“ (ს. რუნკიმანი).

მთლიანად ვიზიარებ რა ამ შეხედულებას, ვისურვებდი იმის ხაზგასმას, რომ აღნიშნული პირველ რიგში ეხება მართლმადიდებლურ სამყაროში არსებულ დამოკიდებულებას წმინდა ნაწილებისადმი, რომლებიც იქ უმთავრესად თეოლოგთა დიდ ყურადღებას იპყრობდნენ. დასავლეთ ევროპაში წმინდა ნაწილთა კულტის შესახებ საჭიროზე მეტი ლიტერატურა არსებობს, თუმც ორი უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში, მართლმადიდებელ სამყაროში წმინდა ნაწილთა და მათთან დაკავშირებულ სამეცნიერო საკითხთა მიმართ ინტერესი განსაკუთრებით გაცხოველდა.

წარმოდგენილ გამოკვლევაში ყურადღება მიპყრობილია შემდეგ პრობლემებზე: (1) წმინდა ნაწილების ფუნქცია წმინდანთა კულტის შემუშავების, საბოლოო სახის მიცემის და გავრცელების პროცესში და მათი მნიშვნელობა მართლმადიდებელ მმართველთა პოლიტიკურ იდეოლოგიასა და პრაქტიკაში. წმინდა ნაწილების აღმოჩენა, მათი გადასვენება ტაძარში/საძვალეში (რომელიც ძალიან ხშირად საგანგებოდ ამ მიზნით შენდებოდა) და მათი მოთავსება სანაწილეში ყოველთვის გამოისახებოდა მათი ცხოვრების ილუსტრირებულ ციკლებში. ამასთან, ამ აღმოჩენას ხშირად თან სდევდა ნაწილთა გადანაცვლება ახალ ადგილას (სხვა ქალაქში, მონასტერსა თუ ტაძარში), რაც ხელს უწყობდა მოცემული კულტის განვითარებას და ზოგჯერ მის გადააზრებასაც კი.

(2) წმინდა ნაწილი, როგორც კულტმსახურების სივრცის ორგანიზების და საკულტო ცენტრების საკრალური ტოპოგრაფიის ჩამოყალიბების ფაქტორი, ხოლო ქრისტიანულ აღმოსავლეთში – იკონოგრაფიული პროგრამის ჩამოყალიბების ფაქტორიც იმ ეკლესიებში, სადაც წმინდა ნაწილებია დაცული.

(3) ფაქტები ასაჩინოებს, რომ მოცემული წმინდანის კულტის განვითარება და გავრცელება იწყება იმ ადგილიდან, სადაც იგი გარდაიცვალა ან სადაც მისი ნაწილები ნაპოვნ იქნა ან ინახება. შესაბამისად მისი ცხოვრების ილუსტრაციები პირველად ჩნდება ხელოვნების იმ ნიმუშებში, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული ამ ადგილის მონიშვნასთან.

(4) წმინდა ნაწილთა კულტს თან სდევს მათ მიკვლევასთან, გადანაცვლებასთან, ეკლესიაში დავანებასთან ან უბრალოდ თაყვანისცემათან დაკავშირებული ზებუნებრივი მოვლენები. უმეტესწილად ესაა მრავალრიცხოვანი სასწაულებრივი კურნებანი ან სასწაულებრივი სამედიცინო ეფექტის მანიფესტაციები. მართლმადიდებლურ სამყაროში ე. წ. სასწაულმოქმედ ხატებს წმინდა ნაწილთა მსგავსი ფუნქცია გააჩნიათ და ამდენად, შესაბამის თაყვანისცემას იმსახურებენ. ეს მიუთითებს ორივე საკულტო ობიექტის ერთ ჯგუფში, სახელწოდებით „სასწაულმოქმედი ხატი-რელიკვარიუმი“ გაერთიანების მიზანშეწონილობაზე, კერძოდ, ამგვარია ბულგარეთში რილას მონასტრის მთავარი რელიკვია - ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი, რომლის გამოსახულება გარშემორტყმულია 32 წმინდანის წმინდა ნაწილებით.

მოხსენების დასკვნით ნაწილში განიხილება ისტორიული მოთხრობანი იმ კურნებათა შესახებ, რომელიც მოავლინა ამ ხატმა, ვითარცა მადლი და ის სპეციფიკური რიტუალები, რომელიც აქვს მონასტერს დღეისათვის ლიტურგიკულ პრაქტიკაში.

ქრისტიანული რელიგიისა და მეცნიერების ურთიერთმიმართების შესახებ

თამარ ბალანჩივაძე

შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტი
თბილისი, საქართველო

განსხვავებით იმ მეცნიერთაგან, რომლებიც მეცნიერებას და რელიგიას უპირისპირებენ ერთმანეთს, ჩვენ მიგვაჩნია, რომ მეცნიერება და რელიგია (მეცნიერული ცოდნა და რელიგიური რწმენა) კი არ უპირისპირდება ერთმანეთს, არამედ ავსებს. ერთიმეორეს ცოდნა და რწმენა კი არ უპირისპირდება, არამედ ცოდნა და არცოდნა, როგორც ჭეშმარიტება და სიყალბე.

სინამდვილეში ცოდნაცა და რწმენაც ერთ საქმეს ემსახურებიან - სამყაროს შემეცნებისა და ჭეშმარიტების წვდომის საქმეს, ოღონდ ამას განსხვავებული გზებითა და მეთოდებით ახორციელებენ. ეყრდნობა რა გონებას, მეცნიერება იყენებს მტკიცებას, დასაბუთებას, არგუმენტაციას. რელიგია არაამქვეყნიურ, ღვთიურ სამყაროს გრძნობით (გულით) უკავშირდება და საამისოდ სარგებლობს ინტუიციური წვდომის, ინტუიციური ხედვის უნარით.

სწორედ იმით, რომ მეცნიერებაც და რელიგიაც ერთი მიზნისაკენ - სამყაროს საიდუმლოებათა ამოხსნისაკენ ანუ ჭეშმარიტების წვდომისაკენ ისწრაფვიან, უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ მრავალზე მრავალი მეცნიერი იმავდროულად ღრმადმორწმუნე ქრისტიანი იყო.

თუმც, კათოლიკური (და არა მართლმადიდებლური) ეკლესიის ისტორიამ იცის პერიოდები, როცა რელიგია სკეპტიკურად, ზოგჯერ კი აგრესიულ-მტრულადაც იყო განწყობილი მეცნიერული ცოდნის მიმართ ინკვიზიციის პერიოდში, იგივე პერიოდშიც (და უფრო ადრეც) არსებობდნენ მოაზროვნეები, რომლებიც შესაძლებლად მიიჩნევდნენ მეცნიერული ცოდნისა და რელიგიური რწმენის ჰარმონიულ თანაარსებობას.

ჩვენი მხრივ, მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს იმისას, თუ როგორ ეთანხმება და ასაბუთებს მეცნიერება რელიგიაში გამოთქმული აზრის სისწორეს:

ა) თვითშემეცნების სიძნელეს - ფსიქოლოგია

ა) ზნეობრივ მაქსიმას: „მოექეცი სხვას ისე, როგორც გინდა, რომ სხვა მოგექცეს შენ" - ეთიკა

გ) ადამიანის გამოცხადებას თავისუფალ არსებად - ფილოსოფიური ანთროპოლოგია

დ) ადამიანის გაუცხოებას თავისი ადამიანური არსისაგან - (უძღები შვილის მაგალითზე) - ფილოსოფია

აზრს, რომ ქრისტიანული რელიგია და მეცნიერება ავსებს ერთმანეთს, ეთანხმება ილია ჭავჭავაძე - წმ. ილია მართალი - რომელიც ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძის ერთ-ერთ დიდ დამსახურებად იმას მიიჩნევს, რომ იგი „სარწმუნოებას ამეცნიერებდა" და „მეცნიერებას ასარწმუნოებდა". ასეთი გამეცნიერებული სარწმუნოება ანუ გამეცნიერებული რწმენა არის სწორედ ის რწმენა, რომელსაც ჰეგელი „ცოდნა-რწმენას" უწოდებდა.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ავტორის სარწმუნოებრივი მრწამსისა და ეროვნული ცნობიერების პრობლემა „ასწლოვან მატიანის“ მიხედვით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ ბარამიძე

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

„ასწლოვან მატიან ის“ კომპოზიციური ღერძია მორალური კონცეფცია. ნაწარმოების გამჭოლავი იდეაა ზნეობრივი პრინციპების, სარწმუნოებრივი მრწამსის განვითარება და დამკვიდრება. თხზულებაში ეროვნული ხასიათის გააზრება და მართლმადიდებლური რწმენის არსი ერთ მთლიანობაში აქვს ავტორს გათავისებული, რაც განაპირობებს ეროვნული ცნობიერების არსს. მატიანეში ყოველი ისტორიული ფაქტი ზნეობრივ პრიზმაში გარდატეხილადაა აღქმული. ავტორი წარმოგვიდგება ერის სულიერ მოძღვრად, რომელიც ისტორიას იაზრებს, როგორც ზნეობრივი პოზიციის ანარეკლს და გამოვლენას. მისი მსოფლმხედველობიდან გამომდინარე ერის ძალა და სისუსტე ზნეობრივი ამაღლებისა და სიმტკიცის შესაბამისად ვლინდება: როდესაც ერი ზნეობრივი იდეალებით ცოცხლობს, მაშინ მისი პოლიტიკური და, საერთოდ, ფიზიკური არსებობაც მყარი და მონოლითურია; ხოლო რაც უფრო სცილდება ამ იდეალებს, მით უფრო იწყება ყოველგვარი დაკნინება და თვით არსებობაც კატასტროფის წინაშე დგება. ყველა ფაქტში ავტორი შინაგან მიზეზებს ეძებს და ამ მიზეზების მიგნებისა და გააზრების საფუძველზე ხსნის მოვლენის არსს. მას იმდენად ფაქტი არ აინტერესებს, რამდენადაც ფაქტის გამომწვევი წინაპირობა, მიზეზთა მიზეზი. ისტორიული ფაქტი მას გაცნობიერებული აქვს, როგორც ზნეობრივი საწყისის გარეგანი და შედეგობრივი გამოხატულება.

ეროვნულ-სახელმწიფოებრივ დაცემას წინ უძღვის პიროვნების დაცემა. ჟამთააღმწერელი სწორად შენიშნავს რა ამ მოვლენას, ჩვენში მონღოლთა გაბატონებას ხსნის არა მარტო იმით, რომ ისინი მომძლავრებულნი იყვნენ, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი მოშვებულობით, მოდუნებით და უპასუხისმგებლობით. მემატიანე ჩვენზე რისხვად დამტყდარი უბედურების მიზეზთა მიზეზს ხედავს მანკიერებაში. ჩვენი ცოდვილობაა ის წინაპირობა, რომელმაც დაგვაძაბუნა. ყოველი უბედურება გააზრებულია, როგორც ცოდვის საზღაური: „მოიწია სამართალი სასჯელი ცოდვათა ჩვენთათვის“. ამ უბედურებისაგან თავის დახსნის რეალურ საფუძველს ხედავს ერის სულიერ ამაღლებაში – ზნეობრივ დახვეწასა და რწმენის განმტკიცებაში. ამიტომაც მისი კონცეფციით წარმოდგენილ ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას შარავანდედად ეფინება საქართველოს მფარველის, ღვთისმშობლისადმი რწმენა, რის გამოც საოცარი გულწრფელობითა და მინდობით ავედრებს თავის ქვეყანას: „მოწყალებისა კარი განგვიღე კურთხეულო ღვთისმშობელო“.

„ასწლოვანი მატიანე“ ფაქტობრივად არის არა მარტო ისტორია, არამედ ამასთანავე „ისტორიის ფილოსოფია“, რომელშიც ღრმადაა გაანალიზებული ჩვენი წარსული და ქართული ხასიათი.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ მემატიანეთა კონცეფციაში განსაკუთრებულადაა გამოკვეთილი ეროვნული ცნობიერების პრობლემა, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება თვით თხზულების დასათაურებაში. კერძოდ, ჩვენს საისტორიო თხზულებას ეწოდება „ქართლის ცხოვრება“. ეს ფაქტი კი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. როგორც ცნობილია, ყველა ცივილიზებულ ერს გააჩნია თავისი ისტორია და ამ ისტორიის ამსახველ თხზულებებს ეწოდება: „მატიანე“, „ქრონიკები“, „ხრონოგრაფი“ ან სულაც „ისტორია“, ხოლო ჩვენ მატიანეს კი ეწოდება „ქართლის ცხოვრება“. სწორედ ამ სახელდებაში გამოვლინდა ქართველი მემატიანესეული განწყობა და მოვლენის აღქმა, ისტორიის მისეული გაცნობიერება და სიღრმისეული შემეცნება. აქ ნათლად იკვეთება, რომ ჩვენმა მამულიშვილებმა საქართველო მთელი თავისი ისტორიით, ავბედობითა თუ სიხარულით, ცოცხალ, სულიერ არსებად გაიაზრეს. კი არ გაიაზრეს, არამედ მათი რწმენა იყო, რომ „საქართველო“ მხოლოდ გეოგრაფიულ-ისტორიული ცნება კი არ არის, არამედ უპირველესად ცოცხალი სუბიექტია. მემატიანესათვის, როგორც თითოეული ადამიანია სულიერი არსება, ასევე მთელი საქართველო ცოცხალი ფენომენია. მისთვის მშობლიური ხალხის ისტორია მოვლენათა ქრონოლოგია კი არა არის, არამედ სულის, პიროვნების ისტორიაა. მთელი ერი გააზრებულია, როგორც ერთი მთლიანი ინდივიდი თავისი წარმატებებითა და წარუმატებლობით.

მემატიანემ გაგვახსენა, რომ ჩვენი ისტორია მხოლოდ გარდასულ დღეთა აღნუსხვა კი არ არის, არამედ იგი სიცოცხლეა, მარადიული სიცოცხლე. ისტორიის ასეთი გასულიერება განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ტვირთავს შთამომავლობას. ამასთანავე ისიც გასათვალისწინებელია, რომ ასეთი დასათაურებით მემატიანე ავლენს თავის ემოციურ დამოკიდებულებას თავისი ხალხისადმი. „ქართლის ცხოვრება" ნიშნავს ქართველი კაცის ცხოვრებას, სიცოცხლეს და არა მხოლოდ მოვლენათა თანმიმდევრულ ასახვას.

ასეთი ემოციური, თუ შეიძლება ითქვას, ერთგვარი სუბიექტურობით დამუხტული დასათაურება გარკვეულ ნიუანსებს ქმნის ისტორიის აღქმაში.

ქართველი კაცის ფენომენის ასეთმა სიღრმისეულმა და ემოციურობით დატვირთულმა გააზრებამ განაპირობა „ასწლოვან მატიანეში" გამოვლენილი ეროვნული ცნობიერება.

სასულიერო განათლება და პედაგოგიური აზროვნება XIX ს. მეორე ნახევრის დასავლეთ საქართველოში

იმერი ბასილაძე

აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

სწავლებისა და აღზრდის თეორიაში უკანასკნელ ხანს პრობლემად იქცა სასულიერო განათლების, რელიგიური სწავლებისა და აღზრდისადმი დამოკიდებულება. ჩვენს ტრადიციულ წარმოდგენებში შეუთავსებლად ჩანს სამყაროს მოვლენების მატერიალისტური ახსნა და რელიგიური შეხედულებანი.

ეკლესია კი იყო ის დაწესებულება, რომელმაც პირველი სკოლები გახსნა როგორც მასობრივი, ისე ელიტარული განათლების მიზნით. ცხადია, ამ სკოლებში განათლების შინაარსი უმეტესად რელიგიური ხასიათისა იყო.

სასულიერო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია XIX ს-ის II ნახევრის დასავლეთ საქართველოში საერთოდ არ არის გამოკვლეული. სწორედ ამან გვიკარნახა ამ თემის არჩევანი. გამოვავლინეთ სასულიერო განათლების კერების საქმიანობის მიმართულება და შინაარსი, ნაჩვენებია ის როლი, რომელიც მათ შეასრულეს სასულიერო განათლებისა და ღვთისმსახურების განვითარების საქმეში. ნაჩვენებია ქართველ განმანათლებელთა მოღვაწეობა დემოკრატიული და ეროვნული განათლებისათვის; კერძოდ იმ ბრძოლის ძირითადი მომენტები, რომელსაც ისინი ეწეოდნენ სასულიერო განათლების და პედაგოგიური აზროვნების ეროვნული მიმართულებების დამკვიდრებისათვის.

სასულიერო განათლების ძირითად კერებს წარმოადგენდა საეკლესიო-სამრევლო სკოლები, სასულიერო სასწავლებლები და სასულიერო სემინარიები.

სასულიერო განათლების კერების ქსელის სწრაფი განვითარება დასავლეთ საქართველოში, ძირითადად, გამოწვეული იყო რუსეთის მთავრობისა და სინოდის დაინტერესებით, რაც გამოიხატებოდა სკოლების დაფინანსებით. ხელისუფლება ტახტისა და ღვთისადმი ერთგულების აღზრდას მოსახლეობის დაბალ ფენებში, ძირითადად ამ სასწავლო დაწესებულებებით ახორციელებდა. ამავე დროს, მოსახლეობის ინტერესი გაიზარდა, პირველ რიგში, იმის გამო, რომ აქ ძირითადად მშობლიურ ქართულ ენაზე იღებდა განათლებას. გარდა ამისა, ეპარქიებს უფლება ჰქონდათ, სასწავლო გეგმებსა და პროგრამებში შეეტანათ ადგილობრივი ენების, ისტორიის, გეოგრაფიის, სიტყვიერების სწავლებაც. ამიტომ არის, რომ სამრევლო სკოლებმა დიდი როლი შეასრულეს, როგორც ქართული ენის, ისე ზნეობრივი სიწმინდის შენარჩუნების საქმეში. ამასთან სასულიერო განათლებამ და პედაგოგიურმა აზროვნებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული ეროვნული სკოლის სისტემის განმტკიცება-განვითარების საქმეში.

სასულიერო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების განვითარებაში XIX ს-ის II ნახევარში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ცნობილ სასულიერო მოღვაწეს და პედაგოგს, იმერეთის ეპარქიის მმართველს, გაბრიელ ეპისკოპოსს.

ვფიქრობთ, რომ სასულიერო განათლებისა და სწავლა-აღზრდის ისტორია ქართული ეროვნული სკოლის ფენომენია, რომელმაც მძლავრი ბიძგი მისცა XIX ს-ის საქართველოში პედაგოგიური აზრის განვითარებას და სწავლა-აღზრდის შესატყვისი ეროვნული თეორიის დამუშავებას.

დღეს არ შეიძლება გულის სიღრმემდე არ გვაწუხებდეს ჩვენი სკოლის დღევანდელი მდგომარეობა. არ შეიძლება არ გვაღელვებდეს ის, რომ თანდათან იკარგება წიგნის სიყვარული, მკვიდრდება ზედაპირულობა. თვალში საცემია ღირებულებებისადმი მოზარდთა უპატივცემულობა, სისასტიკემდე მისული უხეშობა. მათ გადასარჩენად ყველაფერი უნდა ვიღონოთ. ამ საქმეში წარსული მემკვიდრეობის, რელიგიური სწავლებისა და აღზრდის სისტემის შესწავლას და დადებითი მხარეების გამოვლენა-დანერგვას დღევანდელ სკოლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ზნეობრივ-რელიგიური აღზრდის თვალსაზრისით.

ᲨᲣᲐ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲔᲑᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲖᲘᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐᲨᲘ

ნოდარ ბახტაძე

სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი
თბილისი, საქართველო

ქართველ ისტორიკოს მეცნიერთაგან არავინ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ქრისტიანული მონასტიციზმის იდეა საქართველოში უმთავრესად წმინდა მიწებზე, სირია-პალესტინასა და ეგვიპტეში IV-VII სს ფართოდ გავრცელებული უდაბნო-მონასტრების ზეგავლენით ჩაისახა. ამ ვერსიას ადასტურებს ჩვენს ხელთ არსებული თითქმის ყველა ისტორიული წყარო – წმინდანთა ცხოვრებები, ისტორიოგრაფული თხზულებები და სხვა.

ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, პირველი ქართული მონასტრების სტრუქტურა აღნიშნულ რეგიონებში დღესდღეობით კარგად შესწავლილი, იმავე ეპოქის მონასტრების მსგავსი უნდა იყოს. წმინდა მიწის მონასტრების ზოგადი სახე კი ასეთი იყო: სენაკებად ხშირად გამოიყენებოდა კლდოვან კანიონებში გამოკვეთილი ქვაბები ან რეკონსტრუირებული ბუნებრივი მღვიმეები. ასეთივე გამოქვაბულებში მცირე სამლოცველოებიც იყო ხოლმე მოწყობილი. იმავე კლდოვან მასივებზე მიშენებულია ან ცალკე აგებული ეკლესიები, სატრაპეზოები, სენაკები, სამეურნეო და საფორტიფიკაციო ნაგებობანი. შინაარსობრივად გამოქვაბულთა და შენობათა ეს ერთობლიობები ქმნიდნენ მოზრდილ ლავრებს ან კოენობიუმებს, თუმცა მათგან მეტ-ნაკლები დაშორებით არსებობდა მცირე სადაყუდებულო-სოხასტერებიც, რომლებიც ხშირად მხოლოდ ქვაბებისგან შედგებოდა.

XX საუკუნის პირველი ნახევრისა და თანამედროვე ქართველი ისტორიკოსების ერთ ნაწილს, ეთანხმება რა ქართული მონასტიციზმის სირიულ-პალესტინურ ქრისტიანულ სამყაროს გავლენით წარმოშობის კონცეფციას, უძველესი ქართული უდაბნო-მონასტრების სტრუქტურა და განვითარების ეტაპები აღწერილი აღმოსავლურ-ქრისტიანული სქემისგან, რამდენადმე განსხვავებულად წარმოუდგენია. მათი აზრით, სამონაზვნო ცხოვრებას საქართველოში, ჩასახვიდან დაწყებული VIII-IX საუკუნეებამდე „მარტომყოფი" მეუდაბნოების ხასიათი ჰქონდა და მონაზვნები მხოლოდ კლდეში ნაკვეთ ეკლესია-სენაკებში მოღვაწეობდნენ,

ხოლო ქვის ნაგებობები და ამასთან ერთად, ნამდვილი სამონასტრო სტრუქტურა ასეთ უდაბნოებში მხოლოდ შემდეგ ეტაპებზე ჩნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი აზრით, ეს თეორია დაზუსტებას მოითხოვს. მაგალითად, გაუგებარია, თუ რატომ განსხვავდებოდა ასეთი შეზღუდვებით საქართველოში დაარსებული მონასტრები წინააზიური პროტოტიპებისაგან, მათ შორის, იქ მდებარე, ჩვენთვის კარგად ცნობილი ქართული მონასტრებისაგან, სადაც საწყის ეტაპებზევე შერწყმული იყო კლდეში ნაკვეთობები და ცალკე მდგომი ქვითკირის ნაგებობები.

ესეც არ იყოს, თვით საქართველოშივე მრავლად შეგვიძლია მივუთითოთ ისეთ მონასტრებზე, სადაც VI-VII სს კლდეში ნაკვეთი და ქვით ნაგები კომპონენტების ერთობლიობა აშკარაა (შიო-მღვიმე, ზედაზენი, კონდამიანი, კაცხის სვეტი და სხვ.).

აქედან გამომდინარე მოსალოდნელია, რომ მომავალში, VI-VII სს დაარსებულ ქართულ ქვაბოვან უდაბნოთაგან ზოგიერთში, ინტენსიური არქეოლოგიური კვლევის შედეგად, ამავე ეპოქის მონასტრებისთვის დამახასიათებელი ქვის ხუროთმოძღვრების უაღრესად საინტერესო ნიმუშების კვალიც აღმოჩნდეს.

"მაყვლოვანის" ეტიმოლოგიისათვის ძველ ქართულ მწერლობაში

ქეთევან ბეზარაშვილი
კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

ბერნარ კული
ლევენის კათოლიკური უნივერსიტეტი
ლევენი, ბელგია

მოსეს გამოცხადების ბიბლიური ეპიზოდის ძველ ქართულ თარგმანში (გამოსვ.3,2) ბერძნული სიტყვა βατος (ბუჩქი), თარგმნილია როგორც "მაყულოვანი". სამეცნიერო ლიტერატურაში იგი განიმარტებოდა იმ მნიშვნელობით, რაც მას აქვს თანამედროვე ქართულში – კენკროვანი შავი ნაყოფის მქონე ბუჩქი. ბიბლიური ტექსტებისა და ძველი ქართული მწერლობის სხვა ნიმუშების ანალიზი ცხადყოფს, რომ სიტყვა "მაყვალს" ძველ ქართულ მწერლობაში, ისევე როგორც ძველ ბერძნულ სიტყვა βατος- ს ჰქონდა ძირითადად შემდეგი მნიშვნელობები: 1. ზოგადად ეკლიანი ბუჩქისა და 2. კონკრეტულად მაყვლის ბუჩქისა, რომელიც ასევე ეკლიანია. თანამედროვე ქართულში მას მხოლოდ მეორე მნიშვნელობა შერჩა. ბიბლიურ წიგნთა სხვა თარგმანებშიც აქცენტიებულია ამ სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა – ბუჩქი და მისი ეკლოვანება, რაც ხაზგასმულია აგრეთვე ბიბლიურ და ქრისტიანულ მწერლობაში მისი სიმბოლური გააზრებისას: მიწიერისა და საღვთოს ანტინომია, კაცობრივი და საღვთო ბუნების შერწყმა ქრისტეში, ღვთისმშობლის პარადიგმა და სხვ.

ძველ ქართულ მწერლობაში მაყვლის სიმბოლური მნიშვნელობა განსაკუთრებით აქცენტირებულია "მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ში. სახეში - ნინო მაყვლოვანში და ჯვრის აღმართვა მასში - ჩანს მაყვლოვანის, როგორც ეკლოვანის, შემდეგი სიმბოლური მნიშვნელობანი: 1. რამდენადაც იგი მიწიერისა და ზეციურის,

წარმართულისა და ქრისტიანულის გამომხატველია, იგი მიუთითებს წარმართული ქვეყნის მოქცევაზე; 2. რამდენადაც იგი ღვთისმშობლის პარადიგმაა და მოცემულ კონტექსტში გამოხატავს ღვთისმშობელსა და წმ. ნინოს შორის ჰიპოდიგმატურ-პარადიგმატურ ურთიერთმიმართებას, ამდენად იგი აქ აღნიშნავს აგრეთვე ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის მოქცევას ნინოს მიერ.

ადრეული ქრისტიანობა: ახალი პედაგოგიური პარადიგმის ჩამოყალიბება

ვიტალი ბეზროგოვი

რუსეთის ჰუმანიტარული სახელმწიფო უნივერსიტეტი
მოსკოვი, რუსეთი

ქრისტეს პიროვნების განხილვა გვეხმარება ახალი აღქმის პედაგოგიური კონცეფციის დახასიათებაში, როგორც ჩვეულებრივი ებრაელი რაბი იესო გარშემორტყმული იყო მოწაფეებით. თავის ქადაგებებში ხშირად იყენებდა ახლო აღმოსავლეთისათვის დიდაქტიკური მეთოდების, არგუმენტების, იგავების, აფორიზმების, ალეგორიების სისტემას. თუმც მისი სახე როგორც რაბისა, ზუსტად არ ემთხვევა პალესტინელი რაბის ტრადიციულ სახეს. იმის მაგიერ რომ დაეცადა ვიდრე მოწაფეები თავად მივიდოდნენ მასთან, იესო მოგზაურობდა მთელ ქვეყანაში; იგი არ ითხოვდა თავისი მიმდევრებისგან ეზუთხათ რიტუალური ტექსტები. მისი მოძღვრება გამიზნული იყო თაობიდან თაობაში გადასაცემად და ღია იყო რადიკალური ცვლილებებისათვის. დ. დაუბეს (D. Daube) მიხედვით იესო ასწავლიდა ნამდვილი რაბის ძალმოსილებით. გ. ვერმესის (G. Vermes) თვალსაზრისით იესო იყო ხარიზმატული მოძღვარი. რ. რაისნერი (R. Riesner) განიხილავს იესოს, როგორც მოძღვარ წინასწარმეტყველს, ვ. რობინსი (V. Robbins) კი თვლის, რომ იესო როდი მოძღვრავდა ძველი ალთქმის წინასწარმეტყველთა, მაგალითად, ელიას მსგავსად: იგი ასწავლიდა თავისი ძალმოსილებით, როგორც ღვთაებრივი მხსნელი. ფ. დოუნინგის (F. Dowing) აზრით, იესო უნდა განხილულ იქნეს, როგორც სახალხო კინიკი მქადაგებელი. ამ შეხედულებას აკრიტიკებს ა. მალჰერბი (A. Malherble), რომლის მიხედვით ფ. დოუნინგის მიერ წარმოდგენილი მასალები მიუთითებს ხალხურ ფილოსოფიაზე და არა კინიკიზმზე.

ისევე როგორც იესოს ინფორმაცია იქცევა ინფორმაციად თავად იესოზე, ასევე იესოს მოძღვრება წარმოგვიდგება, როგორც მოძღვრება იესოზე. ყოველი ახალი თაობა აღიზრდება მისი სახელით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაქსიმე აღმსარებელი საქართველოში

თამაზ ბერაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო.

წმინდა მამა მაქსიმე აღმსარებელი და მისი ორი მოსწავლე 662 წ. გადაასახლეს დასავლეთ საქართველოში და ჩაამწყვდიეს ციხე-სიმაგრეში, სადაც იგი გარდაიცვალა კიდეც იმავე წლის 13 აგვისტოს. ანასტასი აპოკსიარისა და თეოდოსი განგრელის ცნობით, წმინდა მამა გარდაიცვალა სხიმარის ციხე-სიმაგრეში და დაიკრძალა მის მახლობლად. წმინდა მაქსიმეს ცხოვრების მიხედვით, გამოჩენილი ღვთისმეტყველი გარდაიცვალა ჰიმარის ციხე-სიმაგრეში, ხოლო დაიკრძალა წმ. არსენის მონასტერში, რომელიც, როგორც ჩანს, ამ ციხე-სიმაგრის მიდამოებში მდებარეობდა. ერთ ქართულ ხელნაწერში, იმ ადგილს, სადაც მაქსიმე აღმსარებლის ბოლო დღეებზეა საუბარი, აშიაზე XIIს-ის ხელით მინაწერია გაკეთებული: „წმინდა მაქსიმეს ნაწილნი მახლობლად ცაგერისა".

სხიმარი და ჰიმარი ქართული გეოგრაფიული სახელწოდების ბიზანტიური გამოთქმის ორი ვარიანტი უნდა იყოს. ჩანს ეს არის დღევანდელი სოფელი გვესო, ცაგერის მახლობლად, სადაც დღემდე შემორჩენილია ადრე შუასაუკუნეების ციხე-სიმაგრის ნანგრევები სამნავიანი ბაზილიკით. საფიქრებელია, რომ ეს ბაზილიკა ეკუთვნოდა წმ. არსენის მონასტერს, რომელსაც შემდეგ წმ. მაქსიმეს სახელი ეწოდა. მაქსიმე აღმსარებლის მონასტერი მოხსენებულია ვახუშტი ბაგრატიონთან და აღნიშნულია 1737 წლის დასავლეთ საქართველოს რუკაზე. ასევე წმინდა მაქსიმეს სახელს ატარებდა პატარა ეკლესია ცაგერის მახლობლად მდ. ცხენისწყლის ნაპირას, რომლის ნანგრევებმა დღემდე მოაღწია.

<u>სამარხო</u> ქართველთა ქრისტიანულ და სამიწათმოქმედო კულტურულ ტრადიციებში

ლიანა ბერიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

წერილობით წყაროებში ხშირად ვხვდებით <u>სამარხოს</u>, როგორც საგადასახადო ობიექტის აღმნიშვნელ ტერმინს. ასეთებია: ქართლის სამთავნელის სარგოს ნუსხა (XI ს.) და სამთავნელის საკანონოს საბუთები (XIVს.), საყაფლანიშვილოს ძღვენისა და სამასპინძლოს გარიგების დავთარი (XVII ს.), ვახტანგ VI დასტურლამალი (XVIII ს.) და სხვა. როგორც სპეციალურად ჩატარებული კვლევის საფუძველზე გამოვლინდა, ყველა წყაროში „სამარხო" თუ „სამარხო გამოსაღები" პარკოსან კულტურებს შეესატყვისება და წარმოდგენილია, როგორც კულტურათა კონკრეტული დასახელებით (მუხუდო, ოსპი, ცერცვი და ა. შ.), ასევე დასახელების გარეშე. მოტანილია აგრეთვე სამარხო მარცვლეულის თესვის ვალდებულება.

ცხადია, სამარხო გადასახადი რელიგიური მარხვების პერიოდში პარკოსნების გამოყენების აუცილებლობას ასახავს და უნდა გვეფიქრა, რომ სახელწოდებაც მათ ამ მნიშვნელობიდან მიენიჭათ. მაგრამ გასათვალისწინებელია ის, რომ ეს მარცვლეული როგორც სამარხო, ასევე ყოველდღიური ძირითადი მოხმარების ნედლეული იყო. საკითხის გასარკვევად მოვიხმობთ სიტყვა „მარხვის" ადრინდელ მნიშვნელობას, რომლითაც იგი „შენახვას" შეესატყვისება – დამარხვა – შენახვა, დაცვა (ძველი აღთქმა, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, ს.ს. ორბელიანი – ლექსიკონი და სხვა). სწორედ აქედან გამომდინარე ი. ჯავახიშვილი ყურძნის ჯიშის – სამარხვოს სახელს უკავშირებს მარხვის იმ თავდაპირველ მნიშვნელობას, რომლითაც იგი ძველ ქართულში შენახვას უტოლდებოდა და ხანგრძლივად შესანახი ჯიშის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო.

ამჟამად ტერმინი სამარხო დასტურდება აღმოსავლეთ საქართველოს რამდენიმე რეგიონში (კახეთი – ქიზიყი, ქვემო ქართლი), როგორც საბოსტნე პარკოსანი კულტურა. პარკოსანი სამარხო შესულია აგრეთვე ა. მაყაშვილის ბოტანიკურ ლექსიკონში და ახსნილია, როგორც ცულისპირა – ატჰიზუს სატივუს.

არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით იკვეთება აზრი, რომ სამარხო არის პარკოსანი კულტურების უძველესი ზოგადი სახელწოდება, რომელიც მათი ხანგრძლივად შენახვის უნარსა და საჭიროებას ასახავს. რელიგიურ მარხვასთან მიმართებაში მხოლოდ ტერმინთა დამთხვევას უნდა ჰქონდეს ადგილი, მითუმეტეს რომ სჯულის წესის შენახვის გაგებით ანუ მეორადი მნიშვნელობით ეს სიტყვა ბიბლიაში შენახვის პარალელურად არსებობს (ი. ჯავახიშვილი). იმის გათვალისწინებაც იქნება საჭირო, რომ პარკოსნები მსოფლიოში პირველი კულდტურული მცენარეებია (ნ. ვავილოვი), და ცხოველური ცილების ჭარბი შემცველობის გამო, ეთნოსის სიცოცხლით უზრუნველყოფის სისტემაში ძირითად ფენას წარმოადგენენ.

ქრისტიანობის ისტორიიდან საინგილოში

მარინე ბოკუჩავა

სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი
თბილისი, საქართველო

სხვადასხვა ხასიათის ისტორიული, თუ პოლიტიკური ვითარების შედეგად საქართველოს ისტორიული პროვინცია საინგილო 1921 წ. აზერბაიჯანის შემადგენლობაში შევიდა.

ტერმინი „ინგილო" წარმოიქმნა XVIII საუკუნეში, როდესაც მოხდა ამ მხარის ქართველთა მასიური გამაჰმადიანება. „ინგილო" თურქული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს ახლადმოქცეულს.

ეთნიკური შემადგენლობის მიხედვით საინგილო საკმაოდ ჭრელია. გარდა ქართველებისა აქ სახლობენ: დაღესტნელები, მულალი თათრები, აზერბაიჯანელები, რუსები, სომხები და სხვ. ძირძველი მოსახლეობა, ქართველები, ცხოვრობენ საინგილოს მთელ ტერიტორიაზე. ქრისტიანები – კახის რაიონში. მათი რიცხვი 8 ათასს აღემატება. მაჰმადიანი ქართველები კი ცხოვრობენ ზაქათალისა და ბელაქანის რაიონებში. მაჰმადიან ინგილოთა რიცხვი 15 ათასს აღწევს.

მოხსენებაში მოკლედაა აღწერილი საინგილოს ქრისტიანობის ისტორია. აქ უქადაგიათ წმ. ელისეს და წმ. ნინოს. ენერგიული ზომები მიულიათ ქრისტიანობის განმტკიცებისათვის მეფეებს მირიანს და არჩილს, მაგრამ, საბოლოოდ, ამ მხარეში ქრისტიანობა X ს-ში დინარ დედოფალმა დაამკვიდრა.

საქართველოს სახელმწიფოებრივი და კულტურული აღმავლობის ხანაში (XI-XIII სს.) საინგილოში ქრისტიანული სარწმუნოება ყვაოდა, მაგრამ მონღოლ-თათართა შემოსევებმა, ლეკთა თარეშმა და ჩამოსახლებამ, განსაკუთრებით კი შაჰ-აბასის მიერ საქართველოს აოხრებამ კვლავ სავალალო მდგომარეობაში ჩააგდო

ეს მხარე. ქრისტიანობას სასტიკად სდევნიდნენ. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ იმ მძიმე, უმღვდელო ხანაში, მღვდლის ფუნქცია ოჯახის უფროსმა ქალებმა იკისრეს.

მოხსენებაში საუბარია აგრეთვე ზოგიერთი გვარის როლზე ქრისტიანობის შენარჩუნების საქმეში.

განხილულია ქრისტიანობის მდგომარეობა XIX ს-ში. მისი აღზევება 50-იან წლებში და ხელახალი დაცემა.

საუბარია ქრისტიანული რელიგიის მდგომარეობაზე XX ს-ში – საბჭოურ და პოსტსაბჭოურ პერიოდებში. აღსანიშნავია, რომ XX ს-ის 80-იანი წლებიდან საინგილოში ქრისტიანობამ აღორძინება დაიწყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტი 1918-1921 წლების საქართველოში

ელდარ ბუბულაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

1917 წლის 12 მარტს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა წინამორბედი ნაბიჯი იყო თავისუფლების მოპოვების გზაზე, რასაც მალე 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება მოჰყვა. დამოუკიდებლობის მოპოვებით გამოწვეული სიხარული ეკლესიამაც გაიზიარა. იმედი იყო, რომ თავისუფალი ქვეყნის მთავრობა მხარში ამოუდგებოდა ახალფეხადგმულ ეკლესიას, მაგრამ ეს იმედი არ გამართლდა. ხელისუფლების სათავეში მოსული სოციალ-დემოკრატიული მთავრობა ანტირელიგიური პროპაგანდის საშუალებით ახდენდა ეკლესიისა და სახელმწიფოს ერთმანეთისაგან გამიჯვნას.

1918 წელს სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ გააუქმა სასულიერო სასწავლებლები, რითაც ეკლესიას მოუსპო საშუალება სასულიერო კადრები მოემზადებინა. პარლამენტის 1918 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით სასწავლებლებში აიკრძალა საღვთო რჯულის სწავლება. 1918 წლის 3 დეკემბრის მთავრობის განკარგულებით ეკლესიას ჩამოერთვა სამოქალაქო რეგისტრაციის უფლება. ეკლესიის წინააღმდეგ იყო მიმართული დამფუძნებელი კრების მიერ 1919 წლის 17 ივლისს ზოგიერთი საეკლესიო უქმე დღის გაუქმება.

აგრარული საკითხის გადაწყვეტის დროს სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ ეკლესიას არათუ დაუბრუნა ის საეკლესიო მიწები და ქონება, რომელიც მან ავტოკეფალიის გაუქმების დროს დაკარგა, არამედ სახელმწიფოს მფლობელობაში გადავიდა ის მცირე საეკლესიო მიწებიც, რომელიც მას ეგზარქოსობის დროს ჰქონდა. ეკლესია სახელმწიფოსაგან მცირე სუბსიდიებს და ნატურალურ ულუფას იღებდა, მაგრამ 1920 წლის მთავრობის განკარგულებით სასულიერო პირებს შეუწყდათ ულუფის მიღება. 1920 წლის 21 მაისის დეკრეტით საეკლესიო ქონება სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა. შექმნილ კომისიას დაევალა მათი მუზეუმებში თავმოყრა.

1920 წლის 27 ივნისს გამართულმა საეკლესიო კრებამ იმსჯელა მთავრობის მიერ ეკლესიის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილების შესახებ და აღნიშნა, რომ დიდად ილახებოდა ეკლესიისა და მორწმუნე ერის ინტერესები. საეკლესიო კრების გადაწყვეტილებები მთავრობას ეცნობა. საკათალიკოსო საბჭო წინააღმდეგი არ იყო ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფისა. ეკლესია უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტას დემოკრატიული მთავრობა ათეისტური პროპაგანდის ფონზე ახდენდა.

მართალია, სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფა 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციით დაფიქსირდა და მას იურიდიულად არ უმოქმედია, მაგრამ კონსტიტუციის მიღებამდე მთავრობა ფაქტობრივად ეკლესიას სახელმწიფოსაგან ჩამოშორებულად განიხილავდა.

ასე რომ, სოციალ-დემოკრატიული მთავრობის მიერ დამოუკიდებელ საქართველოში ეკლესიის წინააღმდეგ დაწყებული ათეისტური ბრძოლა, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ბოლშევიკებმა ბარბაროსული მეთოდებით გააგრძელეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XIII-XIV სს. ხატები სინას მთაზე და საქართველოში

ნანა ბურჭულაძე

შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი
თბილისი, საქართველო

სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერი საზღვარგარეთ არსებული ქართული კულტურის ძეგლების უმნიშვნელოვანესი საცავია. აქ ინახება ქართული ხელნაწერებისა და ხატების მდიდარი კოლექცია.

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში დაცული უბისის მონასტრის ხატები (წმ.გიორგის ხატი მისი ცხოვრების სცენებით, ღმრთისმშობლის ორი კარედი და კანკელის ცხრა ხატი "ვედრების რიგით") დიდ მსგავსებას ამჟღავნებს სინაზე დაცულ XIII-XIV საუკუნეების ხატების ერთ ჯგუფთან (წმინდანთა "ცხოვრებიანი" ხატები, ღმრთისმშობლის კარედი იაკობის პირველსახარების სცენებით, მრავალკარედის ფრაგმენტები ქართველ წმინდანთა გამოსახულებებით, ორკარედის ფრთა წმ. პეტრესა და წმ. ნიკოლოზის ფიგურებით და სხვა).

ამ ძეგლების იკონოგრაფიული და სტილური ნიშნების შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ უბისში მომუშავე მხატვრები კარგად იცნობდნენ სინურ მასალას და რომ საქართველოსა და სინას მთას შორის ტრადიციულად მჭიდრო შემოქმედებით კავშირებს XIII-XIV საუკუნეებშიც ცხოველი ხასიათი ჰქონია.

მხედარი წმ. გიორგის უძველესი გამოსახულებები საქართველოში

გიორგი გაგოშიძე

შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი
თბილისი, საქართველო

1. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ინახება ადრეშუასაუკუნეების სამი სტელა (ბრდაძორის დიდი და მცირე სტელები, აღეგის სტელა), რომლებზეც შემორჩენილია წმ. მხედრების გამოსახულებები. სამივე სტელაზე მხედარი შუბით გმირავს გველეშაპს. გამოსახულებათა ძლიერი დაზიანებულობის მიუხედავად ხვეულთმიანი, უწვერული მხედრის წმ. გიორგისთან გაიგივება ეჭვს არ იწვევს.
2. კვეთის მანერით, სტილისტური და იკონოგრაფიული ნიშნებით სტელები მეექვსე საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება, ხოლო ბრდაძორის დიდ სტელასა და აღეგის სტელას ქართული ასომთავრული წარწერებიც ახლავს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს აკად. გ.ჩუბინაშვილის ვარაუდს მხედარი წმ. გიორგის იკონოგრაფიული ტიპის საქართველოში ჩამოყალიბების შესახებ.
3. ამ ადრეულ გამოსახულებებში დიოკლეტიანეს ნაცვლად გველეშაპის მლახვრელი წმ. გიორგის სახეს უთუოდ წინარექრისტიანული ხანის მითოლოგემა უდევს საფუძვლად, სადაც გველეშაპი წყალთან დაკავ-

შირებული ქტონიური სამყაროს სიმბოლოდ აღიქმება. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ ჩვენს სტელებზე წმ. გიორგისა და გველეშაპს შორის დატოვებულია გამყოფი ხაზი, რომელიც აზრობრივად აცალკევებს ამა ქვეყანას ქვესკნელისაგან.

4. სტელათა იკონოგრაფიულ პროგრამაში გველეშაპის მლახვრელი წმ. გიორგის კომპოზიციის ჩართვა, როგორც ჩანს, წარმართობაზე ქრისტიანობის ტრიუმფის სიმბოლურ გამოსახულებად უნდა ჩაითვალოს.
5. წმ. გიორგის ასეთი ადრეული გამოსახულების (VI ს-ის მეორე ნახევარი) არსებობა, საფუძველს აცლის სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებულ მოსაზრებას, საქართველოში წმ. გიორგის კულტის მხოლოდ მეშვიდე საუკუნიდან გავრცელების შესახებ და საქართველოს იმ აღმოსავლეთ-ქრისტიანული ქვეყნების წრეში აქცევს, სადაც წმ. გიორგის იკონოგრაფიული ტიპი ყალიბდებოდა.

ქრისტიანობა და წარმართობა IV-VI საუკუნეების შიდა ქართლში

იულონ გაგოშიძე

სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი
თბილისი, საქართველო

1. წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიის მონაცემების თანახმად, ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადების წინა ხანაში რთული და ჭრელი რელიგიური სიტუაცია სუფევდა: ქართული ხალხური წარმართობის მიმდევარია და ძველ მაზდეანთა გვერდით აქ სახლობდნენ ბერძენ-რომაელი წარმართები, სპარსულ-სასანური ზოროასტრიზმის აღმსარებელნი და იუდეველები, რომელთა შორის ნაზარეველნიც ანუ იუდეველი ქრისტიანებიც უნდა ყოფილიყვნენ; იყვნენ მცირერიცხოვანი ქრისტიანებიც და აქტიურობდნენ მანიქეველები.
2. ქართლის მეფის, ამაზასპის მანიქეველად მოქცევა, რაც, ეფიქრობ, მისი ანტიირანული განწყობის გამოხატულება იყო, შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ერთგვარი პრელუდია წმიდა ნინოს მიერ მირიანის მონათლისა.
3. მირიანთან ერთად მოინათლა მისი დიმენი, რომელიც მცხეთის დასავლეთით თხოთის ქედს აღწევდა. წმიდა ნინოს სახელთან არის დაკავშირებული ქართლის მთიულთა და კახეთის გაქრისტიანებაც, მაგრამ მოკიჭულთასწორის მოღვაწეობა არ შეეხებია შიდა ქართლის დასავლეთ ნაწილს, რომელსაც ხელისუფლება, როგორც ჩანს, პოლიტიკურად საიმედო მხარედ თვლიდა, და ქართლის ეს კუთხე კიდევ კარგა ხანს წარმართობაში დარჩა. ამ გარემოებამ ასახვა ჰპოვა ადრექრისტიანული ძეგლების (ეკლესია-მონასტრების, ქვაჯვარების) ტოპოგრაფიაში ისტორიული ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე.
4. არქეოლოგიური მონაცემები მოწმობს, რომ IV-VI საუკუნეებში შიდა ქართლის დასავლეთ ნაწილში, ბარშიც კი უპირატესად წარმართნი ცხოვრობდნენ. ამასვე მოწმობს აქ IV-V საუკუნეთა ეკლესიებისა და ქვაჯვარების არარსებობა.
5. მხოლოდ V საუკუნის ბოლო მეოთხედში, როდესაც ქართლში სასანური ზოროასტრიზმის მოძალებამ ქვეყნისათვის საშიში მასშტაბი მიიღო. ვახტანგ გორგასალმა განაახლა სახელმწიფოებ-

რივი ზრუნვა ქრისტიანობის განსამტკიცებლად, მაგრამ პირველი ეკლესიები შიდა ქართლის და-
საავლეთ ნაწილში მხოლოდ ვახტანგ მეფის გარდაცვალების შემდეგ შენდება, ხოლო ამ კუთხის
საბოლოოდ გაქრისტიანება აკამეტ სირიელ მამათა მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წმ. იოანეს საფლავის შესახებ რილაში

ივანკა გერგოვა

ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევების ინსტიტუტი
ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემია
სოფია, ბულგარეთი

პირველქრისტეანთა მიმართება წარმართული კერპებისადმი „წმ. ნინოს ცხოვრების“ მიხედვით

მარიამ გველესიანი

შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი
თბილისი, საქართველო

წმ. "ნინოს ცხოვრება" მოგვითხრობს, რომ მას შემდეგ, რაც ქარმა და სეტყვამ შემუსრა არმაზის, გაცისა და გაიმის კერპები, "ქება-დიდება ქრისტესი არღარა ფარულად ითქმოდა ქართლსა შინა". ორი დიდი ეპოქის--წარმართულისა და ქრისტიანულის სამანი ქართლში "ქუათა და ძელთა, სპილენძსა და რვალსა განჭედილსა ღმერთთა" მსხვრევით მოინიშნა, იმ ღმერთთა მსხვრევით, რომელთა მსახურნიც, წმ. ნინოს სიტყვებით, ცოცხლად შთაენთქა ეშმაკს, რადგან მათ ცნობდნენ ყოვლის შემოქმედ ღმერთად.

ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები წარმართულ მსხვერპლშეწირვას წარმოგვიჩენს, როგორც რიტუალს, "უსაძაგლეს ეშმაკთა" მიმართ "ბოროტად შეცდომილ კაცთაგან" აღსრულებულს. წარმართული ღვთისმსახურების ობიექტთა "ეშმას", "დემონის" სახელით მოხსენიება ჩვეული მოვლენაა ქრისტიანულ სამყაროში. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქრისტიანოს წმინდანთა ცხოვრებანი უამრავ მაგალითს მოიცავს დემონური ძალის მქონე წარმართულ კერპთა შემუსვრისა, რომლებშიც, პირველქრისტიანთა აზრით, ბოროტი, ავსული, ეშმა ბუდობდა (კერპის მსხვრევა ქ.ღაზაში 402 წ.). კერპთა ქმედითუნარიანობა მათში დემონურ ძალთა არსებობითაა განპირობებული. არმაზის ქანდაკება ხმალს სასიკვდილოდ იქნევს, რაც ირგვლივმყოფთა შიშს იწვევს. როგორც ჩანს, ტექსტში აღწერილი ეს ირეალური მომენტი კერპთა მიმართ ზოგადქრისტიანული თვალთახედვის ანარეკლი უნდა იყოს.

საღვთო წერილისა და ადრექრისტიანული ტრადიციის მიხედვით, ღმერთი უხილავია და გამოუსახვადი. იგი კრძალავს ნებისმიერ მცდელობას სხეულებრივ ფორმაში ღვთის წარმოდგენისა (მოსე 4:15, ესაია 40:18; 41:17, 29; 45:9; 46:5; საქმენი 17:29). ანტიკურ ხანაში კერპებს simulacrum-ს, ანუ "მსგავ-

სად შექმნილს“ უწოდებდნენ. ლაქტანციუსისა და ევსებიუსისათვის (IV ს.) ყოველგვარი კერპი არაღვთაებრივია, რამდენადაც “კაცის სახედ“-აა აღმართული. ნეტარმა ავგუსტინემ თავის De Civita Dei-ში კერპთაყვანისმცემლობა განმარტა, როგორც სხეულებრივი ცოდვა, რამდენადაც იგი უკავშირდება სხეულებრივ ხილვადობას ხრწნადი მატერიისაგან ქმნილი ღვთაებისას. სწორედ კერპთა მატერიალურობა, მასალით ქმნადობაა ქრისტეანთაგან უარყოფითი განსჯის საგანი (უცნობი ავტორის ეპისტოლე დიოგნეტესადმი).

ასე რომ, წმ. ნინოს მკვეთრად უარყოფითი პოზიცია “ქუათა და ძელთა, სპილენძსა და რვალსა განჭედილს ღმერთთა“ მიმართ, დამოუკიდებლად იმისა, რეალური სინამდვილის ამსახველია თუ არა ეს ფრაზა, მიგვანიშნებს რომ ქართული სამყაროსათვის უცხო არ უნდა ყოფილიყო საღვთო წერილსა და ქრისტიანულ მწერლობაში დამკვიდრებული ტრადიცია წარმართულ კერპთა ამგვარი დეფინიციისა.

ბერძნული აპოლოგეტური მწერლობის მოტივები ძველ ქართულ მწერლობაში

მარინა გიორგაძე

შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო

ქართული ზღაპრის ქრისტიანული ასპექტი

ელენე გოგიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

ზღაპარს სხვა ასპექტებთან ერთად (მითოსური, სოციალური, ეთიკური და ა.შ.) მკაფიოდ გამოხატული რელიგიური ასპექტიც აქვს. ეს ყველაზე ნათლად ჩანს ზღაპართა იმ ტიპში, რომლის მთავარ სიუჟეტურ ღერძს მოტივთა ამგვარი კომპლექსი შეადგენს: სამი ძმის გაყრა გზაჯვარედინზე, უმცროსის მიმართ უფროსი ძმების ღალატი, უმცროსი ძმის მიერ ქვესკნელის გველეშაპის დამარცხება და შინ გამარჯვებით დაბრუნება.

არსებობს პრინციპული განსხვავება ზღაპრის გმირსა და მითოსურ გმირს შორის, რაც გამოიხატება იმაში, რომ ზღაპრის გმირი თავად განსაზღვრავს თავის ბედს და არჩევანს აკეთებს. ამით ის აგიოგრაფიულ მარტვილსა და სარაინდო ეპოსის პერსონაჟს უთანაბრდება. ქრისტიანი მარტვილის მიერ არჩეული გზა სრულიად გაცნობიერებულია და ამ გზის მოთმინებით გავლა სამუდამო ბედნიერებას ჰპირდება. ზღაპრის გმირიც (როგორც წესი, უმცროსი ძმა) თვითონ ირჩევს ძნელ გზას და მხოლოდ ამ გზის გავლის შემდეგ ეწევა საწადელს, "ვითარ-იგი იწრო არს ბჭე და საჭირველ გზაჲ, რომელი მიიყვანებს ცხოვრებასა" (მათე 7;14).

ზღაპრის გავრცელებული მოტივია უმცროსი ძმის ქვესკნელში მოხვედრა უფროსი ძმების ღალატის შედეგად. ქვესკნელის გამოვლა, გველეშაპის დამარცხება და შინ დაბრუნება შეიძლება პირდაპირ დავუკავშირო ოთ მოწამეობრივი სიკვდილის შემდეგ საუკუნო ცხოვრების დამკვიდრების იდეას.

ზღაპრის ფინალი - უმცროსი ძმის შინ დაბრუნება (ჩვეულებრივ, უფროსი ძმების ქორწილში) მხოლოდ შინ დაბრუნება კი არაა, არამედ ბოროტების მხილება და დასჯაც. უმცროსი ძმა ისევე უარყოფს მამის წინაშე თავის ძმებს, როგორც მათ უარყვეს იგი ("არა მოვედ მე მიფენად მშჳდობისა, არამედ მახჳლისა", მათე 10;34).

ქართულმა ზღაპარმა ისევე, როგორც საერთოდ ქართული კულტურის თითქმის ყველა დარგმა ქრისტიანიზაცია განიცადა და იმავდროულად შეინარჩუნა ქრისტიანობამდელი მსოფლმხედველობის ნიშნები.

ქართული სუფრის წესების რელიგიური სემანტიკა

გიორგი გოცირიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

მოხსენებაში განხილულია კვების ხალხური სისტემის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის – რიტუალური პურობის - ტრადიციული ფორმების რელიგიური სემანტიკისა და სიმბოლიკის საკითხები კულტურულ-ისტორიულ ჭრილში. კერძოდ, სამგლოვიარო სუფრა, რომელიც საწესო სუფრის სხვა სახეობებზე მეტად საკრალიზებული, არქაული და კონსერვატულია. ეს გამოიხატება არა მხოლოდ მის გარეგნულ ნიშნებში, არამედ დანიშნულებაშიც. სამგლოვიარო სუფრის შინაგანი სტრუქტურა აშკარად გამოხატავს წარმართული და ადრექრისტიანული ხანის რელიგიური რწმენა-წარმოდგენების სინკრეტიზმს.

ჭირის სუფრის საკრალური ფუნქცია, უწინარეს ყოვლისა, მიცვალებულის კულტისადმი გაწეული მსახურებაა, რომელიც სამყაროს სივრცობრივი აღქმის სემიოტიკურ გააზრებაში, მოკვდავი და აღდგენადი ღვთაებების იდეათა ზეგავლენით სიკვდილ-სიცოცხლის, საიქიოსა და სააქაოს (სამზეოს) ურთიერთმიმართებაში ვლინდება.

აღნიშნულ კონტექსტში ყურადღებას იპყრობს მიცვალებულთან დაკავშირებული ხარჯები//სუფრები, რომლებშიაც ორი არსებითი მომენტია გამოკვეთილი: თვით მიცვალებულისათვის განკუთვნილი კვება (თავთან დადგმული „საგზლისა“ და „საკურთხის“ სახით) და ჭირისუფლის გამასპინძლება კოლექტიური ტრაპეზის ფორმით. პირველი მომენტი სხეულისა და სულის მატერიალიზაციის ანიმისტური შეხედულების ფონზე, გულისხმობს საიქიოში მიცვალებულის საკვებითა და საჭირო საგნებით უზრუნველყოფას, მეორე მომენტი კი მოიცავს, ერთის მხრივ, წარმართული ხანის კოლექტიური ტრაპეზის არქაულ ელემენტებს და მეორეს მხრივ, საიდუმლო სერობის ანუ ევქარისტიის ნიშნებს, რომლის თანახმადაც პურობის ყველა მონაწილე, მიცვალებულისთვის მისაგებებელი და ამავე დროს აღდგენადი ღვთაებისადმი გამიზნული საწირველის მოზიარე ხდება ქრისტეს სისხლთან და ხორცთან გაიგივებული პურითა და ღვინით.

ამავე რიგის საკითხებს განეკუთვნება მიცვალებულის სახელობაზე დადგმული ტაბლა, სულის ახსნის, ანუ ხელის გახსნის იმიტირებულ ქმედებას რომ უკავშირდება.

გარკვეული სიმბოლური დატვირთვა აქვს სამგლოვიარო სუფრის სხვა ელემენტებსაც, საკვების მიღება-განაწილებისა და ღვინის სმის წესს, სადღეგრძელოებს და სხვა, რომელთა სემანტიკური ანალიზიც ერთიან კომპოზიციაში უნდა იქნეს წარმოდგენილი.

ქრისტიანული სიუჟეტები XIII-XV სს. ბიზანტიური აბრეშუმის ქსოვილების დეკორირებაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით გუდიაშვილი

გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

ხმელთაშუა ზღვის რეგიონი უძველესი დროიდან განთქმული იყო თავისი დეკორატიული აბრეშუმის ქსოვილებით. ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე მრავალი საუკუნის განმავლობაში მზადდებოდა ქრისტიანული სიუჟეტებით დეკორირებული აბრეშუმის ქსოვილები. ადრეული პერიოდის ძეგლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ქსოვილის ორი ნიმუში: ერთზე გამოსახულია იოსების ცხოვრების ეპიზოდები, მეორეზე დანიელი ლომებს შორის. ასევე, მეტად საინტერესოა ქსოვილის ორი ფრაგმენტი, რომლებზედაც წარმოსახულია ერთზე "ხარება", ხოლო მეორეზე კი "ქრისტესშობა".

ქრისტიანული სიუჟეტებით დეკორირებული აბრეშუმის ქსოვილების წარმოებამ ბიზანტიის იმპერიაში თავისი განვითარების უმაღლეს დონეს XIII-XV სს.-ში მიაღწია. ამ პერიოდის ქსოვილებიდან შთამბეჭდავი დეკორატიულობით გამოირჩევა ეგრეთწოდებული "კარლოს დიდის დალმატიკი". ოქრომკედითა და სხვადასხვა ფერის აბრეშუმის ძაფით დალმატიკის ლურჯ ფონზე ამოქარგულია ოთხი ქრისტიანული სიუჟეტი (XIV ს.). ამ პერიოდის თვალსაჩინო აბრეშუმის ქსოვილებს განეკუთვნება ანდრონიკე პალეოლოგის (1282-1328) დროის ოხრიდის გარდამოხსნა და სალონიკის პანაგუდის ეკლესიაში დაცული სახელგანთქმული "სალონიკის გარდამოხსნა".

მოსკოვის კრემლის საჭურველთსაცავში ინახება ქრისტიანული სიუჟეტებით დეკორირებული სხვადასხვა სახის ბიზანტიური საეკლესიო სამოსელი. მიტროპოლიტ პეტრეს საკოსის (1322 წ.) ლაჟვარდისფერ ფონზე წრეებში ამოქსოვილია ოქროსფერი ჯვრები. მიტროპოლიტ ფოტიუსის ოლარი (XV ს.) დეკორირებულია სხვადასხვა ფერის აბრეშუმის ძაფითა და ადიდაში გატარებული ოქროთი და ვერცხლით. შუაგულში იესო ქრისტეა მკერდამდე წარმოსახული. ოლარზე ამოქარგულია 88 მედალიონი, რომლებშიც განთავსებულია მოციქულების, წინასწარმეტყველებისა და რჩეული მღვდელმთავრების წელზემოთ გამოსახულებანი.

მიტროპოლიტ ფოტიუსის "პატარა" საკოსი (XIV-XV სს.) დეკორირებულია სადღესასწაულო სცენების, სხვადასხვა წმინდანებისა და სარწმუნოების სიმბოლოს გამოსახულებებით. მიტროპოლიტ ფოტიუსის "დიდი" საკოსი (XV ს.-ის პირველი ნახევარი) დეკორირებულია ოქროთი, ვერცხლით და სხვადასხვა ფერის აბრეშუმის ძაფით. საკოსის ცენტრალური ნაწილის ერთ მხარეზე ჯვრის ფორმის ჩარჩოში წარმოსახულია "ჯვარცმა" და "ჯოჯოხეთის წარტყვევნა", ხოლო მეორე მხარეზე კი ასევე ჩარჩოში "ამაღლება" და "მიძინება".

ბიზანტიური დეკორატიული აბრეშუმის ქსოვილების შესწავლისა და ანალიზის შედეგად შესაძლებელი ხდება გამოითქვას მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ქრისტიანული ხელოვნების ამ დარგმა XIII-XV სს.-ში თავისი განვითარების უმაღლეს დონეს მიაღწია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულგარული საეკლესიო მხატვრობა XX ს. პირველ ათწლეულში

რუმიანა დონჩევა

ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევების ინსტიტუტი
ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემია
სოფია, ბულგარეთი

ქრისტიანობა და ზნეობრივ ღირებულებათა სისტემის გარდაქმნა (შუასაუკუნეობრივი ეპოსი და ლიტერატურა)

აზატ ეგიზარიანი

ლიტერატურის ინსტიტუტი
სომხეთის ეროვნული აკადემია
ერევანი, სომხეთი

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1921-1927 წლებში

სერგო ვარდოსანიძე

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

ბოლშევიკური მმართველობის პირველივე დღეებიდან ნათელი გახდა მათი უარყოფითი დამოკიდებულება საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მიმართ. 1921 წლის 15 აპრილის რევკომის დეკრეტით ეკლესია კანონგარეშე გამოცხადდა. საქართველოში შექმნილი რთული ვითარების გათვალისწინებით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოსო საბჭომ, კათალიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ სპეციალური მემორანდუმით მიმართეს გენუის კონფერენციას და ევროპის სახელმწიფოებს თხოვნით, დახმარებოდნენ საქართველოს ბოლშევიკური აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში. მემორანდუმმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კონფერენციის მონაწილეებზე. ბოლშევიკურმა მთავრობამ დააპატიმრა საკათალიკოსო საბჭოს წევრები და კათალიკოსი ამბროსი. დაპატიმრებულნი საშინელ დღეში ჩაცვივდნენ. ოფიციალური პრესა მათ მოიხსენიებდა, როგორც „ბნელეთის მოციქულებს", „უწმიდეს კონტრრევოლუციონერებს". სასამართლო პროცესზე, რომელიც საჯარო ხასიათს ატარებდა, მუშათა კლასის დაქირავებული წევრები სასამართლოს დარბაზში შეურაცხყოფას აყენებდნენ განსასჯელებს. ქართველ სამღვდელოებას სამშობლოს ღალატის ბრალდებას უყენებდნენ ორზუმელოვები, ოქოევები, ვარლომოვები. ამის პარალელურად ხელისუფლების წარმომადგენლები აქეზებდნენ ეპისკოპოს ქრისტეფორეს (ციცქიშვილი). საქმე იქამდე მივიდა, რომ 1923 წლის 9 ოქტომბერს ეპისკოპოს ქრისტეფორეს ფრთამ მოიწვია საკათალიკოსო საბჭოს სხდომა, რომელზეც განაცხადეს, რომ საბჭოთა ხელისუფლება თავის მტრულ დამოკიდებულებას არ შეცვლის თუ მემორანდუმის ავტორები ეკლესიის სათავეში იქნებიანო. უწმინდესმა

ამბროსიმ უარყო ე. წ. პროგრესული მიმართულების და საბჭოთა ხელისუფლებასთან ლოიალობისა და თანამშრომლობის მიმდევართა მოთხოვნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

"პროგრესიულმა ფრთამ" დღის წესრიგში დააყენა ახალი სტილის კალენდრის შემოღების საკითხი და დაადგინა კიდეც 1923 წლის შემოდგომიდან საქართველოს ეკლესია გადასულიყო ახალ სტილზე, თუმცა რეალურად ეს ვერ განხორციელდა.

საკათალიკოსო საბჭო ცდილობდა ეპარქიებში გაძლიერებული ანტირელიგიური ისტერიის მოგერიებას; მიმართავდა მთავრობას; შეახსენებდა, რელიგიის შესახებ მათ მიერვე მიღებულ დეკრეტებს, მაგრამ ვითარება არ იცვლებოდა, პირიქით, უარესდებოდა. კომკავშირელი აქტივისტები ძარცვავდნენ საეკლესიო ქონებას, შეურაცხყოფდნენ სიწმინდეებს. საბჭოთა ხელისუფლების მიზანი იყო მორჩილი ეკლესიის შექმნა. ჯერ კიდევ უწმინდესი ამბროსის სიცოცხლეში სასულიერო პირთა მეშვეობით გაუქმდა საკათალიკოსო საბჭო, შეიქმნა კათალიკოსის „თანაი სინოდი". გაიმარჯვა ხელისუფლებისადმი ლოიალობისა და თანამშრომლობის კურსის მიმდევართა დაჯგუფებამ. ამით მართალია ეკლესია ფიზიკურად გადარჩა, მაგრამ სამაგიეროდ დაკარგა მოსახლეობის, მორწმუნე მრევლის იმ ნაწილის თანადგომა და სიმპათიები, ვისთვისაც სამშობლოს თავისუფლება და ბედნიერება უპირველესი იყო.

ხის სიმბოლიკა წინაქრისტიანულ და ქრისტიანულ ქართულ კულტურაში

ქეთევან ვაშაყმაძე

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

სიცოცხლის (უკვდავების) ხე ყველა ჯადოსნური მცენარის პროტოტიპია, იმ მცენარეებისა, რომლებიც მკვდრებს აცოცხლებენ, კურნავენ ავადმყოფებს, უკვდავებას ანიჭებენ მოკვდავებს, აახალგაზრდავებენ მოხუცებს და სხვა. ხეები სამყაროს, მისი უწყვეტი განახლების სიმბოლოა, მაგრამ სამყაროს ცენტრში ყოველთვისაა ხე -- ხე უკვდავებისა, მარადიული სიცოცხლის ან ცნობიერებისა.

ჩვენ, კერძოდ გვაინტერესებს მუხის ხის სიმბოლიკა. გერმანელების კერპი თორი, ორმოცი დღის განმავლობაში მუხის ხეზე ეკიდა, რათა იქიდან მიეღო უკვდავების, სიცოცხლის არსისა და ზოგადად, ადამიანის არსებობის საოცარი საიდუმლოს პასუხი. მუხა სიძლიერის, მარადიული განახლების (უკვდავების) სიმბოლოა ქართულ კულტურაშიც. მეგრელები მიცვალებულებს მუხის ხეზე კიდებდნენ. მუხის, მეგრულად "ჭყონის", ქვეშ ლოცულობდნენ ძველი ქართველი ტომები. მოჭრილი მუხის ადგილას აშენდა მარტვილის მონასტერი. არსებობს მოსაზრება, რომ აქედან წარმოდგება ტერმინი "ჭყონდიდელიც".

ქართულ ფოლკლორში ხეში შენახული სულის არსებობის დამადასტურებელი არა ერთი მაგალითი მოგვეპოვება. თანამედროვე ქართველი მწერლების გიორგი ლეონიძის, ნოდარ დუმბაძის, ოთარ ჭილაძისა და სხვა. თხზულებებშიც ვხვდებით ამ თემის სხვადასხვა ვარიაციას.

ხშირად მესოპოტამიურ მითებსა და ლეგენდებში უკვდავების, სიცოცხლის ხე -- ვაზია. გილგამეში ბალში ჯადოსნურ ხეს ხედავს და მის მახლობლად კი ღმერთქალს სიდურის (ანუ ქალწულს). ახლო აღმოსავლეთშიც ვაზი "სიცოცხლის ხესთან" იყო გაიგივებული. თავდაპირველად შუმერების "სიცოცხლის" ნიშა-

ნი ვაზის ფოთოლი იყო. ქართველებისათვის მტრის მიერ გაჩეხილ ვენახებში გადარჩენილი ვაზი მარადიული სიცოცხლის სიმბოლოდ აღიქმებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეეხება ლიბანის ხის, იგივე სიცოცხლის ხის ისტორიას მისი მრავალი ვარიაცია არსებობს, ჩვენ მხოლოდ ორი ხის ისტორიას განვიხილავთ: ლიბანის ხისას, რომელიც სვეტი-ცხოვლის სიმბოლიკას უკავშირდება და, ლოტის მიერ დარგული ხისას, რომლის ადგილზეც ქართველთა მიერ აგებული იყო ათონის ჯვრის მონასტერი.

რუსეთის ცარიზმის საეკლესიო პოლიტიკა დასავლეთ საქართველოში

გოდერძი ვაჭრიძე

აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

ცარიზმის მიერ ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის გაუქმებამ (1811 წ.) და მასთან დაკავშირებულმა გარდაქმნებმა, აღმოსავლეთ საქართველოში გარეგნულად მშვიდობიანი ხასიათი მიიღო, დასავლეთში კი, სერიოზული გართულებები გამოიწვია. რუსეთის მიერ უკვე დაპყრობილი იმერეთის და ჯერ კიდევ ავტონომიური სამთავროების - გურიისა და სამეგრელოს სამღვდელოება, ქუთაისში დიკასტერიის გახსნის წინააღმდეგ გამოვიდა და ამასთან ერთად უარი განაცხადა დამორჩილებოდა საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას.

მძიმე საშინაო და საერთაშორისო ვითარების გამო, მთავრობა იძულებული იყო ამჯერად დაეთმო. დასავლეთ საქართველოში პოლიტიკური სტაბილიზაციის მისაღწევად, მას სამღვდელოების მხარდაჭერა სჭირდებოდა, მაგრამ ცარიზმს ხელი არ აუღია თავის განზრახვაზე - ქართული ეკლესია რუსულ წესზე გარდაექმნა, მისი ქონება აღეწერა და სინოდის კანტორისათვის გადაეცა სამართავად.

დასავლეთ საქართველოში ამ მიზნით ეგზარქოს თ. რუსანოვის ჩასვლას და საეკლესიო ქონების აღწერის დაწყებას შედეგად მოჰყვა სახალხო ავჯანყება (1819-1820 წწ.), რომელშიაც აქტიურად მონაწილეობდნენ ცნობილი მღვდელმთავრები: მიტროპოლიტები დოსითეოს ქუთათელი და ექვთიმე გენათელი. ავჯანყებამ ეროვნულ-გამანთავისუფლებელი ხასიათი მიიღო.

დასავლეთ საქართველოში ცარიზმის საეკლესიო პოლიტიკის სამარცხვინო ლაქაა ქრისტიანი ხელისუფლების განზრახვა, ფიზიკურად გასწორებოდა მაღალი საეკლესიო თანამდებობის პირებს. ამ პოლიტიკის მსხვერპლი გახდა ავჯანყების დროს მოკლული დოსითეოს ქუთათელი - დასავლეთ საქართველოს უკანასკნელი კათალიკოსი.

მთავრობა იძულებული იყო საეკლესიო რეფორმის გატარება დროებით შეეჩერებინა და შედარებით "ფრთხილი მეთოდებით" გაეგრძელებინა. ავჯანყების ჩახშობის შემდეგ იმერეთში არსებული ოთხი ეპარქია გააერთიანეს იმერეთის ეპარქიაში. თითო ეპარქია დარჩა გურიასა და სამეგრელოში, თუმცა ისინი კავკასიის რუსულმა ადმინისტრაციამ იმერეთის ეკლესიის მეთაურს დაუმორჩილა.

XIX ს. 20-30-იან წლებში დასავლეთ საქართველო დამთავრდა საეკლესიო ქონების აღწერა და მომზადდა ნიადაგი მისი ხაზინისათვის გადასაცემად. გლეხთა ვალდებულებები შეიცვალა ფულადი გადასახადებით, რამაც კიდევ უფრო გააუარესა მათი მდგომარეობა.

ცარიზმის საეკლესიო პოლიტიკამ ვერ შეძლო საქართველოს ეკლესია მისი ერთგული მსახური გაეხადა.

ქრისტიანული ძეგლების დეკორატიული პროგრამა IV საუკუნეში

იულია ველევა

ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევების ინსტიტუტი
ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემია
სოფია, ბულგარეთი

სამეფო ხელისუფლების და ეკლესიის ურთიერთობა XII საუკუნის საქართველოში

ნინო თორთლაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

ქალის ქონებრივი მდგომარეობა ფეოდალურ საქართველოში

თინა იველაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

საზოგადოების განვითარების უწყვეტი და სრული წარმოჩენა შეუძლებელია ამ პროცესში ქალის ადგილის, როლისა და უფლებრივ-ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინების გარეშე.

სხვადასხვა ხალხში ქალს განსხვავებული უფლებრივ-ქონებრივი მდგომარეობა გააჩნდა. ყოველივე ეს კი დამოკიდებული იყო სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების კონკრეტული დონით, რელიგიით და რიგი სხვა ფაქტორებით.

მეცნიერების წინაშე ქალის უფლებრივი-ქონებრივი მდგომარეობის შესწავლის საკითხი დიდი ხანია დგას, მაგრამ მასზე ყურადღება განსაკუთრებით ჩვენი საუკუნის მეორე ნახევრიდან გამახვილდა.

ქართველ ხალხში ქალის უფლებრივ-ქონებრივი მდგომარეობა დღემდე საგანგებო კვლევის ობიექტი არ ყოფილა, თუმცა ცალკეულ მკვლევართა შრომებში სხვადასხვა საკითხის შესწავლასთან დაკავშირებით მასზეც ვხვდებით მსჯელობას.

ქალის უფლებრივ-ქონებრივი მდგომარეობა ჩვენ შევისწავლეთ ქართული წერილობით (მათ შორის საარქივო მასალა) და ეთნოგრაფიულ წყაროებზე, აგრეთვე, სპეციალურ ლიტერატურაზე დაყრდნობით. აღნიშნული მონაცემების ურთიერთშეკრება გვიჩვენებს, რომ ქართველ ხალხში ქალიშვილს ძმებთან ერთად მშობლების ქონებაზე მემკვიდრეობითობის უფლება გააჩნდა და მშობლების ოჯახიდან მეტ-ნაკლებად ქონებრივად უზრუნველყოფილ იყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ იგი დამოუკიდებელ პიროვნებას წარმოადგენდა. კვლევამ გვიჩვენა, რომ საქართველოში ქალს ისტორიული ხანიდან არა მხოლოდ ოჯახში, არამედ საზოგადოებაშიც საკმაოდ მაღალი უფლებრივ–ქონებრივი მდგომარეობა გააჩნდა. ყოველივე ეს არა რაღაც ადრეული საზოგადოებრივი წყობის (ე.წ. მატრიარქატის) შორეულ ანარეკლს თუ გადმონაშთს წარმოადგენდა, არამედ ქართველი ხალხის სოციალური, კულტურული და პოლიტიკური განვითარების მაღალი დონის შედეგი იყო.

უძველესი ქრისტიანული ძეგლები აჭარის ტერიტორიაზე

ნინო ინაიშვილი

ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
ბათუმი, საქართველო

აბრაამის ბიბლიური ეპიზოდი ხალხურ ტრადიციაში

ეთერ ინწკირველი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

მოხსენება ეხება აბრაამის ბიბლიური ეპიზოდის ხალხური ვარიანტების ანალიზს.

1. როგორც ცნობილია, ბიბლიაში აბრაამის ეპიზოდის ძირითადი თემებია: სიბერწე, წუხილი სიბერწის გამო, სამი სტუმრის პირით მემკვიდრის შობის წინასწარმეტყველება, მემკვიდრის შობის მოლოდინი და მსხვერპლშესაწირავი ისაკის შენაცვლება სამსხვერპლო პირუტყვით.

2. ყველა ეს მოტივი თავისებურად არის წარმოდგენილი აბრაამის ხალხური ლექსის ვარიანტებში. აბრაამის ლექსში ძირითადი აქცენტი გადატანილია სტუმარმასპინძლობის მოტივზე. ამ ასპექტში ერთმანეთს უპირისპირდება ძუნწი აბრაამი და მისი ღარიბი, მაგრამ სტუმართმოყვარე, უშურველი მწყემსი. ლექსი მწყემსის საქციელით ამხილებს აბრაამს, როგორც სტუმარმასპინძლობის წესის დამრღვევს. სტუმართმოყვარე მწყემსი იკურთხება სტუმრის მიერ, აბრაამი კი ისჯება: ღმერთი მოუვლენს განსაცდელს უსტუმრობის სა-

ხით, რომლის პერიოდში აბრაამი იძულებულია იშიმშილოს (გავიხსენოთ ხალხური თემა: „მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალია“).

უსტუმრობა და შიმშილი არის სინანულის მარხვის პერიოდი, რომელიც ორმოცი დღე გაგრძელდა. ამ განსაცდელის შემდეგ აბრაამი უბრუნდება სტუმარმასპინძლობის წესს. იგი სტუმარს უკლავს გამორჩეულ ხბოს, რომელსაც სტუმარი იქვე გაუცოცხლებს. ეს ხბო არის იმ ცხვრის წინასწარი სახე, რომელიც შეენაცვლება ისაკს მსხვერპლშეწირვის დროს.

3. ტექსტში შეიმჩნევა ორი პარალელური პლანი: სოციალური, რომლის ნიშნებია სიძუნწე, უსტუმრობა და ბიოლოგიური – სიბერწე, შიმშილი. ისინი ერთიანდებიან უნაყოფობის ნიშნით, რომელიც საბოლოოდ დაიძლევა ორმოცდღიანი სინანულის პროცესში.

მხერის ეკლესიაში გამოსახულ ქტიტორთა იდენტიფიკაციის საკითხისათვის

ელენე კავლელაშვილი

შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი
თბილისი, საქართველო

1. მხერის ეკლესიის (ზემო სვანეთი) მოხატულობის ისტორიულ პირთა პორტრეტული გამოსახულებანი ორ ჯგუფად ნაწილდება. ჩრდილოეთის კედელზე მთავარი ქტიტორები – მიქელ იველდიანი და მისი მეუღლეა გამოსახული, ხოლო სამხრეთის კედელზე – მიქელის ძე და მისი მეუღლე ნათელი. ვრცელი საქტიტორო წარწერა თარიღს არ შეიცავს. ამდენად ქტიტორთა იდენტიფიკაციას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მოხატულობის თარიღის განსაზღვრაში.
2. სეტის კუბოს კარის 1350 წლის წარწერის გათვალისწინებით, სვანეთის საისტორიო აქტებში მოხსენებული იველდიანთა ფეოდალური სახლის წარმომადგენლები XIV საუკუნის 50-60-იანი წლების მოღვაწეები ჩანან. ამ სახლის წარმომადგენელთა შორის სახელი მიქელი არ დასტურდება, მაგრამ იქ დასახელებული ანონიმი იველდიანი მიქელთან იდენტიფიცირების საშუალებას გვაძლევს, ხოლო მიქელის ანონიმი ძე გვარამ იველდიანთან იგივდება.
3. სვანეთის საისტორიო აქტებში დასახელებული დოდილ და გიორგი იველდიანები მხერის პილიგრიმულ მინაწერებშიც იხსენიებიან. მოხატულობის ზემოდან მელნით შესრულებული თუ ამოკაწრული ეს წარწერები კედლის მხატვრობის ზედა ქრონოლოგიურ ზღვრად (XIV საუკ. II ნახ.) გამოდის. ამ თარიღს ეთანხმება მოხატულობის სტილისტურ-იკონოგრაფიული კვლევის შედეგები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრისტიანულ წელთაღრიცხვათა ნორმალიზაცია და ქორონიკონი

ნოდარ კანდელაკი
ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

გურამ ცერცვაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

ჩვენ მიერ რესტავრირებულია ქრისტიანული ქრონოლოგიის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – წელთაღრიცხვათა ნორმალიზაციის პრინციპი. ცნობილია, რომ ქრისტიანული ქრონოლოგია ეფუძნება იულიუსის კალენდრით რეალურად მოქმედ სამ უნივერსალურ ციკლს: მზის 28 წლიან, მთვარის 19 წლიან და ინდიქციურ 15 წლიან კალენდრულ ციკლებს, რომელთა განმსაზღვრელი პარამეტრები ქრისტიანული ქრონოლოგიის ამოსავალ საყრდენ თარიღზე – ჩვ.წ.-მდე 1 წელს შესაბამისად არიან 4, 1 და 3, რაც იმას ნიშნავს, რომ წელთაღრიცხვებთან მიმართებით ქრისტიანული ქრონოლოგია თავისი არსით 3-ნაშთიანი სისტემაა, რომლისთვისაც განმსაზღვრელი შუალედია იულიანური პერიოდი – 28X19X15=7980 წელი. აქ არსებითია ის, რომ მზისა და მთვარის კალენდარული ციკლები ახდენენ ქრისტიანულ წელთაღრიცხვათა სინქრონიზაციას აღდგომათა 28X19=532 წლიანი პერიოდის – მოქცევის შიგნით, მაშინ როდესაც ინდიქციური ციკლით ხორციელდება ამ წელთაღრიცხვათა ნორმალიზაცია. ამასთან ერთად გაირკვა, რომ ქრონოლოგიაში კარგად ცნობილი ქრისტიანული წელთაღრიცხვები, რომელთა შორის ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია ქართულ დასაბამსა და ქორონიკონს – 28X18-532 წლიანი მოქცევისაგან შედგენილ წელთაღრიცხვას, ორგანიზებული არიან უშუალოდ ნორმალიზაციის პრინციპის გათვალისწინებით. ნორმალიზაციის პრინციპისა და ქართული ქორონიკონის მთავარი მაჩვენებლების წყალობით გადაჭრილია აგრეთვე თანამედროვე წელთაღრიცხვის წარმომავლობასთან დაკავშირებული ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი კალენდარულ-ქრონოლოგიური პრობლემაც. კერძოდ, დიონისე მცირეს 532 წლიანი პასქალური მოქცევის რესტავრაციის შედეგად აღდგენილია ამ მოქცევის შესაბამისი ნორმალიზებული ერა დასაბამიდან ეპოქით 1 იანვარი 4713 წ.ჩვ.წ.-მდე, რომელიც ქრონოლოგიაში სკალიგერის ერის სახელით არის ცნობილი.

ქართული პოლიტიკური თეოლოგია როგორც უნიკალური ფენომენი

მარიამ კარბელაშვილი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

ქრისტიანულ სამყაროში მეფის ხელისუფლების ლეგიტიმურობის დამადასტურებელი ორი ფორმულა არსებობს: "მეფე მადლითა ღმრთისათა" და "მეფე ნებითა ღმრთისათა". პირველი ფორმულა საერთოა ყველა ევროპული მონარქიისათვის, მეორე მხოლოდ ქართული მონარქიის თავისებურებაა.

ამ ორ ფორმულას შორის მეფის ხელისუფლების ლეგიტიმურობის თვალსაზრისით პრინციპული განსხვავებაა, რომელთა შესწავლა შუასაუკუნეთა პოლიტიკური თეოლოგიის ასპექტში ფრიად საყურადღებოა.

ბიბლიაში, რომელიც სამეფო ხელისუფლების თეორიულ საფუძველს წარმოადგენს (რომაელთა მიმართ, 13:1), სამეფო ხელისუფლების ორი მოდელია მოცემული: ერთია "საულის პარადიგმა" (I მეფეთა, -10), ნიმუში არჩევითი მონარქიისა, რომელიც საფუძვლად დაედო ევროპული ტიპის მონარქიას, მეორე – "დავითის პარადიგმა" (II მეფეთა, 7, 4-17), რომელსაც უფალმა მის ჩამომავალთა მარადი მეფობა აღუთქვა.

ისტორიული ტრადიციით, ქართველი ბაგრატიონები ბიბლიური დავითის ჩამომავალნი არიან, ამიტომაც ლეგიტიმურობის "დავითის პარადიგმა" ქართული მემკვიდრეობითი მონარქიის საფუძველს წარმოადგენს.

სრულიად ცხადია, რომ მონარქიის ქართული ტიპი განსხვავდება ევროპულისაგან და უნიკალურ ფენომენს წარმოადგენს. ამის გამო სამეფო ხელისუფლების ლეგიტიმურობის საფუძველი საქართველოსა და დანარჩენ ევროპაში მსგავსია, მაგრამ არა იგივე.

პოლიტიკურ თეოლოგიაში პოლიტიკური იდეები ბიბლიიდან აღებული ცნებების მეშვეობითაა გამოხატული: მათი მეტაფორიზაცია იდეოლოგიას ემსახურება და ისინი გვხვდება, როგორც ისტორიულ თხზულებებში, ასევე სიტყვაკაზმულ მწერლობაში. ამ თვალსაზრისით საინტერესოა სამების, როგორც მეფის მეტაფორის, გაანალიზება.

ევროპულ პოლიტიკურ თეოლოგიაში სამების იდეამ პოლიტიკურ ასპექტში შვა ერთგვარი "მეფური სამება"; მეფის პიროვნებაში დაინახეს სამი საწყისის გაერთიანება: ღვთაებრივის, მორალურისა და პოლიტიკურის. საინტერესოა მისი შედარება ქართულ პოლიტიკურ თეოლოგიაში ამავე სამების მეტაფორიზაციასთან: XII საუკუნეში იგი თამარის პიროვნებას დაუკავშირდა და მეფე-ქალი სამების მეოთხე ჰიპოსტასად იქნა დასახული. ამ არსებითად განსხვავებულ ინტერპრეტაციებს პოლიტიკური ქვეტექსტი აქვს.

დომენტი კათალიკოსის მოღვაწეობის საკითხისათვის

ეკა კაჭარავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

XVIII ს. დასაწყისში სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა კათალიკოს-პატრიარქი დომენტი IV. მოხსენების მიზანია წარმოაჩინოს დომენტი კათალიკოს-პატრიარქის რეალური სახე, მისი როლი ამ პერიოდის საქართველოს საერო და საეკლესიო პოლიტიკაში.

დომენტი კათალიკოსის მოღვაწეობას მკვლევრები სხვადასხვაგვარად აფასებენ. არსებული წყაროებისა და ლიტერატურის დეტალური შესწავლა საშუალებას გვაძლევს სრულყოფილად წარმოვაჩინოთ დომენტი კათალიკოსის პოლიტიკური შეხედულებანი და მონაწილეობა მიმდინარე მოვლენებში ქვეყანაში არსებული ცვალებადი პოლიტიკური ვითარების ფონზე; დავაზუსტოთ მისი ბიოგრაფიის ზოგიერთი დეტალი, კათალიკოსისა და სამეფო ოჯახის ურთიერთობის ხასიათი, აღვადგინოთ პორტრეტი, ვაჩვენოთ ამ საეკლესიო პირის მოღვაწეობა დიპლომატურ სარბიელზე, დომენტი კათალიკოსის დიპლომატიური ნიჭი და უნარი.

XI საუკუნის ქართული ჯვარ-გუმბათოვანი ძეგლების გარე მოცულობათა პროპორციების ზოგიერთი საკითხი

მაია კაჭარავა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, XX ს. 90-იან წლებში მართლმადიდებლური ეკლესია საზოგადოებრივი ზრუნვისა და სახელმწიფოს მხარდაჭერის საგანი გახდა. ქვეყანაში კვლავ აღორძინდა ეკლესიებისა და ტაძრების მშენებლობის ტრადიცია. ქართული ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის შესწავლას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე არქიტექტურის შემოქმედებითი საწყისების ჩამოყალიბებისათვის.

ნაშრომში განხილულია XI საუკუნის ქართული ჯვარ-გუმბათოვანი ძეგლების გარე მოცულობათა პროპორციების ზოგიერთი საკითხი. ალავერდის, სვეტიცხოვლის, სამთავისის და სამთავროს ტაძრების პროპორციების განხილვისას, შევეცადეთ აღგვედგინა ის ლოგიკური თანამიმდევრობა, რომლის მიხედვითაც ხდებოდა ტაძრების გარე მოცულობათა და დეკორის პროპორციების გადაწყვეტა. ანალიზი წარმოებდა გეომეტრული და არითმეტიკული (მოდულური) ხერხების ერთობლივი გამოყენებით და ეფუძნებოდა წრეწირის დიამეტრის თანატოლ ნაწილებად დაყოფასა და მის შედეგად მიღებული მართკუთხედების √3, √4, √5 გამოყენების მეთოდს.

პროპორციების განსაზღვრის დროს გათვალისწინებული იყო ის ობიექტური პირობები, რომლებშიც ეს ნაგებობები შეიქმნა: სამშენებლო მასალებისა და სამშენებლო ტექნიკის განვითარების დონე, ქვეყნის ისტორიულ-ეკონომიკური მდგომარეობა, XI საუკუნის მათემატიკის, კერძოდ, გეომეტრიის განვითარების დონე და სხვ.

ანალიზი მიყვებოდა ძველი ხუროთმოძღვრის მიერ ნაგებობისა და მისი ცალკეული ფორმის პროპორციების განსაზღვრის ლოგიკურ გზას.

XI საუკუნის ჯვარ-გუმბათოვანი ძეგლების: ალავერდის, სვეტიცხოვლის, სამთავისისა და სამთავროს გარე მოცულობათა პროპორციების კვლევამ აჩვენა, რომ ქართველი ხუროთმოძღვრები ფლობდნენ ნაგებობების მოცულობით-გეგმარებითი და პროპორციების გადაწყვეტის, ნაგებობის მთელი მოცულობისა და ცალკეულ ელემენტთა თანაზომიერებაში მოყვანის გარკვეულ წესებსა და კანონებს, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა და გადაეცემოდა თაობიდან თაობას; დადგენილ იქნა, რომ ნაგებობის გარე მოცულობის პროპორციების ამოსავალ სიდიდეს გუმბათის გარე დიამეტრი წარმოადგენს.

ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების შემოქმედებითი მეთოდების და პრინციპების მსგავსება და ერთიანობა იმ პერიოდის ქრისტიანული ქვეყნების კულტურებთან, კიდევ ერთხელ ასაბუთებს, რომ საქართველო ქრისტიანული სამყაროს განუყოფელი ნაწილი იყო.

რელიგია და სიყვარული

ომარ კახიძე

აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

რელიგიის მიზანს შეადგენს ადამიანს დაუბრუნოს პირვანდელი ბიბლიური სახე, როცა ადამიანი მთელ სამყაროსთან ჰარმონიულ ერთობაში იმყოფებოდა. ესაა კოსმიური თანხმობა, რომელიც შესაძლებელია გან-

ხორციელდეს მხოლოდ სიყვარულის საშუალებით. ამიტომ დაეთმო სიყვარულს საპატიო ადგილი ბიბლიის ძველ და ახალ აღთქმის წიგნებში.

ბიბლიის უპირველესი მოთხოვნა ადამიანის მიერ ღმერთის სიყვარულია, რადგან იგია საფუძველი მოყვასის და ყველა სხვა სახის სიყვარულისა.

პავლე მოციქული კორინთელთა მიმართ გაგზავნილ პირველ წერილში აღნიშნავს, რომ ადამიანის ყველა მოქმედებას მხოლოდ სიყვარული აძლევს ღირებულებას.

ქრისტიანული სიყვარულის გაგებისათვის საჭიროა აიხსნას ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთი, თითქოსდა წინააღმდეგობრივი მცნების „გიყვარდეს მტერნი თქვენნი"-ს შინაარსი და მნიშვნელობა.

სიყვარულის რაობის გაგების საქმეში დიდი როლი ითამაშა სოლომონის „ქებათა-ქებამ", რომლის თავისებურ ინტერპრეტაციას იძლევა შუასაუკუნეების დიდი თეოლოგი ორიგენი თავის ქადაგებაში.

რელიგიასთან სიყვარულის მიმართების საკითხი რომ გაირკვეს, საჭიროა აიხსნას ძველი და ახალი აღთქმის წიგნების დამოკიდებულება სიყვარულისადმი.

ზოგიერთი ადგილი ბიბლიიდან ოჯახისა და ქალთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ

ნათელა კბილცეცხლაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

ბიბლიაში ფიქსირდება ურვადისა და წინდის ხმარების მაგალითები: ურვადი, ჩვეულებრივ, გარკვეული ქონებრივი საზღაურია საცოლის წამოყვანისთვის გაღებული, ხოლო წინდი კი განსაკუთრებული შემთხვევა, ლევირატის წესის დარღვევით გამოწვეული.

ბიბლიაში მამისათვის კანონიერი ოჯახი და მისი მონაგარი (შთამომავლობა) დაცულია, ხოლო მხევალი და მისი შვილები უკანა პლანზეა გადაწეული.

„უცნაურად გაძარცული ხახულის ღვთისმშობლის ხატი"

მერაბ კეზევაძე

ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი
ქუთაისი, საქართველო

თანამედროვე სახელმწიფო იდეოლოგია და ქრისტიანობა: სამოქალაქო რელიგიის შესაძლებლობანი და მისი ამბივალენტურობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარკო კერსევანი

ლუბლიანას უნივერსიტეტი
ლუბლიანა, სლოვენია

სახელმწიფო იდეოლოგიის კონცეფცია მოიცავს სახეების, მოთხრობათა, ფასეულობათა, პრაქტიკისა და სიმბოლოების მთელ ჯაჭვს, რომელიც ემსახურება გარკვეული სახელმწიფოს (და მისი ინსტიტუტების) იდენტიფიკაციას და ლეგიტიმაციას შინაგანი ერთიანობის შესანარჩუნებლად. საზოგადოდ, თანამედროვე სახელმწიფოები ეროვნულ და დამოუკიდებელ სახელმწიფოებად წარმოგვიდგებიან, ე. ი. იდენტიფიკაციის თუ, ლეგიტიმაციისათვის ეფუძნებიან (ეთნო) ეროვნულ იდეოლოგიას და ყოველი მოქალაქის ზოგადკაცობრიული და სამოქალაქო უფლების (ცნობის) იდეოლოგიას. ასეთი სახელმწიფოები დგებიან თვით მათშივე არსებული ორმაგი დაძაბულობის დაძლევის ამოცანის წინაშე: როგორ იქნეს შენარჩუნებული იდენტობა (რომელიც ეროვნულ სახელმწიფოს განსაზღვრავს და განიხილავს როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის დამოუკიდებელ სახელმწიფოს) და ამასთანავე უზრუნველყოფილ იქნეს თანაბარი უფლებები ყველა მოქალაქისათვის ისე, რომ არ მოხდეს განსხვავება ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით.

ქრისტიანული ტრადიციის საზოგადოებაში ასეთი სახელმწიფოები დგებიან ქრისტიანობისათვის დამახასიათებელი დუალიზმის (ერთი მხრივ, ქრისტიანობა მიმართულია ადამიანისაკენ, როგორც ინდივიდისკენ განურჩევლად მისი ეთნიკური, ეროვნული და სახელმწიფოებრივი კუთვნილებისა და, მეორე მხრივ, კერძოა მისი არსებობის ფორმები - სახელმწიფო თუ ეროვნული ეკლესიები, განსხვავებული ტრადიციები, ხალხების ეთნიკურად დასაფუძვლებული რელიგიურობა) წინაშე. თანამედროვე სახელმწიფო იდეოლოგიისა და ქრისტიანობის შეხვედრას და ურთიერთმოქმედებას შეუძლებელია გააძლიეროს, დაასუსტოს, ან დააბალანსოს დაძაბულობა თითოეულში და მათ შორის.

სამოქალაქო რელიგია (იმ აზრით, რომელსაც რობერტ ბელას დეფინიციასა და ანალიზში აქვს საფუძველი) არის გზა აღნიშნული ორმაგი პრობლემის გადასაჭრელად: როგორ შეუძლია სახელმწიფო იდეოლოგიას რელიგიის ქრისტიანობის ნიშნების ადეკვატური (სელექცია, კომბინაცია, ინტერპრეტაცია) გამოყენებით დასძლიოს ცალკეული ეკლესიის და ქრისტიანული ტრადიციის განკერძოებულება ეროვნულ სახელმწიფოში მოქალაქეთა (სხვა რელიგიის მიმდევრების და ათეისტების ჩათვლით) გაერთიანებისას; მიუხედავად ქრისტიანობის უნივერსალურობისა, მისი ზოგიერთი ასპექტი თუ არსებობის წესი (როგორიცაა სახელმწიფო ეკლესიები თუ ხალხების რელიგიურობა) გამოიყენოს იდენტურობის ჩამოსაყალიბებლად და ცალკეული ეროვნული სახელმწიფოს გამთლიანებისათვის. სამოქალაქო რელიგიაზე მხოლოდ მაშინ შეიძლება საუბარი, როცა პრობლემის ორივე მხარე წარმატებითაა გადაჭრილი. ამის არარსებობის შემთხვევაში ან მხოლოდ სახელმწიფო რელიგიაზე შეიძლება ლაპარაკი (რომელიც ორმხრივ ჩაკეტილია თანასწორობით და რწმენის თავისუფლებით ყველა მოქალაქისათვის მიუხედავად მათი რელიგიური კუთვნილებისა) ან ეროვნულ სახელმწიფოებრივი იდენტობიდან და იდეოლოგიიდან რელიგიური კომპონენტების გამორიცხვაზე. სხვადასხვა ისტორიულ კონტექსტში სხვადასხვა ტენდენცია და გადაწყვეტის მიმართულება იჩენს თავს. ავტორი ცდილობს ნათელი მოჰფინოს პრობლემის ზოგიერთ ასპექტს. ყოფილი იუგოსლავიის რეგიონში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, კერძოდ კი, სლოვენიის მაგალითზე.

რელიგიური ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

ნიკო კვარაცხელია

თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტი
თბილისი, საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურული ტურიზმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს რელიგიური ანუ მომლოცველთა ტურიზმი. იგი, აგრეთვე, შემადგენელი ნაწილია თანამედროვე ტურისტული ინდუსტრიისა და საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე სარგებლობს გარკვეული პოპულარობით. ეკლესიები, მონასტრები, მეჩეთები და სხვა სასულიერო-საკულტო ნაგებობები - ტურიზმში განიხილება, როგორც ძირითადი საჩვენებელი ობიექტები და სწორედ ისინი აღძრავს პოტენციურ ტურისტებში სამოგზაურო მოტივაციებს. საკულტო ნაგებობებს ნებისმიერი ტურისტული ქვეყანა განიხილავს, როგორც ტურისტულ ობექტებს და იცავს მათ, როგორც კულტურულ მემკვიდრეობას. მაგალითად, საფრანგეთში ძეგლთა 60%-ს სახელმწიფო იცავს და ეს ძეგლები ერთდროულად ითვლება, როგორც რელიგიურ, ისე ტურისტულ ობიექტებად. რელიგიური ტურიზმისადმი ინტერესი ბუნებრივი მოვლენაა საქართველოსათვისაც, რადგან საქართველო მდიდარია რელიგიური ძეგლებითა და რელიკვიებით. ამიტომაც, საქართველო, როგორც სამოგზაურო ქვეყანა, ქრისტიანული სამყაროსათვის გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს. გარდა ამისა, ქართველებსაც გააჩნიათ ინტერესები მსოფლიოს ქრისტიანული ცენტრების მიმართ, რაზეც ქართველი მორწმუნეების მიერ წლევანდელ ქრისტეშობას იერუსალიმსა და ბეთლემში ამ მიზნებით მოგზაურობა და დღესასწაულის გრანდიოზულად აღნიშვნაც მიუთითებს. ამ ღონისძიების ორგანიზებამ დასაბამი მისცა ძველ ქართული სასულიერო ტრადიციის – მომლოცველობის აღორძინებას. ისტორიულად საქართველოში არსებობდა წმინდა ადგილებში სალოცავად გამგზავრების ტრადიცია, რაზეც მრავალი ლიტერატურული ნაწარმოები მიუთითებს. ამავე მიზნებით საქართველოში მცხოვრები ებრაელები და სხვა ერის წარმომადგენლებიც ასევე მოგზაურობდნენ თავიანთ ისტორიულ სამშობლოში.

ტურისტულ სამეცნიერო ლიტერატურაში განიხილება რელიგიური ტურიზმის სამი ძირითადი ფორმა: 1. მომლოცველობა ანუ პილიგრიმული ტურიზმი, 2. რელიგიური თემატიკის საექსკურსიო ტურები და 3. სპეციალური ტურები, რომლებშიც მორწმუნენი და ექსკურსანტები ერთიანდებიან.

მომლოცველობა (სალოცავად წასვლა) ქრისტიანობაში ანუ მომლოცველთა ტურიზმი დაკავშირებულია შემდეგ რელიგიურ ღონისძიებებთან: ეკლესია-მონასტრების და სხვა წმინდა ადგილების სალოცავად მონახულება, შრომითი საქმიანობა ამ ძეგლების აღდგენა-განახლების მიზნით ან კიდევ იგივე მიზნებით შემოწირულობების შეგროვება.

ფრიად გავრცელებულია მომლოცველობა წმინდა მიწაზე მაცხოვრის საფლავისათვის თაყვანისცემის მიზნით. მართლმადიდებლური რელიგიური წესების მიხედვით ასეთი მოგზაურობები გრძელდება არანაკლებ ათი დღისა და ძირითადად ემთხვევა უმნიშვნელოვანეს რელიგიურ დღესასწაულებს.

რელიგიური თემატიკის საექსკურსიო ტურები, როგორც წესი, ერთდღიანი ღონისძიებებია და მასში მონაწილეობას იღებენ, როგორც ასაკოვანი ტურისტები, ასევე სკოლის მოსწავლეები.

სპეციალიზებული ტურები გათვლილია არანაკლებ სამდღიან მოგზაურობაზე და ითვალისწინებს წმინდა სალოცავებისა და სხვა ღირსშესანიშნაობების მონახულებას. შესაძლებელია ზოგიერთი ასეთი ტურის ორგანიზაციისათვის საჭირო იყოს მონასტრის წინამძღვრის ნებართვა, რომ ექსკურსანტებს უფლება მიეცეს საექსკურსიო ობიექტის დასათვალიერებლად.

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებობს მომლოცველთა სამსახური, რომელიც ეწევა მორწმუნეთათვის მსგავსი ტურისტული ღონისძიებების დაგეგმვასა და ორგანიზებას.

მაგრამ, ტურიზმი უნდა განვიხილოთ, როგორც ბიზნესი ანუ მომსახურება მომხმარებლის ნებისმიერი სამოგზაურო ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით. ამდენად, ტურისტული ფირმები საქართველოში შესაძლებელია მუშაობდნენ არა მხოლოდ მართლმადიდებელ მორწმუნეებზე, არამედ კათოლიკეთა, ისლამის მიმდევართა და სხვა ნებისმიერი რელიგიური ტურის ორგანიზების მიზნით. გამომდინარე აქედან, ტურისტული

ფირმები შესაბამისად კარგად უნდა ერკვეოდნენ რელიგიურ ნიუანსებში, იცოდნენ მათი მოთხოვნილებები და არსებული რელიგიური წეს-ჩვეულებები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურისტულ ბიზნესში რელიგიური ტურიზმი მომგებიანია აგრეთვე სეზონურობის თვალსაზრისით. მაგალითად, გაზაფხული ტურიზმში ზაფხულის სეზონისათვის მზადების პერიოდია. წელიწადის ამ დროს მოგზაურობათა რიცხვი საგრძნობლად იკლებს. იმართება საერთაშორისო ტურისტული ბაზრობები და სხვა ღონისძიებები. მაშინ, როცა რელიგიურ ტურიზმში გაზაფხული პიკის სეზონია. ამ პერიოდზე მოდის უმთავრესი რელიგიური დღესასწაულები. ასევე მაღალია რელიგიური ტურისტების რაოდენობა დეკემბერსა და იანვარში.

კომუნისტური მმართველობის დროინდელმა აკრძალვებმა თავისი ნეგატიური შედეგი გამოიღო და ხალხი აბსოლიტურად გაუცნობიერებელი შეხვდა რწმენის თავისუფლებას. ამჟამად არსებულმა დიდმა ინტერესმა, უფრო კარგად გაიცნონ რელიგიური ლიტერატურა, შესაბამისად დაბადა დიდი ინტერესი რელიგიური დღესასწაულებისა და სიწმინდეებისადმი. ტურისტულ ფირმებს სათანადო მენეჯმენტის გატარების შემთხვევაში ერთდღიანი საექსკურსიო ტურების ორგანიზების შესანიშნავი შესაძლებლობა ეძლევათ, რომელსაც მნიშვნელოვანი მოგების მოტანა შეუძლია.

ახალი ათონის მონასტერი – რუსეთის სინოდის საეკლესიო პოლიტიკის დასაყრდენი ამიერკავკასიაში

ვაჟა კიკნაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

1. 1811 წელს, ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, საქართველოს ეკლესიას რუსეთის სინოდი საქართველოს საეგზარქოსოს საშუალებით განაგებდა.

2. საქართველოს საეგზარქოსოს სამისიონერო საქმიანობას იმდენად ქრისტიანობის გავრცელება არ შეადგენდა, რამდენადაც მხარის გარუსება-ასიმილაცია. ამ მიზნის მისაღწევად, საეგზარქოსო სხვადასხვა საშუალებებს მიმართავდა. ერთ-ერთი ასეთი იყო რუსული ეკლესია-მონასტრების მშენებლობა და მათი გამოყენება რუსული იდეოლოგიის განმტკიცებისათვის.

3. გარუსების პოლიტიკა განსაკუთრებით აქტიურად საქართველოს განაპირა რაიონებში, და, კერძოდ, აფხაზეთში ხორციელდებოდა. 1875 წელს სოხუმის მახლობლად. დაარსდა ახალი ათონის სიმონ კანანელის სახელობის მონასტერი. როგორც ისტორიული წყაროები მოწმობს, მონასტრის დაარსების მთავარი მიზანი იყო არა მარტო აფხაზეთის, არამედ მთელი ამიერკავკასიის გარუსების პოლიტიკისთვის ხელის შეწყობა.

მონასტერს გამოეყო ამიერკავკასიაში ყველაზე დიდი მიწის ნაკვეთი. მონასტრის წესდებაში თავიდანვე ჩაიწერა, რომ იგი მხოლოდ რუსი ბერ-მონაზვნებისათვის იყო განკუთვნილი.

4. აღსანიშნავია, რომ მონასტერი დღემდე განაგრძობს არსებობას და კვლავაც XIX საუკუნეში დასახული მიზნების განხორციელებას ემსახურება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეპოქის ნიშნები

ზურაბ კიკნაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

მოხსენებაში დასმულია საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში ისეთ ნაწარმოებთა არსებობის შესახებ, რომლებშიც ისტორიული ეპოქა ისტორიოსოფიული კუთხით არის შეფასებული. ერთ-ერთი მათგანია თამარის მეფობის ამსახველი თხზულება, რომელიც ცნობილია სახელწოდებით "ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი". რას ნიშნავს "ისტორიანი და აზმანი"? როგორ ეთანხმება ერთმანეთს ისტორია ანუ ისტორიოგრაფია, რომელიც მეფის მოღვაწეობისა და მისი მეფობის ობიექტურ სურათს უნდა გვიხატავდეს, და "აზმანი" (ბერძნული ασμα ანუ ქებანი), სადაც, როგორც წესი, ვირტუალური სინამდვილეა წარმოდგენილი. აქვთ თუ არა ისტორიულ თხრობას და "აზმას" შეხების წერტილი და ემსახურებიან თუ არა ისინი ერთ ძირითად ამოცანას, რომელიც შეგვიძლია ავტორის წინაშე დასახულ ზეამოცანად წარმოვიდგინოთ?

ტექსტში თამარის ქრისტიანული სამეფო იმ ჟამად და იმ ადგილად (ქრონოტოპულ ერთიანობად) მოიაზრება, სადაც მთელი სინამდვილე განლმრთობისაკენ მიისწრაფის. ნიშანდობლივი ფრაზა – "გააზნაურდეს ქვეყანისა მოქმედნი და გადიდებულდეს აზნაურნი და გაჴემწიფდეს დიდებულნი მეფობასა შინა ამისსა" – გარდა სოციალური შინაარსისა, ატარებს ესქატოლოგიურ დატვირთვას, რამდენადაც საზოგადოებრივ ფენათა აღსვლა ერთი საფეხურიდან მეორე საფეხურზე ხელმწიფის ღვთიურ რანგში განსრულებით გვირგვინდება: "ღმერთქმნილი დავით და თამარ", "სამებასა თანა ოთხებად იხილვების თამარ", იგი არის "დღე უუკუნო". ეს ისოთეიზმი, რომელიც ბაგრატიონთა გვარის იესო ქრისტესთან ხორციელი ნათესაობის ანდრეზს დაეფუძნა, წინამავალ პერიოდებში დინასტიურ-სახელმწიფოებრივ იდეოლოგიად ინერგებოდა და საბოლოო განსრულება თამარის ხანაში ჰპოვა. თამარის ღვთიურობა უკუიფინება ქვეყანაზე, რომელიც დახასიათებულია, როგორც "ხილული სამოთხე და უბრწყინვალესი ედემი", სადაც "ერთბამად ძოვდეს ლომი და ხარი". ესაიას ხილვიდიან ნასესხები ეს სურათი ისტორიის დასასრულის ნიშანს ატარებს. ისტორიულ სინამდვილეში მეტაისტორია იჭრება.

ამგვარი განცდა ეპოქისა, სახელდობრ, მისი ხედვა დასასრულის ნიშნით, გულისხმობს ისტორიული პროცესის დაგვირგვინებას და მწვერვალს. მაგრამ მწვერვალს მოსდევს დაცემა. ანონიმი ჟამთააღმწერლის თხზულება "ასწლოვანი ისტორია", რომელიც წარმოადგენს ნახტომს სხვა ისტორიულ სინამდვილეში და, აქედან გამომდინარე, სხვა ისტორიოსოფიულ ცნობიერებაში, "ისტორიათა და აზმათა" ტექსტში გადმოცემული ზესინამდვილის კონტრასტულ სურათს გვიხატავს.

რატომ იდევნებოდნენ ჯადოქრები?

გოდულა კოსაკი

ფილიპსის უნივერსიტეტი
მარბურგი, გერმანია

მთელ მსოფლიოში ყოველ დროში გავრცელებული იყო შეხედულება კუდიანებზე და ჯადოქრებზე, რომლებიც ვნებდნენ ან კურნავდნენ ადამიანებს ან ცხოველებს ან გავლენას ახდენდნენ ამინდზე და მოსავალზე. არადასავლურ კულტურებში ადამიანები დღემდე სასტიკად ებრძვიან ჯადოქრობას სულიერ თუ მაგიურ დონეებზე. რა იყო ევროპაში კუდიანებზე ნადირობის ეპიდემიის მსგავსად გავრცელების მიზეზი ორ ნა-

ხევარი საუკუნის განმავლობაში? რით დასრულდა ადამიანთა აურაცხელი რაოდენობის (მათ შორის 80% ქალები შეადგენენ) სასტიკი მკვლელობანი? მე ვასაბუთებ, რომ ევროპაში კუდიანზე ნადირობის მიზეზი შეიძლება ამოვიცნოთ მისი შედეგებით.

XVIII საუკუნეში, როცა ბოძები, რომლებზე მიბმული იწვოდნენ ჯადოქრები, საბოლოოდ მოისპო, მდევნელებს შეეძლოთ ძველი ხალხური რელიგიის გადმონაშთებზე თავიანთი გამარჯვება გამოეცხადებინათ. ქრისტიანული დოგმები, რომლებიც რეფორმაციიდან მოყოლებული ჩამოყალიბებული და წარმოდგენილი იყო ლათინურად, ესმოდა მხოლოდ განათლებულ სამღვდელოებას. მოსახლეობის უმეტესობისათვის კი, რომელიც არ იყო წიგნიერი და ვერ ლაპარაკობდა ლათინურად, დომინანტური რელიგია გაუგებარი რჩებოდა. ერთგანზომილებიანი ღმერთი ცათა უპირისპირდებოდა მსოფლხედვას, რომლის მიხედვითაც მთელი სამყარო - მიწა, წყალი, ჰაერი ანუ ყოველივე ქვემოთ, ზემოთ, ირგვლივ - განიცდებოდა როგორც მისტიკური ძალების მიერ გასულიერებული. ზეციური მამა მეუღლის გარეშე ვერ აღიქმებოდა მოსახლეობის მიერ, რომელიც მოუხმობდა დიანას, ჰოლდას ან პერჩტს. საღვთო ნებისადმი უსიტყვო მორჩილება უნდა აღძვროდათ იმ ადამიანებს, რომლებიც თვლიდნენ, რომ მათ სულიერ ძალას ნებსით თუ უნებლიედ გავლენის მოხდენა შეეძლოთ მატერიალურ და არა მატერიალურ სამყაროზე. რელიგიურ დონეზე კუდიანებზე ნადირობის შედეგი ბერძნული-რომაული ყალიბის პატრიარქალური ქრისტიანობის განხორციელება იყო, სამეცნიერო დონეზე - ესაა რაციონალური ემპირიზმი. ორივე ეს განხორციელება ხოტბაშესხმულია, როგორც თანამედროვეობის პროგრესის უმთავრესი მაჩვენებელი და სრულიადაც არ ექცევა ყურადღება იმას, თუ როგორ გახდა ამგვარი რამ დომინანტური ფილოსოფია. ყველა შეხედულება, რომელიც არ თავსდება რაციონალიზმის ჩარჩოებში და რომელიც განიხილავს სულიერ ცდას დომინანტური რელიგიის მიღმა, დღეს დაგმობილი და დისკრედიტირებულია.

იმისათვის, რათა პასუხი გაეცეს კითხვას თუ რატომ იყო შესაძლებელი გარკვეულ პერიოდში დევნის ეს გარკვეული სახეობა შესაძლებელი, უნდა განხილულ იქნეს განსხვავებანი მაშინდელი ევროპისა და თანამედროვე სხვა კულტურების ჯადოქრობის კონცეფციებს შორის. კუდიანებზე ნადირობის პერიოდში ეკლესიამ და საერო ხელისუფლებამ გამოიგონა შემდეგი საგანგებო კუდიანური დანაშაულებანი. მათი მთავარი პუნქტები იყო შემდეგი:

- კუდიანები განეკუთვნებოდნენ სექტას, რომელიც მიზნად ისახავდა ქრისტიანობის დანგრევას,
- კუდიანები მოქმედებდნენ არა საკუთარი ძალით, ისინი იყვნენ საშუალებანი ეშმაკის ხელში, მათ გარიგება ჰქონდათ ეშმაკთან,
- თავიანთ თავყრილობებს კუდიანები მართავდნენ იმ მიზნით, რომ მოეწყოთ სექსუალური ორგიები.

ჩემი მოხსენება მიზნად ისახავს სხვადასხვა კულტურაში ჯადოქრობის კონცეფციათა დეტალურ განხილვას, ვიღებ რა მაგალითად მაფას ჩრდილო კამერუნში. მე მსურს ვაჩვენო განსხვავებები ევროპაში სხვადასხვა დროს არსებულ მსოფლხედვებს შორის, კერძოდ, კუდიანებზე ნადირობის პერიოდში და ამჟამად, თანამედროვე საზოგადოებაში, რომელსაც სჯერა ჯადოქრობისა. ამ მიზნით, მე ვცდილობ დავასაბუთო თეზისი იმის შესახებ, რომ კუდიანებზე ნადირობა იყო არა დროებითი სიგიჟე, ადამიანის გონების დროებითი დაბინდვა, როგორც ამას ჩვეულებრივ წარმოგვიდგენენ, არამედ ის იმანენტური რაციონალი, რომელიც ჩვენი თანამედროვე მსოფლმხედველისათვის ჯერაც საფუძველს ქმნის.

საეკლესიო კათედრები დასავლეთ საქართველოში (IX-X სს.)

ბუბა კუდავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

დასავლეთ საქართველოს ეკლესიის კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებიდან გამოსვლის საკითხი ერთ-ერთი იმ მეტად რთულ და კარდინალურ საკითხთაგანია, რომელიც ამ ეპოქის საქართველოს ისტორიის მკვლევართა წინაშე დგება. დასავლურქართული სახელმწიფოს მესვეურთა მიერ IX-X საუკუნეებში არჩეული პოლიტიკური კურსის რეკონსტრუქცია მათი საეკლესიო პოლიტიკის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია.

საეკლესიო რეფორმა დასავლეთ საქართველოში – აფხაზთა სამეფოში, თავის მხრივ, რიგ საისტორიო პრობლემებს ეჯაჭვება, კერძოდ კი, დგება აფხაზთა საკათალიკოსოს ამ ეპოქაში არსებობისა და ფუნქციონირების, ანტიოქიის საპატრიარქოსთან ქართული ეკლესიის დამოკიდებულებისა და თუნდაც, დასავლეთ საქართველოს ქართიზაციის საკითხები. აღნიშნულ პრობლემას უშუალოდ უკავშირდება ახალი ქართული საეპისკოპოსოების დაარსების საკითხიც.

მოხსენებაში გაანალიზებულია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საეკლესიო კათედრათა ნუსხების – ნოტიციებისა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საეკლესიო კრებების მონაცემები. მათ საფუძველზე ავტორი შეეცადა დაეზუსტებინა დასავლეთ საქართველოს კათედრების კონსტანტინოპოლის საეკლესიო დაქვემდებარებიდან გამოსვლის ქრონოლოგიური ჩარჩოები.

წმიდა გრიგორ განმანათლებლის ცხოვრების არაბულ-ბერძნული ვერსიები და კავკასიის ქვეყანათა მოქცევის საკითხი

გოჩა კუჭუხიძე

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

გრიგორ განმანათლებლის ცხოვრების არაბულ-ბერძნულ ვერსიებში (ტექსტები გამოცემულია აკად. ნ.მარისა და პროფ. ჟ.გარიტის მიერ, – იხ. Н. Марр, Крещение армян, грузин, абхазов и аланов св. Григорием, СПБ, 1905; G. Garitte, Documents, pour l'etude du livre d'Agathange, Citta del Vaticano, MCM XLVI, Studi e Testi, 127) ლაპარაკია იმის შესახებ, რომ კავკასიის ქვეყანათა სამეფო ხელისუფლებამ ქრისტიანობა სომხეთის განმანათლებლის – წმიდა გრიგორის მეშვეობით მიიღო. მოხსენებაში განხილულია ზემოხსენებული ვერსიები. აღნიშნულია, რომ არაბული და, ასევე, ბერძნული ტექსტების ის ადგილები, რომლებიც ალანების (არაბულ ტექსტში ალანებზეა ლაპარაკი, ხოლო ბერძნულში – ალბანებზე), ქართლისა და ლაზიკის მეფეთა სომხეთში წმიდა გრიგორთან და თრდატ მეფესთან ჩასვლას, წმიდა გრიგორის მიერ მათ ნათლობას შეეხება, აგათანგელოსის უძველეს ნაწარმოებში არ მოიპოვებოდა და ეს ცნობები მოგვიანო პერიოდის ლიტერატურული გადამუშავების შედეგად არის გაჩენილი; ნაჩვენებია, რომ უძველეს ნაწარმოებში სომხეთში გარკვეულ საკითხზე მოსალაპარაკებლად ქართლის სამეფო დელეგაციის ჩასვლის

შესახებ იყო ლაპარაკი, რაც შემდეგ სომხეთში ქართლის მეფის ჩასვლისა და მისი იქ წმინდა გრიგორის მიერ ნათლობის შესახებ ცნობით შეიცვალა; ნაჩვენებია, რომ თავდაპირველ ტექსტში ალბანებზე იყო ლაპარაკი და არა - ალანებზე. ნაშრომში გამოკვეთილია არაბული ძეგლის ჩანართი ადგილები.

მოხსენებაში გაანალიზებულია არაბული და, ასევე, ბერძნული ძეგლების ის ცნობები, რომლებიც წმინდა გრიგორის მიერ ალანიაში (ალბანიაში), ქართლსა და ლაზიკაში სასულიერო პირთა გაგზავნას შეეხება; ნაჩვენებია, რომ წმინდა გრიგორის მიერ ამ ქვეყნებში გაგზავნილი პიროვნებები არ წარმოადგენდნენ ალბანეთის, ქართლისა და ლაზიკის ეკლესიათა მთავარ საეკლესიო იერარქებს, რომ ისინი მხოლოდ სხვა ქვეყნებში მოგზაური ჩვეულებრივი მქადაგებელი მისიონერები იყვნენ, რომელთა მსგავსნიც ბევრნი არსებობდნენ იმ პერიოდის მსოფლიოში. არაბული და ბერძნული წყაროები არ იძლევა საფუძველს, იმის სამტკიცებლად, რომ ქართლის, ალბანეთის თუ კავკასიის სხვა ქვეყნების ეკლესიები ოდესმე სომხეთის საეკლესიო კათედრას ექვემდებარებოდნენ. ზემოხსენებული ვერსიების მონაცემები არ ეწინააღმდეგება დებულებას, რომლის მიხედვითაც, ქართლის, ლაზიკის, სომხეთის ეკლესიები დასაწყისიდანვე ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებლები იყვნენ.

ანდრია მოციქული სამცხეში – არქეოლოგიური რეალობა

ვახტანგ ლიჩელი

არქეოლოგიური კვლევის ცენტრი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველი

საერო პირთა საეკლესიო მოღვაწეობის ისტორიიდან შუა საუკუნეების საქართველოში

დოდო ლომიძე

კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

XVIII საუკუნის მეორე მეოთხედის ერისკაცთა შორის სრულიად განსაკუთრებული ადგილი უკავია გივი ანდუყაფარის ძე ამილახორს (1683-1754/57 წწ.). იგი იყო გამოჩენილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, ზემო ქართლის სადროშოს სარდალი, საამილახოროს უფროსი, გორის (1723-1735 წწ.) და თბილისის (1751-1754 წწ.) მოურავი, ქართლის ვექილი და შაჰის ყულარაღასი. ოსმალობა-ყიზილბაშობის ხანაში (1723-1735; 1735-1749 წწ.) გმირულად იბრძოდა ქართველი ხალხის თავისუფლებისა და ერთიანი ქრისტიანული სახელმწიფოს აღდგენისათვის.

გივი ამილახორის ცხოვრება და მოღვაწეობა დღემდე არ ყოფილა სპეციალური შესწავლის საგანი. მისი, როგორც პოლიტიკური მოღვაწის შესახებ არის შეფასება სამეცნიერო ლიტერატურაში (ნ. ბერძენიშ-

ვილი, დ. გვრიტიშვილი, მ. ქიქოძე, დ. მეგრელაძე, გ. პაიჭაძე, ს. ჯიქია, ც. აბულაძე და სხვ.) და აღნიშნულია მისი დამსახურება საეკლესიო მოღვაწეობის სფეროში (პ. კარბელაშვილი, ბ. ლომინაძე, კ. ცინცაძე).

საისტორიო წყაროები გივი ამილახორს წარმოგვიდგენს როგორც ჭეშმარიტ მართლმადიდებელს, ღვთისმოყვარეს და სჯულისათვის თავდადებულს.

ოსმალობა-ყიზილბაშობის ხანაში ქართველი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა. იმ დროს, როცა მაჰმადიანი დამპყრობლები უპირველეს ყოვლისა სარწმუნოებრივ სიწმინდეებს, ეროვნული კულტურის კერებს, ეკლესია-მონასტრებს ანადგურებდნენ ან მეჩეთებად აქცევდნენ, გივი ამილახორი ზრუნავდა ქართულ ეკლესია-მონასტრებზე. მან გადაარჩინა თბილისის სიონი მეჩეთად გადაკეთებას, სვეტიცხოველს დაუბრუნა ყიზილბაშებისაგან წართმეული ქონება, განაახლა ბეთლემის, შიომღვიმის და სვეტიცხოვლის ტაძრები, გორიჯვრის წმ. გიორგის ეკლესიას სოფელი გორისა შესწირა. მისი მზრუნველი ხელი წვდებოდა წმ. იოანე ნათლისმცემლის უდაბნოსა და ნინოწმინდის ეკლესიებს და ბოლოს, მან ააშენა თბილისში ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესია. ამავე დროს მისი დაკვეთით იქნა შესრულებული მარხვანი-ზატიკი, მეტაფრასი და მარხვანი.

მამაცმა და ნიჭიერმა სარდალმა გივი ამილახორმა პატიმრობაში ყოფნის დროს ქ. ქელათის აღებისას ადილ-შაჰისადმი გაწეული დახმარებისათვის და მაზანდერანში ციხე-ქალაქის აშენებისათვის წყალობად მიიღო დიდძალი ქონება და ყულარაღასობა (სახელად შაჰ-ყულიხანი). დაგროვილი სიმდიდრე და სოლიდური თანხა მოწყალების სახით გამოაგზავნა საშობლოში დანგრეული ქვეყნის ასაშენებლად, უდაბნოს, იმერეთისა, ახალციხის და კათოლიკეების (ფრანგების) ეკლესიების აღსადგენად; ქველმოქმედების გარეშე არ დაუტოვებია არც თეიმურაზ მეფე, ანტონ კათალიკოსი და თავისი მსახურ-აზნაურები.

1750 წელს გივი ამილახორმა ირანის ტყვეობაში მყოფი უკიდურესად გაჭირვებული ქართველების გადასარჩენად გაიღო მოწყალება, შემოიკრიბა ისინი და დააბრუნა საშობლოში.

ასეთია გივი ამილახორის - ერისკაცის, ჭეშმარტი ქრისტიანის, (რომელსაც „სჯული ვერ დააგდებინეს და ეგრევე ქრისტიანობით მოვიდა ქართლში") მოღვაწეობა ქართული სულისა და ეროვნული თვითშეგნების გადარჩენის საქმეში. ვფიქრობთ, ეს საინტერესო პოლიტიკური მოღვაწე და ერისკაცი იმსახურებს მონოგრაფიულ შესწავლას.

ქრისტიანული რელიგიის და საბუნებისმეტყველო მეცნიერების ურთიერთმიმართების საკითხისათვის თანამედროვე ეპოქაში

ირაკლი ლომოური

თბილისის სასულიერო აკადემია
თბილისი, საქართველო

მოხსენებაში განხილულია საბუნებისმეტყველო მეცნიერების და რელიგიის ურთიერთობის ზოგადთეორიული საკითხები, მოყვანილია ამ ურთიერთობის ამსახველი თანამედროვე ტიპოლოგიური სქემები და კლასიფიკაციის ცდები, აღნიშნულია, რომ უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში შეინიშნება რელიგიისადმი ბუნებისმეტყველთა დამოკიდებულების შეცვლა - კონფრონტაცია ადგილს უთმობს ურთიერთგაგების, დიალოგის მცდელობას, თუმცა, ამავე დროს, არსებობს საპირისპირო ტენდენციაც - მეცნიერთა ნაწილი კვლავაც მტრულადაა განწყობილი რელიგიის მიმართ.

მეცნიერების და რელიგიის ურთიერთობის დღევანდელი მდგომარეობა ავტორს განხილული აქვს ბიოლოგიის, სიცოცხლის და ადამიანის წარმოშობისა თუ შექმნის საკითხთა ინტერპრეტაციის მაგალითზე. მოყ-

ვანილია, აგრეთვე, ქრისტიან ღვთისმეტყველთა (როგორც მართლმადიდებელთა, ასევე კათოლიკეთა და პროტესტანტთა) შეხედულებანი ევოლუციაზე. ამასთან ერთად, საპირისპირო, კონფრონტაციული ტენდენციის საილუსტრაციოდ მოყვანილია სოციობიოლოგიის მაგალითი, მეცნიერებისა, რომელიც აცხადებს, რომ მან ახსნა რელიგია, როგორც ევოლუციური პროცესის ადაპტაციური ეფექტის გამოვლინება.

დასკვნის სახით ავტორი აღნიშნავს, რომ ბუნებისმეტყველთა მხრიდან რელიგიისადმი ინტერესი სულ უფრო ძლიერდება, მაგრამ რელიგიისა და მეცნიერების ურთიერთობა კვლავაც არაერთგვაროვანი და საკმაოდ დაძაბული რჩება.

ახალი მასალები ეგრისის სამეფოში ქრისტიანობის გავრცელების საკითხისათვის

ბესიკ ლორთქიფანიძე, პარმენ ზაქარაია, დავით ლომიტაშვილი

სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი
თბილისი, საქართველო

ნოქალაქევის ნაქალაქარზე გამოვლენილია IV-VI სს. ქვის ეკლესია. ქალაქის ცენტრალურ ნაწილში ახლაც დგას „ორმოცმოწამეთა" ეკლესია, რომელიც თარიღდება VI საუკუნით. ეს იყო სამნავიანი ბაზილიკა, რომელიც გადაკეთების შემდგომ გახდა გუმბათოვანი. იგი აგებულია IV ს. დარბაზული და V ს. სამნავიანი ბაზილიკის ნანგრევებზე. ამ ეკლესიის დასავლეთით 10-მდე მეტრში იდგა VI ს. პატარა დარბაზული ეკლესია. სხვა VI ს. დარბაზული ეკლესია - „მისარონი" დღემდე დგას ქალაქის ციტადელში. კიდევ ერთი ეკლესია გამოავლინა ექსპედიციამ მთის ფერდობზე, აღმოსავლეთ პირველი გალავნის კუთხეში. როგორც ჩანს, იგი აიგო იმავე დროს, როდესაც გალავანი, ე.ი. IV ს. IV-V სს. ეკლესიების გამოვლენა დასავლეთ საქართველოს დედაქალაქში, კიდევ ერთხელ ადასტურებს ისტორიკოსების მიერ ადრე გამოთქმულ მოსაზრებას იბერიასა და ეგრისში ქრისტიანობის თითქმის ერთდროულად გავრცელების თაობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიების სიმრავლე ციხეგოჯ- არქეოპოლისში ძლიერი საეკლესიო ცენტრის არსებობას მიუთითებს, აქ არ იყო საეპისკოპოსო კათედრა. ამაზე მეტყველებენ VII-IX სს. ბიზანტიური საეპისკოპოსო ცენტრების ნუსხები „ეკთეზისები". ამ ფაქტს ჩვენ ვხსნით ეგრისის მეფეთა პოლიტიკით, რომელთაც არ სურდათ გვერდით ჰყოლოდათ ბიზანტიისადმი დაქვემდებარებული ეპისკოპოსი, რომლისთვისაც იმპერიის ინტერესები პირველ ადგილზე იდგებოდა.

IV-VI სს. სამარხები ნოქალაქევში მცირე რაოდენობითაა გამოვლენილი. ეს გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ ამ პერიოდის სამაროვანი ჯერ არ არის აღმოჩენილი.

ძალიან საინტერესო მონაპოვრად გვეჩვენება IV-VI სს. სეფისკვერის საბეჭდავი. ეს არის მრგვალი ფორმის ნივთი, რომელიც ჯვრის ფორმის ზოლებით ოთხ თანაბარ ნაწილად იყოფა. თითოეულ ნაწილში სამ-სამი რელიეფური ჯვარია გამოსახული.

რიტუალური დანიშნულების საგნებს შორის გამოირჩევა ე.წ. საცეცხლურები. სამეცნიერო ლიტერატურაში მათ ღვთაებრივ ცეცხლს უკავშირებენ. ეს გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ ამ ნივთების კავშირი ირანულ რელიგიასთან-ცეცხლთაყვანისმცემლობასთან, რაც არაა გამორიცხული ქრისტიანობის გავრცელების ადრეულ ეტაპებზე.

ნოქალაქევის არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლები ავსებს ჩვენს ცოდნას საქართველოს საეკლესიო ისტორიის შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გელათის მთავარი ტაძრის XVI ს მოხატულობის იკონოგრაფიული პროგრამის თავისებურებანი

ირინე მამაიაშვილი

გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი
თბილისი, საქართველო

გელათის მონასტრის მთავარი, ღვთისმშობლის სახელზე აგებული ჯვარ-გუმბათოვანი XII ს. ტაძრის ინტერიერი არა ერთხელ იყო მოხატული და განახლებული. 1510 წელს თურქების შემოსევის შემდეგ დარბეული მონასტერი აღდგა და ტაძარი მთლიანად მოიხატა იმერეთის მეფის ბაგრატ III და კათალიკოსის ევდემონ ჩხეტიძის თაოსნობით XVI ს. II ნახევარში. მოხატულობის პროგრამაში გაერთიანებულია ძველი დეკორის შემორჩენილი ნაწილები – აბსიდის XII ს-ის მოზაიკა და გუმბათის XV ს. მხატვრობა.

ტაძრის ღვთისმშობლისადმი მიძღვნა, რაც აისახა XII ს მოზაიკურ საკონქო „ღვთისმშობლის დიდების" კომპოზიციაში, მრავალმხრივ გამოხატულებას პოულობს XVI ს. მხატვრობაში ღვთისმშობლის ბავშვობისა და მიძინების ციკლებში, დაუჯდომლისა და გლორიფიკაციის სცენებში.

მხატვრობის იკონოგრაფიული პროგრამა მთლიანობაში მისდევს პოსტბიზანტიური მხატვრობის დეკორის სისტემას. დომინირებს ქრისტეს დიდების, მსხვერპლისა და მეორედ მოსვლის იდეა – ქრისტე პანტოკრატორი და საღმრთო ლიტურღია – გუმბათში; ძველი დღეთა, ქრისტე ემმანუელი, ჯვარი, ჰეტიმასია – ყოველი მკლავის კამარაში. ევქარისტიული მსხვერპლის თემა მკაფიოდაა გამოხატული აბსიდში – საღმრთო ლიტურღია, მოციქულთა ზიარება, წმინდა მამათა ღვთისმსახურება. ამავე თემას უკავშირდება კონქის მოზაიკური ღვთისმშობლის გამოსახულება ჩვილით.

ქრისტოლოგიური ციკლის სცენებისა და ცალკეულ წმინდანთა გამოსახულებათა განლაგება ინტერიერში ძირითადად მისდევს წლის ლიტურღიულ კალენდარს. გარკვეული კომპოზიციები გამოყოფილია და აქცენტირებული მათი იდეური მნიშვნელობის მიხედვით.

მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მხატვრობაში XVI ს. ისტორიულ პირთა გამოსახულებებს; მათ შორის წარმოდგენილია მონასტრის დამაარსებელი დავით აღმაშენებელი.

მხატვრობაში შეინიშნება ზოგიერთი თავისებურება: საღმრთო ლიტურღიის ორჯერ გამოსახვა – აბსიდში და გუმბათში, რაც აიხსნება მათი სხვადასხვა პერიოდში შესრულებით და ამ დროის მოხატულობებში გამოვლენილი ტენდენციით ლიტურღიული შინაარსის სცენათა გამოსახვისადმი; ქართული მხატვრობისათვის არატიპიური ღვთისმშობლის მიძინების ციკლის და გლორიფიკაციის იშვიათი სცენის ჩართვა პროგრამაში; ქრისტოლოგიურ ციკლში არ არის შესული ამ პერიოდში გავრცელებული სცენები – თომას რწმუნება, ქრისტეს სასწაულები, განკურნებანი; არ არის აგრეთვე წმინდანთა ნახევარფიგურების მწკრივები.

ანტიკათოლიკური გამოსვლები აღმოსავლეთ საქართველოში XVII საუკუნეში

ელდარ მამისთვალაშვილი

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
გორი, საქართველო

1. აღმოსავლეთი საქართველო მეზობელი მუსლიმანური ქვეყნებისაგან თავდასხმის მუდმივი საშიშროების წინაშე იდგა. მისი სამეფო კარი, პოლიტიკური მოღვაწენი და დიპლომატები იძულებულნი იყვნენ ქრისტიანულ ქვეყნებში მოკავშირე და დამხმარე ეძებნათ. მათ ასეთ ძალად რომის პაპი და დასავლეთის კათოლიკური სახელმწიფოები ეგულებოდათ. მათი პროდასავლური ორიენტაცია ზოგჯერ განპირობებული იყო მეზობელი ისლამური სახელმწიფოების მოთხოვნით, რომ-

ლებსაც თავიანთი გარკვეული მიზნები ამოძრავებდათ. არცთუ იშვიათად, ქართველი პოლიტიკური მოღვაწენი და დიპლომატები, ხედავდნენ რა ოსმალეთის ან ირანის ხელისუფლებაზე ევროპის კათოლიკური ქვეყნების გავლენას, თვითონაც ცდილობდნენ მათ გამოყენებას დასახელებულ ისლამურ ქვეყნებზე ზემოქმედებისათვის.

2. უაღრესად გაზვიადებულია კათოლიკე მისიონერების მიერ რელაციებსა, ოფიციალურ და კერძო წერილებში დახატული ვითარება, თითქოს მალე მთელ საქართველოში კათოლიციზმი იზეიმებდა. სინამდვილეში, ქართველთა აბსოლუტური უმრავლესობა მართლმადიდებელი ეკლესიისადმი ერთგული რჩებოდა. ისინი მისიონერების საქმიანობისადმი შემწყნარებელნი იყვნენ მანამდე, ვიდრე მართლმადიდებლობას რაიმე, მეტ-ნაკლებად სერიოზული საფრთხე, დაემუქრებოდა. ამის შემდეგ მეღავნდებოდა მოსახლეობის ყველა ფენის ნამდვილი დამოკიდებულება უცხო ეკლესიისადმი. იშვიათი არ იყო ანტიკათოლიკური გამოსვლებიც, რომლის ამსახველმა მასალამ საკმაოდ მოაღწია.

3. XVII საუკუნეში საქართველოში ანტიკათოლიკურ განწყობილებას აღვივებდნენ კონსტანტინოპოლისა და იერუსალიმის საპატრიარქოები და ბერძენი სასულიერო პირები. ეს უკანასკნელნი მრავლად იყვნენ საქართველოში. განსაკუთრებით აღსანიშნავია იერუსალიმის პატრიარქ დოსიოთეოსის (1669-1707) საქმიანობა მიმართული ქართლ-კახეთში მყოფი მისიონერების და საერთოდ, რომის კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ.

4. ქართველთა ანტიკათოლიკურ განწყობილებას გარკვეულად ხელს უწყობდა კათოლიკეების მცდელობა დაუფლებოდნენ ქართველთა ეკლესია-მონასტრებს იერუსალიმში, მაგრამ მართლმადიდებელ ქართველთა და ბერძენთა სერიოზულ ერთობლივ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ.

ქრისტიანობის ისტორიის წერილობითი წყაროების კვლევა საქართველოში

ქეთევან მანია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

ქრისტიანობის ისტორიის წერილობითი წყაროების ანალიზი ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია ქართულ ისტოროგრაფიაში. სპეციალისტთა განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებდა და იმსახურებს ქართველთა მოქცევასთან დაკავშირებული პრობლემების კვლევა. მთელი მეოცე საუკუნის განმავლობაში საქართველოში ინტენსიურად მიმდინარეობს ამ მოვლენის ამსახველი წყაროების შესწავლა. გამოქვეყნებულ იქნა არაერთი გამოკვლევა სამეცნიერო წერილისა თუ მონოგრაფიის სახით.

როგორც ცნობილია, გაქრისტიანების უმთავრეს ქართულ წერილობით წყაროს წარმოადგენს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, რომლის კვლევა რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობდა: დიდი ყურადღება ეთმობოდა ტექსტოლოგიურ საკითხებს, თავდაპირველი რედაქციის გამოვლენას, ატრიბუციას, დათარიღებას, წყაროს ცნობების ურთიერთშეჯერებას და სხვა. ამ საკითხთან დაკავშირებით ხშირად მკვლევრები სხვადასხვა მოსაზრებას გამოთქვამდნენ. ამ მიზეზით კვლავ ამოცანად რჩებოდა ამ უდიდესი მნიშვნელობის ფაქტის ამსახველი წყაროს ჩაღრმავებული შესწავლა. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო პერიოდია XX ს. 80-90-იანი წლები. გამოითქვა ახალი თვალსაზრისები, გაკეთებულ იქნა ახლებური ინტერპრეტაციები, ამ საკითხებზე დაიწერა საგანგებო და

მრავლისმომცველი მონოგრაფიები. აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვანი კორექტივი განიცადა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ერთ-ერთი წყაროსა და შემადგენელი ნაწილის „წმინდა ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქციის დათარიღებამ. თუ თავიდან მის წარმოშობას IX ს. უკავშირებდნენ, უკანასკნელი ხანის გამოკვლევების თანახმად ძეგლი შეიქმნა გაქრისტიანების ახლო ხანებში.

საქართველო - ქრისტიანული იკონოგრაფიის სათავეებთან

კიტი მაჩაბელი

გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

საქართველოში, მთელი მართლმადიდებლური სამყაროს მსგავსად, წმინდა სახეთა გავრცელების საწყისი VI-VII საუკუნეებში ჩნდება. ამ დროიდან შემონახულ ქართულ რელიეფებში გამოვლინდა ადრექრისტიანული ხელოვნების უმთავრესი ტენდენციები. ძეგლთა ეს ჯგუფი მდიდარ ინფორმაციას შეიცავს ქართული სახვითი ხელოვნების სტილისა და იკონოგრაფიის შესახებ. რელიეფში ბატონობს ფრონტალობა, სიბრტყობრიობა, მკაცრი რიტმი, ხაზის დეკორატულობა. ქრისტიანული სულიერების ხატების შესაქმნელად ქართველი მოქანდაკეები ფართოდ იყენებდნენ ადგილობრივი ტრადიციებიდან მომდინარე მხატვრულ ხერხებს.

ბიბლიური თემების ჩამოყალიბებული სქემების არსებობა საქართველოში რელიეფური ძეგლების საფუძველზე უკვე VI საუკუნის მეორე ნახევრიდან დასტურდება. ამ ეპოქის არქიტექტურულ დეკორში, კანკელებისა და ქვაჯვარების რელიეფების რთულ იკონოგრაფიულ პროგრამებში ჩანს მოწინავე ქრისტიანული ცენტრების დონის თეოლოგიური აზროვნება.

ქართველ ოსტატთა შემოქმედებით შესაძლებლობებსა და განსწავლულობაზე მეტყველებს რელიეფურ პროგრამებში "სიმბოლური პარალელიზმის" პრინციპის გამოყენება, რომელიც დამახასიათებელი იყო ბიზანტიური ხელოვნებისათვის. ძველი აღთქმის თემების მოხმობა სახარების მოვლენების უფრო სრულად წარმოჩენასა და იკონოგრაფიული პროგრამის იდეის გაღრმავებას ემსახურებოდა. ამასთანავე, რელიეფებზე ქრისტიანული სიუჟეტები ხშირად ორიგინალური ინტერპრეტაციითაა წარმოდგენილი.

VI-VII საუკუნეთა ქვის ხატებზე წმინდა ისტორიის უმთავრესი მოვლენები და პერსონაჟებია წარმოდგენილი. უპირატესობა ენიჭება უფლის ამაღლებისა და ღმრთისმშობლის დიდების თემებს და საუფლო დღესასწაულთა ციკლის ეპიზოდებს. ამ რელიეფებში ქრისტიანული იკონოგრაფიის ჩამოყალიბების ეპოქის ადრეული ეტაპია ასახული. ქართული ქვის ხატები, ბიზანტიური სპილოს ძვლის და ოქროს მედალიონთა რელიეფებთან, პალესტინური ამპულების სახეებთან და კოპტურ რელიეფებთან ერთად ქრისტიანული იკონოგრაფიის ზოგადი ისტორიის უმნიშვნელოვანეს მასალას წარმოადგენს.

მართლმადიდებლობის გეოპოლიტიკის საკითხისათვის

მალხაზ მაცაბერიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

XX ს. უკანასკნელი ათწლეული გეოპოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებული კვლევების აქტუალიზებით აღინიშნა. ამ მხრივ გამოირჩევა პოსტსაბჭოური სივრცე, და, განსაკუთრებით რუსეთი, სადაც გეოპოლიტიკა დიდ ინტერესს იწვევს არა მხოლოდ მეცნიერებში, არამედ პრაქტიკოს პოლიტიკოსთა შორისაც.

აღნიშული პრობლემისადმი მიძღვნილ ნაშრომებში შეინიშნება ახალი მიდგომები და მიმართულებანი, რომლებიც, მართალია, არ თავსდება ტრადიციული გეოპოლიტიკის ფარგლებში, მაგრამ მნიშვნელოვნად ამდიდრებს პოლიტიკის გლობალურ-სივრცითი კვლევის შესაძლებლობებს.

ერთ-ერთ ასეთ მიმართულებას წარმოადგენს რელიგიის გეოპოლიტიკა, რომელიც, ამავე დროს, მჭიდროდ უკავშირდება ცივილიზაციურ გეოპოლიტიკას, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ რელიგია ცივილიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მახასიათებელს წარმოადგენს.

რელიგიის გეოპოლიტიკის ფარგლებში საქართველოსთვის განსაკუთრებით აქტუალურია მართლმადიდებლობის გეოპოლიტიკა, რომლის მეშვეობითაც შეიძლება გავიაზროთ ქვეყნის ადგილი მართლმადიდებლურ სამყაროში და მიმართება დანარჩენ მსოფლიოსთან.

საქართველოში მართლმადიდებლობის გეოპოლიტიკა ჯერ არ ქცეულა სპეციალური სამეცნიერო კვლევის საგნად. თუმცა, მისი პრობლემატიკა საზოგადოების ყურადღების ცენტრშია მოქცეული. ერთი მხრივ, გარკვეული ძალები ცდილობენ გაავრცელონ რუსული მართლმადიდებლობის გეოპოლიტიკის წამყვანი კონცეფცია, რომლის თანახმადაც რუსეთი მოიაზრება მართლმადიდებლური სამყაროს ლიდერად, ხოლო ეს სამყარო დასავლეთთან დაპირისპირებულ ძალად განიხილება. მეორე მხრივ, ქართულ სინამდვილეში ამ თვალსაზრისის შემოტანის მცდელობა იწვევს რადიკალურ საპასუხო რეაქციას, რაც მართლმადიდებლობისადმი სკეპტიკურ დამოკიდებულებასა და დასავლეთთან სრული იდენტიფიკაციის სურვილში გამოიხატება.

თანამედროვე საქართველოში პრაქტიკულ აუცილებლობას წარმოადგენს რელიგიის, კერძოდ, მართლმადიდებლობის გეოპოლიტიკის უცხოური კონცეფციების მეცნიერული ათვისება, და პრობლემატიკის ეროვნული ინტერესების შესაბამისად გააზრება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მნიშვნელოვან პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, შესაძლოა, საფუძვლად დაედოს ან უცხოური ინტერესები ანდა რეალობის არაადეკვატურად ამსახველი გულუბრყვილო წარმოდგენები. ერთიც და მეორეც ძალზედ საშიშია ქვეყნისთვის, რომელსაც ჯერ კიდევ გადასაწყვეტი აქვს დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში დამკვიდრების ამოცანები.

რუსული მართლმადიდებლობის გეოპოლიტიკა არსებითად ემსახურება პოსტსაბჭოურ სივრცეში ერთიანი სახელმწიფოს აღდგენის საქმეს და, ამდენად, ეწინააღმდეგება საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს. შექმნილ ვითარებაში ქართული მართლმადიდებლობის გეოპოლიტიკის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს იმ საკითხის გააზრება, თუ როგორ შეიძლება მართლმადიდებლური ქვეყანა დასავლური ორიენტაციისა იყოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრისტიანობის როლი ქართველთა მსოფლმხედველობრივი ორიენტაციის ჩამოყალიბებაში

მიხეილ მახარაძე

სავლე წერეთლის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

ოძრხეს საერისთავოს მოქცევა და ქრისტიანობის გავრცელება აჭარაში

ნუგზარ მგელაძე

ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
ბათუმი, საქართველო

ბერძნულ-ლათინურ წყაროებში (დოროთეოს ტვირელი, ეპიფანე კვიპრელი, სოფრონი, თეოდორიტე კვირელი, ევსევი კესარიელი, ნიკიტა პაფლაგონიელი და სხვები) ასახულია ანდრია პირველწოდებულისა და მისი თანამოღვაწე მოციქულების - მატათასა და სვიმონ კანანელის სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, კოლხეთისა და იბერიის მთიან პროვინციებში მოგზაურობისა და ქადაგების არაერთი ეპიზოდი.

შუა საუკუნეებში აღნიშნული წყაროები ქართული ისტორიოგრაფიისათვის უკვე ცნობილი იყო და რიგმა ავტორმა (ექვთიმე ათონელი, გიორგი მთაწმინდელი, ეფრემ მცირე და სხვები) უცხოურ ხელნაწერების გადმოთარგმნითა და ქართულენოვანი ტექსტების შედგენით საგრძნობლად გაამდიდრა ჩვენი ცოდნა საქართველოში ქრისტიანობის თავდაპირველად გავრცელების შესახებ. ორიგინალურ და ნათარგმნ ნაწარმოებებში დაცულია მრავალი მნიშვნელოვანი ცნობა არა მარტო მოციქულთა მოგზაურობაზე, არამედ ქართველური წარმოშობის მოსახლეობის თავისებურებებზე, განსახლების არეალებსა და სარწმუნოებრივი ცნობიერების დეტალებზე.

ქართველ მემატენეთაგან ლეონტი მროველი (XI ს.) ერთ-ერთი პირველი იყო, რომელიც ანდრია პირველწოდებულთან დაკავშირებულ საკითხებს აშუქებდა. მართალია, ლეონტის თხზულების შესაბამისი მონაკვეთი ზოგიერთი მკვლევრის მიერ ჩანართად მიიჩნევა, მაგრამ იგი სამწუხაროდ, ერთადერთი ორიგინალური წყაროა, რომლითაც შესაძლებელია ანდრიას მიერ აგებული ქრისტიანული სამლოცველოებისა და მის მიერ ჩამოყალიბებული ქრისტიანული თემების ადგილმდებარეობა განისაზღვროს. ამ წყაროს თანახმად, მას შემდეგ რაც მოციქულებმა მათი სამოღვაწეო მხარეები დაინაწილეს, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს წილად ხვდა ქართლის (იბერიის) სამეფოს მოქცევა. ანდრია პირველწოდებული წარმოვლენილ იქნა ლაზიკა-ეგრისისა და ქართლის სამეფოს ერთ ნაწილში, სადაც იმდროინდელი საქართველოს დანარჩენი კუთხის მსგავსად ქართველური წარმომავლობის წარმართი ტომები სახლობდნენ. მან აღაშენა ეკლესიები და ადგილობრივი მოსახლეობა ქრისტიანობაზე მოაქცია. ანდრიამ და მისმა თანმხლებმა მოღვაწეებმა გაიარეს ტრაპეზუნტი, გაეცნენ ქართველური წარმოშობის ტომებს - ზანებსა და ქართებს, შეაღწიეს ქართლის მეფის – ფარნავაზის მიერ ძვ. წ. III საუკუნეებში ჩამოყალიბებულ ოძრხეს საერისთავოში, რომელიც ადრე შუა საუკუნეებში მოიცავდა საქართველოს ორ ისტორიულ პროვინციას - სამცხესა და აჭარას.

ლეონტი მროველის თხზულების ჩანართად მიჩნეულ ტექსტში აღნიშნულია, რომ I საუკუნეში ანდრია მოციქული შევიდა ქართლის ქვეყანაში, შეჩერდა და დააარსა ეკლესია იმ დასახლებულ პუნქტში, სადაც ადრეშუასაუკუნეებსა და მემატიანის ეპოქაში მდებარეობდა სათემო დასახლება - დიდაჭარა. ამ სახელწოდების მატარებელი მჭიდროდ დასახლებული პუნქტი მდინარე აჭარისწყალის სათავეებთან ამჟამადაც არსებობს.

მის ზოგიერთ უბანს დღემდე შემორჩა ქრისტიანული კულტმსახურებისათვის დამახასიათებელი სახელწოდებები და ქრისტიანული სიძველეები.

დიდაჭარიდან ანდრია მოციქული, როგორც ჩანს, გოდერძის ულელტეხილით, სადაც იმ დროს და შემდეგაც გადიოდა მნიშვნელოვანი საქარავნო გზა, რომელიც არა მარტო ოძრხეს საერისთავოს ხეობებს, არამედ, საერთოდ, ქართლის სამეფოსა და ზღვისპირა რეგიონებს აკავშირებდა ერთმანეთს, გადავიდა ოძრხეს საერისთავოს მეორე პროვინციაში, ისტორიულ სამცხეში და იქ ქრისტიანობა იქადაგა.

მიუხედავად ანდრია პირველწოდებულისა და მის თანამოღვაწეების მცდელობისა, დროთა განმავლობაში, ოძრხეს საერისთავოს მოსახლეობამ მაინც მიივიწყა ქრისტიანობა, რადგან მათში წარმართობამ კვლავ იმძლავრა, თუმცა შედარებით გვიან, როცა წმინდა ნინოს ხელშეწყობით ქართლში ქრისტიანული სარწმუნოება ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდა, სამცხე და აჭარა საქართველოს უძლიერეს ქრისტიანულ პროვინციებად შედარებით იოლად იქცა. ანდრია მოციქულის მოღვაწეობის კვალი აღნიშნულ რეგიონებში წმინდა ნინოს ქართლის სამეფოში მოღვაწეობის დროს ნაწილობრივ მაინც შემონახული უნდა ყოფილიყო.

ერთი ტერმინის განმარტებისათვის დავით აღმაშენებლის 1123 წ. ანდერძიდან მღვიმის მონასტრისადმი

დარეჯან მეგრელაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

დავით აღმაშენებლის 1123 წ. შიომღვიმისადმი ბოძებულ ანდერძის ტექსტში გვხვდება სიტყვა „მატური“.

XIX-XX სს. ქართველ მკვლევართა ნაწილს ეს სიტყვა გააზრებული აქვს, როგორც სოფლის აღმნიშვნელი ტოპონიმი.

ლექსიკოლოგიური მასალის შესწავლამ ცხადყო, რომ სიტყვა მატური დაკავშირებულია საფლავთან. იგი საფლავზე დადგმული რაიმე ნიშნის ან ძეგლის აღმნიშვნელი ცნებაა.

სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული შეხედულება, რომ მატური სოფლის სახელია, ანდერძის სიტყვანაკლული ტექსტის არასწორი ინტერპრეტაციიდან მომდინარეობს. ანდერძში ვკითხულობთ: „... მონასტერისა რაცა იყო მთასა: ციხე, მარანი ანუ მატური იგი სოფელი“..

ჩვენ ვცადეთ ტექსტის აღდგენა სავარაუდო სიტყვით საბა ორბელიანის ლექსიკონიდან. საბას განმარტებით „სოფელი სამ სახედ ითქმის“. ერთ-ერთი „სახე“ კი არის „საუკუნო იგი სოფელი“. ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონის“ მიხედვით სიტყვა „სოფელი“ კონკრეტულ შემთხვევაში გაიგივებულია სიტყვასთან „სასუფეველი“. თუმცა ანდერძის ტექსტში „სოფლის“ შეცვლა „სასუფევლით“ გაუმართლებლად მიგვაჩნია. მაგრამ თუ ანდერძისეულ ორ სიტყვას - „იგი სოფელი“ დავურთავთ საბასეულ „საუკუნოს“ (ე. ი. მუდმივი, სამარადისო), მივიღებთ „იგი სოფლის“ განმარტებას და ტექსტი ასე წაიკითხება: „მონასტერისა რაცა იყო მთასა: ციხე, მარანი, ანუ მატური, - [საუკუნო] იგი სოფელი...“

ანდერძში „მატური“ დამოწმებულია „მთასა“ – ზედაზნის მთაზე. ხელოვნებათმცოდნეთა (გიორგი და ნიკო ჩუბინაშვილები, ა. ვოლსკაია, თ. ბარნაველი, ნ. ანდღულაძე და ვ. დევდარიანი) დასკვნით ზედაზენზე სამნავიანი ბაზილიკის ერთ-ერთ ადრე აგებულ (VI-VII), უაფსიდო ნავში მიკვლეული საფლავი მონასტრის დამაარსებლის იოანე ზედაზნელის მეორადი (გადმოსვენების შემდგომი) საფლავია.

ამრიგად, ვფიქრობთ, მეფე დავითის ანდერძში ნახსენებ სიტყვაში „მატური“ წმ. იოანე ზედაზნელის საფლავი ივარაუდება და არა სოფელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლატვიის ქრისტიანიზაცია: ფაქტები, ინტერპრეტაციები და მათი გამოყენება

აგიტა მიზანე

ლატვიის უნივერსიტეტი
რიგა, ლატვია

მოხსენებაში განიხილება ლატვიის ქრისტიანიზაცია, როგორც ეს აღწერილია ისტორიულ წყაროებში და ამ ფაქტის ინტერპრეტაციები, რომელთა საფუძველი ხშირად პოლიტიკური მოტივებია.

ქრისტიანიზაციის პროცესი მოიცავს ორ მთავარ ფაზას. პირველი ჩვეულებრივ მოცემულ ტერიტორიაზე მისიონერული მოღვაწეობით იწყება და მთავრდება პოლიტიკური ელიტის მოქცევით, ნათლისღებით, რომელსაც, როგორც წესი, საჯარო ხასიათი აქვს, აგრეთვე რელიგიური ცენტრის დაფუძნებით. ესაა ქრისტიანობის მიღების ოფიციალური პერიოდი, როგორც ის წარმოდგენილია უმეტესობა ევროპული ქვეყნების ისტორიებში. ლატვიის შემთხვევაში ეს არის 1186 წელი, როცა გერმანელი ავგუსტინელი ბერი მეინარდი ეკურთხა იკსკილის პირველ ეპისკოპოსად. მეორე ფაზა ნელია და ზოგჯერ მტკივნეულიც, ესაა მასების მიერ ქრისტიანობის მიღება და ფასეულობათა სისტემის და კულტურული პარადიგმის შეცვლა. დამთავრდა თუ არა ეს პროცესი ლატვიაში ჯერ კიდევ რთულ კითხვად რჩება.

ჩემი გამოკვლევის თანახმად ქრისტიანობის შემოსვლა ლატვიაში (IX-XII სს.) ჩრდილოევროპულ მოდელს იმეორებს: სამისიონერო ცენტრები მკვიდრდებოდა სანაოსნო გზების გასწვრივ, რაც უკავშირდებოდა ქრისტიანი ვაჭრებისთვის სასურველი რელიგიური გარემოს შექმნას და ემსახურებოდა ადგილობრივი მოსახლეობის განსწავლას. გვიანი მეთორმეტე და ადრე მეცამეტე საუკუნეების განმავლობაში არსებობდა გეგმა, რომ დამკვიდრებულიყო დამოუკიდებელი ქრისტიანული სახელმწიფო Terra Marianna, ვატიკანის უშუალო დაქვემდებარებაში მყოფი და ლივონიელი ბელადით კაუპოთი სათავეში, რომელმაც, როგორც სახელმწიფოს მეთაურმა, მიიღო ქრისტიანობა. გეგმა ჩაიშალა ეპისკოპოს ალბერტის, შემდგომში რიგის კათოლიკური ლიდერის პოლიტიკური ამბიციების მიზეზით.

განმანათლებლობის გადასახედიდან ლატვიის ქრისტიანიზაცია, რომელსაც თან სდევდა პოლიტიკური თავისუფლების დაკარგვა და ლატვიელი და ლივონიელი ხალხის დაქვემდებარება რიგის საეპისკოპოსოს და ლივონიის სამხედრო ორდენისადმი, სხვადასხვაგვარად განიმარტება. ბევრი ლატვიელი დღემდე ეთანხმება „შვიდი ასწლეული მონობის“ კონცეფციას, როგორც უმთავრეს პრინციპს ლატვიაში ქრისტიანობის ისტორიის გაგებისათვის. ჩემს მოხსენებაში მე განვიხილავ სხვადასხვა მიდგომას საკითხისადმი ეროვნული თვითგამორკვევის პრობლემაზე საგანგებო მსჯელობით.

ტრადიციული ქართული მედიცინა და ქრისტიანობა

ნინო მინდაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონასტერი იმპერიული სახელმწიფოს რეალობაში

ლადო მირიანაშვილი

არასამთავრობო ორგანიზაცია – ფონდი "უდაბნო"
თბილისი, საქართველო

1801 წელს საქართველოს იძულებით გაერთიანებას რუსეთის იმპერიაში შედეგად მნიშვნელოვანი ცვლილებები მოჰყვა ქვეყნის ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, მათ შორის სამონასტრო ცხოვრებაშიც. თუ საწყის ეტაპზე ეს მხოლოდ პიროვნული დაპირისპირების შედეგი იყო რუსეთთან გაერთიანების ერთეულ მომხრესა და მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგეთა შორის, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ (1811 წელს აღმოსავლეთ საქართველოში, ხოლო 1814 წელს – დასავლეთ საქართველოში), "რეფორმების" გატარების შედეგად სამონასტრო ცხოვრების ამოსავალი პრინციპების რღვევა დაიწყო. მონასტრების მდგომარეობა განსაკუთრებით მას შემდეგ დამძიმდა, რაც მათ ფინანსური და ქონებრივი დამოუკიდებლობა დაკარგეს.

ბერების შეგნებული ნაწილი არ ეგუებოდა ქვეყნისა და ეკლესიის დამოუკიდებლობის დაკარგვას, მონაზონური ცხოვრების არსის გაუბრალოებას და გახშირებული აჯანყებების მოთავეებს უთანაგრძნობდა. იმპერიულ მთავრობასთან მკვეთრად დაპირისპირებულ ბერთა რიცხვი განსაკუთრებით 1820 წლის იმერეთ-გურიის აჯანყებისა და 1832 წლის შეთქმულების დროს გაიზარდა. ეგზარქატმა სადამსჯელო ორგანოს ფუნქცია იკისრა: ხელისუფლების მითითებით იგი ეჭვმიტანილთა დაკითხვებსა და არასაიმედო პირთა საიდუმლო მეთვალყურეობას აწარმოებდა. არასასურველთა სიაში მრავალი სასულიერო პირი აღმოჩნდა: არქიმანდრიტები ეპიფანე, გრიგორი, მაქსიმე; იერომონახები ფილადელფოსი, ტარასი და სხვ. რუსეთის იმპერიის მსახურმა ეგზარქატმა მონასტრები, ფაქტობრივად, სატუსაღოებად და გამოსასწორებელ დაწესებულებებად გადააქცია, თანაც ისეთი მასშტაბებით, რომ 1841 წლის 8 სექტემბერს წმინდა სინოდმა სპეციალური დადგენილებაც კი გამოსცა მონასტრებში იძულებით მყოფ პირთა კვებაზე დახარჯული თანხების ანგარიშგების წესის შესახებ.

რამდენადაც მონასტერი რწმენისა და ეროვნული თვითშეგნების ბურჯად მოიაზრებოდა, რუსეთის იმპერიას სწორედ მისი დანგრევით ეწადა საქართველოს დამორჩილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სომხეთში ქრისტიანობის მიღების პოლიტიკური ასპექტები

კარლენ მირუმიანი

ფილოსოფიისა და სამართლის ინსტიტუტი
სომხეთის ეროვნული აკადემია
ერევანი, სომხეთი

საბჭოთა ადამიანის ზნეობრივი კოდექსის ჩამოყალიბების პროცესი და მეშვიდე მცნება

ირინა მოდებაძე

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის რადიკალურ შეცვლას მოჰყვება მნიშვნელოვანი ძვრები კულტურულ პარადიგმაში და მთელ სემიოსფეროში. იცვლება საზოგადოების დამოკიდებულება ფასეულობებისადმი. საბ-ჭოთა პერიოდში "ახალი ადამიანის" ზნეობრივი კოდექსის დამუშავების პროცესში აღინიშნა შინაგანი თავი-სუფლების (ქრისტიანული "არჩევანის თავისუფლების" ანალოგის) გადააზრების მცდელობა. თავისუფალი სიყვარულის უფლებისა და ქორწინების ინსტიტუტის საზოგადოებრივი ფუნქციის საკითხები სერიოზული დისკუსიების საგნად იქცა თვით სამთავრობო დონეზედაც კი. იმდროინდელ მწერლობასა და კრიტიკაში აისახა საზოგადოებრივი აზრის დამოკიდებულება ამ დისკუსიებისადმი. მეცნიერულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ მიუხედავად ერთგვარი რეაქციისა, რუსული და ქართული საზოგადოებრივი აზრი აღნიშნულ პრობლე-მაზე განსხვავდებოდა. თუ რუსული საზოგადოებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა იდეა ძირითად ბინარულ ოპოზიციებში (სიკეთე-სიბოროტე, სათნოება-ცოდვა) რაიმე ცვლილების შეტანისა, ქართული კულტურისათ-ვის ამ პრობლემის თვით განხილვაც კი მიუღებელი იყო.

ემოციური შეფასებების სფეროს აკონტროლებს ე.წ. "საზოგადოებრივი ქვეცნობიერება". ობიექტური კრიტერიუმების ფუნქციას ყოფაქცევის ამა თუ იმ ნორმების საზოგადოების მიერ ლეგიტიმიზაციის პრო-ცესში ახორციელებენ მითოლოგიური არქეტიპები. საბჭოთა ადამიანის ზნეობრივი კოდექსის დასრულებულ ფორმაში აშკარაა მეშვიდე მცნებაში დაფიქსირებული და ახალ აღთქმაში განმარტებული მართლმადიდებლუ-რი ქრისტიანული არქეტიპის მემკვიდრეობითი ტრანსფორმაციის ნიშნები. მითის ქმნადობის პროცესები მიმ-დინარეობს ქვეცნობიერ დონეზე და მკვიდრდება ტრადიციის სახით. შესაბამისად, ზემოაღნიშნული სხვაობა აიხსნება თვით ტრადიციის არსებობის ხანგრძლივობით. დასმული საკითხის სრულყოფილი გამოკვლევა პრობლემის ისტორიის გადააზრებას მოითხოვს. ჩვენი აზრით, მისი შესწავლა არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ მარქსისტული ანალიზის ტრადიციით. აუცილებელია აგრეთვე XIX ს. პირველი ნახევრის - XX ს. დასაწყისის ზოგადევროპული კულტურული პროცესების გათვალისწინებაც, ისეთისა როგორიცაა: ევროპული კულტურის განვითარებაზე ფრანგულ კათოლიციზმში გაჩენილი ე.წ. "ოკულტური აღორძინების" გავლენა; "ეროტული გათავისუფლება", როგორც ეზოთერული იდეა ანდროგინატის მისაღწევად და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი ქრისტიანები რომის იმპერიაში

მარიკა მშვილდაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

ნაშრომში განხილულია ქრისტიანთა მდგომარეობა რომის იმპერიაში ანტონინების დინასტიის ბოლო ორი წარმომადგენლის მარკუს ავრელიუსისა (Marcus Aurelius Antoninus, 161-180 წწ.) და მისი შვილის – კომოდის (L. Aelius Aurelius Commodus, 180-192 წწ.) იმპერატორობის ეპოქაში.

როგორც ცნობილია, ანტონინების დინასტიის ზეობის ხანა მოიცავდა თითქმის მთელ საუკუნეს (ახ.წ. 96-192 წწ.), რომელიც შეგვიძლია დავყოთ ორ პერიოდად: პირველი – ნერვადან ანტონინე პიუსის ჩათვლით, ეს პერიოდი ხელისუფლების მაქსიმალური მდგრადობით გამოირჩევა (ტყუილად როდი უწოდებდნენ მას თანამედროვენი „ოქროს საუკუნეს") და მეორე, ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნული, როდესაც იმპერიას თავს დაატყდა მწვავე და ხანგრძლივი კრიზისი. მოჩვენებითი აყვავების ეპოქა დასრულდა და ქვეყნის დაშლის ის პროცესები, რომლებიც თითქოს არც კი ჩანდა საუკუნის დასაწყისში, ეხლა მკვეთრად გამოიხატა.

ანტონინები არ გამოირჩეოდნენ ქრისტიანების მიმართ მკვეთრი დაპირისპირებით. აღნიშნული ნაშრომის წარმოდგენით ჩვენ შევეცადეთ გაგვეანალიზებინა, თუ რა მდგომარეობაში იყო ქრისტიანული თემი იმპერიაში მისი შედარებით სისუსტის დროს, როგორ აისახებოდა ყოველივე ეს იმპერატორების პოლიტიკაზე ახალი მონოთეისტური რელიგიის – ქრისტიანობის წარმომადგენლების მიმართ. ეპოქის სირთულე გამოიხატებოდა იმაშიც, რომ სწორედ ამ პერიოდზე მოდის ქვეყანაში რიგი ერესების (იუდაური ქრისტიანობა, მონტანიზმი, გნოსტიციზმი) არსებობა. იმავდროულად სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდიან ქრისტიანობის ისეთი დიდი აპოლოგეტები, როგორებიც არიან ირენეუსი, ტერტულიანი, ათანაგორა და სხვ. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ 177 წ. ხდება ქრისტიანთა ყველაზე დიდი დევნა ლუგდუნაიზესა და ნარბონაიზეში ნერონის მიერ ახალი რელიგიის მიმდევართა დარბევის შემდეგ 64 წ., რომ არაფერი ვთქვათ, პროვინციების გუბერნატორების მიერ ქრისტიანთა წამების ცალკეულ შემთხვევებზე.

აღნიშნული მასალის შესწავლა საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, რომ II ს. მეორე ნახევარში ქრისტიანობის მიმდევრები იყვნენ იმპერიაში არსებული ყველა ფენის წარმომადგენლები. ქრისტიანობა კანონით არ იკრძალებოდა. ქრისტიანთა დევნისა და წამების შემთხვევები მაინც იმპერატორების ნებით თუ უნებლიე წაქეზებით ხდებოდა. ამასთან გუბერნატორებს უფლება ეძლეოდათ თავისი შეხედულებისამებრ ემოქმედათ ქრისტიანების მიმართ, რაც ჩვენი აზრით, პილატეს „ხელების დაბანის" პოლიტიკას წააგავს.

დავით გარეჯის მონასტრების სოციალური ყოფისა და სამეურნეო ურთიერთობის ისტორიიდან

ელდარ ნადირაძე

სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი
თბილისი, საქართველო

რელიგიის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიური წანამძღვრები

ნოდარ ნათაძე

სავლე წერეთლის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

1. ადამიანის უფლებები (აუ) მდგომარეობს მის მიერ იმ მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში, რომლებიც განუყოფელია მისი, როგორც ადამიანის, არსისაგან და მისი სტატუსისაგან კოსმოსში ანუ ფუნდამენტურია მისთვის. ვინაიდან ამ მოთხოვნილებათა თანაგანმსაზღვრელია კულტურის-მიერი ფაქტორები, ჩნდება საშიშროება, რომ:

ა) ვერ განისაზღვრება ცალსახად საყოველთაოდ მნიშვნელადი, მაშასადამე – ინტერკულტურულად მნიშვნელადი ნორმები ადამიანური უფლებებისა.

ბ) მოხდება ამა თუ იმ კულტურებისთვის მათთვის უცხო ნორმების თავს მოხვევა.

2. რაკი აუ-თა აღიარებულ და კოდიფიცირებულ ნორმათა ჩამონათვალი აუცილებლობით მზარდია, ჩნდება მათი აღიარებისა და კოდიფიკაციის ოპტიმალური თანმიმდევრობის (რიგის) ანუ მათ შორის პრიორიტეტულთა განსაზღვრის ამოცანა. რამდენადაც ამ არჩევანზე ინდივიდის ზემოქმედების შესაძლებლობები შეზღუდულია (იგი ვერ ზემოქმედებს მსოფლიო საზოგადოებრივ აზრზე, რომელიც მისი ქვეყნის პარლამენტზე ზემოქმედებს), ამით ხდება ამ ინდივიდისთვის „ზემოდან", (სახელმწიფოს მხრიდან) იმის კარნახი, თუ რაში მდგომარეობს მისი ბედნიერება ანუ, კანტის ტერმინოლოგიით, იგი თავსდება სახელმწიფოს არა მოქალაქის, არამედ მხოლოდ ქვეშევრდომის სტატუსში (იხ. კანტი, „ერთი ანდაზის შესახებ...").

3. რელიგიური სინიდისის თავისუფლების აღიარება, როცა მას პროპაგანდის შეუზღუდველი თავისუფლება ახლავს, შეიცავს მოცემულ კონკრეტულ საზოგადოებაში მიღებულ სიღრმისეულ აქსიოლოგიურ სისტემებთან წინააღმდეგობაში მოსვლის საშიშროებას. ამგვარად, კანონმდებლობითი რეგულირება აქ აუცილებელია. ეს მხოლოდ ერთი მაგალითია შესაძლო აქსიოლოგიური კონფლიქტისა აუ-თა თანმიმდევრული აღიარებისა და კოდიფიკაციის პროცესში.

4. აუ-თა დაცვის პრაქტიკასთან დაკავშირებულ აქსიოლოგიურ კონფლიქტთა არდაშვების ან მათი მაქსიმალური შერბილების (მინიმალიზაციის) პოლიტიკური ამოცანა შესაძლებელია დიდწილად დაყვანილ იქნას ამ უფლებათა საფუძვლად მდებარე ადამიანური მოთხოვნილებების (და შიშების), ზნეობრივი პოსტულატებისა და აქსიოლოგიური (ღირებულებრივი) სისტემების წინასწარი ანალიზის აკადემიურ (სამეცნიერო-კვლევით) ამოცანაზე. სახელდობრ, შესაძლებელია შესაბამისი მოთხოვნილებების, პოსტულატებისა და სისტემების მატერიული (რომელობრივი, შინაარსობრივი) შესწავლა ადამიანისთვის მათი ფუნდამენტურობის ხარისხის თვალსაზრისით და ამ საფუძველზე მათი აღიარებისა და კოდიფიკაციის ოპტიმალური თანმიმდევრობის განსაზღვრა. რაოდენობრივი გაზომვის (და შედარების) მეთოდი ხელთ არ გვაქვს. მაგრამ ერთგვარ ამოსავალ წერტილს გვაძლევს მოცემულ საზოგადოებაში ადამიანთა დამოკიდებულების სტატისტიკა კონკრეტული ღირებულებებისადმი მათი სიმაღლე-სიდაბლისა და სიძლიერე-სისუსტის (შელერი, ჰარტმანი) პარამეტრების შესაბამისად.

მასალები "წმინდა ნინოს ცხოვრების" დათარიღებისათვის

მაია ნაჭყებია

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველი ერის ისტორიაში ქრისტიანობაზე მოქცევა ის მოვლენაა, რომელიც იწვევს ცვლილებებს ადამიანთა ცხოვრების ყველა სფეროში – პოლიტიკურში, კულტურულში, სულიერსა თუ სოციალურში. IV საუკუნის პირველ ნახევარში საქართველო ქრისტიანობაზე მოაქცია წმ. ნინომ, ერთადერთმა მოციქულმა ქალმა მთელს ქრისტიანულ სამყაროში. წმ. ნინოს განმანათლებლური მოღვაწეობის შედეგად ქრისტიანობა საქართველოს სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა; წმ. ნინოს მიერ საქართველოს მოქცევა აღწერილია „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ში, „ქართლის ცხოვრებაში". არსებობს სხვადასხვა მოსაზრება საქართველოს გაქრისტიანების თარიღის (312 წლიდან 357 წლამდე) შესახებ; ქართულ მეცნიერებაში სარწმუნოდაა მიღებული ი. ჯავახიშვილის მიერ განსაზღვრული თარიღი – 337წ. კვლავ პრობლემურ საკითხად რჩება თუ როდისაა შექმნილი „მოქცევაჲ ქართლისაჲ" – წმ. ნინოს „ცხოვრების" შემცველი წყარო. ზოგიერთი მკვლევრის მოსაზრების თანახმად, ეს ნაშრომი დაწერილია IX საუკუნეში, თუმცა ბოლო ხანებში რიგ გამოკვლევათა მიხედვით აშკარაა, რომ ხსენებული წყაროს ცალკეული ნაწილები შექმნილია წმ. ნინოს სიცოცხლეში. "წმ. ნინოს ცხოვრებაში" არის ფაქტობრივი მონაცემები და დეტალები, რომლებიც მხარს უჭერს იმ მოსაზრებას, რომ მისი გარკვეული ნაწილები წმ. ნინოს თანამედროვეთა მიერ არის დაწერილი.

აღვნიშნავ ზოგიერთ ფაქტსა და დეტალს, დამახასიათებელს "წმ. ნინოს ცხოვრებისათვის", რომლებიც მის ადრეულ წარმომავლობაზე მიუთითებს და საჭიროებს განმარტებას, როგორც ისტორიულ, ისე ფილოლოგიურ ასპექტში: რადგან წმ. ნინო ერთადერთი ქალი-მოციქულია მთელს ქრისტიანულ სამყაროში, იბადება კითხვა: რატომ მოხდა სხვა ქვეყანათაგან განსხვავებით საქართველოს მოქცევა ქალის მიერ? რა იყო ქალის მოციქულებრივი მოღვაწეობის განმაპირობებელი მიზეზი? „წმ. ნინოს ცხოვრებაში" ქალები უფრო მეტი რაოდენობითაა წარმოდგენილი, ვიდრე მამაკაცები; ქალთა აქტიურობა უფრო შესამჩნევია, ვიდრე მამაკაცებისა. არანაკლებ საინტერესოა ცნობები მცხეთაში მცხოვრებ ებრაელთა შესახებ, რომლებიც ქრისტიანობას იღებენ. ასეთი რამ მხოლოდ ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებისათვის არის დამახასიათებელი: ღვთისმშობელი "წმ. ნინოს ცხოვრებაში" მოიხსენიება უბრალოდ როგორც "დედაკაცი", მისი ეპითეტია "მწირი". მის შესახებ ის იციან, რომ ის არის "მარტოდ შობილი", "უეჭველად თესლისაგან დავითისა", "წმიდა" და "უბიწო". მზის დაბნელება, როგორც ფაქტი, ბუნებრივი მოვლენა, მომხდარი მირიან მეფის ნადირობის დროს, ერთ ვერსიაში გააზრებულია "საქმენი მოციქულთა"-ს კონტექსტში (9, 1-18), როგორც მისი მოულოდნელი დროებითი დაბრმავება. ყველაზე ენიგმატური პრობლემა მაინც "წმ. ნინოს ცხოვრების" სტრუქტურაა. ასეთი უჩვეულო სტრუქტურა არ დასტურდება ამ ძეგლის თანამედროვე წყაროებში ანუ ქალთა ადრეულ "ცხოვრებებში". ეს იწვევს კითხვას: რა უნდა ყოფილიყო ნიმუში ამ ძეგლისთვის, რადგან იგი არ განეკუთვნება ტრადიციულ აგიოგრაფიულ ტრაფარეტს. ის, რომ "წმ. ნინოს ცხოვრების" სტრუქტურა არ ჰგავს სხვა აგიოგრაფიული თხზულების სტრუქტურას, მნიშვნელოვანი არგუმენტია ძეგლის სიძველის სასარგებლოდ და მისი დაწერის დროის განსასაზღვრავად.

სამარხეული ინვენტარი ქრისტიანული სიმბოლიკით დიდი მცხეთის სამაროვნებიდან

ვახტანგ ნიკოლაიშვილი, გიორგი მანჯგალაძე

მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტი
მცხეთა, საქართველო

ქრისტიანული სიმბოლოები დიდი მცხეთის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ახ. წ. პირველ საუკუნეებში ჩნდება. ამაზე მეტყველებს გვიანანტიკური ხანის კომპლექსებში დადასტურებული ძეგლები. ქრისტიანული სიმბოლოების შემცველი სამარხების უმრავლესობა, იქ აღმოჩენილი ინვენტარის მიხედვით, II-IV სს. თარიღდება. აღნიშნული სამარხები სხვადასხვა ტიპისაა და ძირითადად გვხვდება მტკვრისა და არაგვის ხერთვისში - თანამედროვე ქალაქის ტერიტორიაზე და სამთავროს ცნობილ სამაროვანზე. ადრეული ქრისტიანული სიმბოლოები უმეტესწილად ბეჭდების გემა - ინტალიოებზეა ამოკვეთილი, ყველაზე გავრცელებული გამოსახულებებია: თევზი, ღუზა თევზებით, დელფინი, მტრედი.

ზემოაღწერილი ქრისტიანული სიმბოლოები - ქართული წერილობითი წყაროების მონაცემებთან ერთად თითქოს ადასტურებს მცხეთაში ქრისტიანული თემის არსებობას ქრისტიანობის ოფიციალურად გამოცხადებამდე.

ქართლში ქრისტიანობის ოფიციალურად აღიარების შემდეგ, ადრე შუასაუკუნეების სამაროვნებზე ყალიბდება (კანონიზდება) ქრისტიანული დაკრძალვის წესი, სამარხებში იცვლება ინვენტარი: ძირითადად სამკაულებსა და სამოსელის მორთულობის ატრიბუტებს ვხვდებით. გავრცელდა საოჯახო აკლდამები, რომელშიც მრავალჯერადი დაკრძალვა დასტურდება. ამ პერიოდის სამარხეულ კომპლექსებში მრავლად გვხვდება ქრისტიანული სიმბოლიკა. აღსანიშნავია, სამთავროს სამაროვნის ერთ-ერთ სამარხში აღმოჩენილი მინის ფიალა ფარშევანგის გამოსახულებითა და ბერძნული წარწერით: „დალიე, იცოცხლე", იქვე სამთავროზე დადასტურებული ბრინჯაოს ფარაჯიანი ბეჭედი ბერძნული წარწერით - „ღვთისა", ჯვრების გამოსახულებებით შემკული მინის ჭურჭელი მცხეთიდან, ჯვრის გამოსახულებებიანი საკინძები და სხვა. ისინი ძირითადად თან ახლავს ქრისტიანული წესით დაკრძალულ მიცვალებულებს დიდი მცხეთის სამაროვნებზე. გამონაკლისს წარმოადგენს სამთავროს სამაროვანი, სადაც დასტურდება მიცვალებულის აღმოსავლური ორიენტაცია, რაც შესაძლოა, სამთავროს სამაროვნის სპეციფიკით აიხსნას.

საკუთრების ქრისტიანული კონცეფცია: ძველი აღთქმიდან თანამედროვეობამდე

ანდრეი ორეხოვი

რუსეთის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტი
მოსკოვი, რუსეთი

საკუთრების ქრისტიანულ კონცეფციას განვითარების დიდი გზა აქვს განვლილი. ერთი მხრივ, მისი ფუნქცია და მიზნები იცვლებოდა ეპოქებისა და რეგიონების მიხედვით; მეორე მხრივ, უშუალოდ წმინდა წერილიდან მომდინარე გარკვეული ბირთვი ძირითადი პრინციპებისა ყოველთვის რჩებოდა უცვლელი. საკუთრების შესახებ ქრისტიანობის უმთავრესი იდეების არსი დაახლოებით შემდეგია: (1) საკუთრება, განსაკუთრებით კი კერძო საკუთრება უპირობო აუცილებლობაა ყოველი ქრისტიანის ფიზიკური გადარჩენისა და გამ-

რავლებისათვის. ქრისტიანობა დადებითად ხვდება ყველა მცდელობას გამრავლებულ იქნეს ამქვეყნიური ქონება, განსაკუთრებით ის, რაც ეთიკური და რელიგიური მნიშვნელობისაა; (2) ამავე დროს საკუთრებას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს ქრისტიანისათვის. საკუთრების ქონა თუ არქონა არ შეიძლება რაიმე გავლენას ახდენდეს ქრისტიანის დამოკიდებულებაზე უფლისადმი. სიმდიდრე თუ სიღარიბე თავისთავად როდი აბრკოლებს ხსნას. თუმც, ღარიბისათვის უფრო ადვილია სასუფეველში ცხონება, ვიდრე მდიდრისათვის; (3) საკუთრების განაწილება საზოგადოებაში არავითარ გავლენას არ უნდა ახდენდეს საღვთო მსახურებაზე. ეკლესია არასოდეს ქადაგებდა საკუთრების ძალით გადანაწილებას. ქრისტე, როგორც ცნობილია, მოუწოდებდა გაეცა მორწმუნეს საკუთრება, არათუ ვინმესთვის წაერთმია იგი. ამიტომაა, რომ ძალისმიერად საკუთრების გადანაწილების სოციალისტური იდეა არასდროს ყოფილა მისაღები ეკლესიისათვის; (4) საკუთრება, უპირველეს ყოვლისა, სულიერი მოვლენაა და არა მატერიალურ-ეკონომიკური ინსტიტუტი. იგი იძენს სულიერ მნიშვნელობას მხოლოდ მაშინ, როცა მესაკუთრის მიზნები ქრისტიანული თვალთახედვით ეთიკურია.

რუსმა ფილოსოფოსებმა დიდი წვლილი შეიტანეს საკუთრების ქრისტიანული კონცეფციის განვითარებაში. ვ. სოლოვიოვი და ნ. ბერდაევი საკუთრებას განიხილავდნენ, როგორც სულიერ ფენომენს, ს. ფრანკი და ი. ილინი, - როგორც საფუძველს ქრისტიანული სახელმწიფოსათვის.. ს. ბულგაკოვი და ნ. ბერდაევი აკრიტიკებდნენ სოციალიზმის რადიკალურ ფორმას, თუმც ამავე დროს მხარს უჭერდნენ ქრისტიანული სოციალიზმის პრინციპებს. ვ. ერნი თავის ნაშრომში „ქრისტიანობის დამოკიდებულება საკუთრებისადმი" (1906) აკრიტიკებდა კერძო საკუთრების ინსტიტუტს, თვლიდა, რომ იგი ეწინააღმდეგება ქრისტიანულ მოძღვრებას მადლის შესახებ. ამრიგად, თავად რუსი ფილოსოფოსების შეხედულებაც არაა ზუსტად იდენტური, თუმც ზოგადად ისინი ეთანხმება ქრისტიანობის დამოკიდებულებას საკუთრებისადმი.

ქრისტიანული რელიგია შიდა ქართლის ინფრასტრუქტურაში

დავით პავლიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

ატენის ხეობა ისტორიული შიდა ქართლის განუყოფელი ნაწილია, რომლის სიგრძე 30 კმ-ზე მეტს მოიცავს. ხეობას ჩამოუდის მდ. ტანა, რომელსაც ჩრდ. დასავლეთიდან ერთვის წედისის ხევისწყალი. ხეობა ოდითგანვე მჭიდროდ იყო დასახლებული დაწყებული სოფ. ხიდისთავიდან, ვიდრე სოფ. ლევიტანამდე. თავისი მდებარეობით იგი ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიულ გზას წარმოადგენდა მანგლის-თრიალეთის, მესხეთ-ჯავახეთისა და აქედან ტაო-კლარჯეთის გავლით ბიზანტიის უძველესი პროვინციებისაკენ.

ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII ს.) აღწერით ხეობაში 26-მდე სოფელია, რომელთაგან განსაკუთრებით მჭიდროდ დასახლებული ყოფილა „მცირე ქალაქი-ატენი". იგი თავისი ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებით, ერთის მხრივ, ისტორიულად მნიშვნელოვან თავდაცვითი სიმაგრის ფუნქციას ასრულებდა, ხოლო, მეორეს მხრივ, დიდ როლს თამაშობდა სამხრეთ-დასავლეთ მოსაზღვრე სახელმწიფოებთან, კერძოდ ბიზანტიასთან პოლიტიკურ-კულტურული ურთიერთობების განვითარებაში, განსაკუთრებით მას შემდეგ, როდესაც სპარსელებმა ქართლში მეფობა (532 წ.) გააუქმეს და პოლიტიკურმა ცენტრმა მცხეთიდან უფლისციხეში გადაინაცვლა, რომელთანაც მჭიდრო კავშირში უნდა ყოფილიყო ატენის ხეობა. ამ დროიდან აქ ჩნდება მჭიდროდ დასახლებული სოფლები. აქედან მოყოლებული მიმდინარეობს საკმაოდ ინტენსიური ცხოვრება, სავაჭრო-სამშენებლო საქმიანობა, რამაც შეავსო ის ეკონომიკური ვაკუუმი, რაც სახნავ-სათესის ნაკლებობით იყო გამოწვეული.

აღნიშნული პერიოდიდან, შიდა ქართლის ერთ-ერთ მძლავრ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენს უფლისციხე, ხოლო ატენის სიონი ქრისტიანული კულტურის ცენტრია. ამ ხეობაში შუა საუკუნეებში მოქმედებდა 50-მდე ეკლესია-მონასტერი, რაც იმაზეც უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ხეობაში თავს იყრიდა როგორც ადგილობრივი, ისე ახლო რეგიონებიდან მოსული მრევლი. ამასთან, ჩანს, რომ თითოეულ სოფელში ერთიდან სამამდე ეკლესია მაინც უნდა ყოფილიყო.

XX ს. 50-იანი წლებისათვის, მიუხედავად მძიმე საგარეო და საშინაო პოლიტიკურ-სოციალური პირობებისა ხეობის ყველაზე მოზრდილ სოფლებში - ატენი, ვერე, ზემო ბოშური, ტუსრები და წერო, შემორჩენილი იყო საკმაოდ დიდი მოცულობის ტაძრები ან მათი ნანგრევები (აგრეთვე, ისეთი მსხვილი თავდაცვითი ნაგებობები, როგორიც იყო: ატენის, ატენის სიონის, ვერესა და წედისის ციხე-კოშკები და სხვ.).

XVI-XVIII სს., როდესაც თურქეთ-ირანი ერთმანეთს ეცილებოდა საქართველოს დაპყრობას, იმძლავრა ლეკთა თარეშმა და სხვ. XIX ს. დამდეგისათვის ხეობის მოსახლეობა მინიმუმამდე შემცირდა და მას შემდეგ, როდესაც რუსეთის გენერალ ერმოლოვის შუამდგომლობით იგი გენერალ გიორგი იესეს ძე ერისთავს გადაეცა და ამ უკანასკნელმა იქ ქსნისა და არაგვის ხეობიდან 50 ოჯახი გადმოასახლა, დაიწყო ხეობის აღორძინება, ამიტომ დღევანდელი ატენის ხეობის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ქსნისა და არაგვის ხეობის ყოფილი ძირძველი მოსახლეობაა.

XIX ს. მეორე ნახევრიდან XX ს. ჩათვლით, როდესაც შიდა ქართლში რთული ეთნიკური პროცესები მიმდინარეობდა, რასაც ხელს ჯერ უწყობდა ცარიზმისა ხოლო შემდგომ საბჭოთა ხელისუფლების ანტიქართული პოლიტიკა, როდესაც ჩრდ. კავკასიის ხალხთა გარკვეულმა ნაწილმა მასიურად მოიკიდა ფეხი საქართველოს მიწაზე, ატენის ხეობის ძველ ნამოსახლარებზე აღმოცენდა ოსური სოფლები, თუმც მიმდინარე საუკუნის 90-იანი წლების ეთნოკონფლიქტების შედეგად ატენის ხეობა კვლავ ქართული მოსახლეობით იწყებს აღორძინებას.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) სარწმუნოებრივი პოლიტიკა და ქართული ეკლესია

ქეთევან პავლიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

1. 1917 წლის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ რუსეთში ძირეულად შეცვალა პოლიტიკური ვითარება იმპერიის მთელ ტერიტორიაზე. რუსეთის დროებითი მთავრობა საქართველოს კვლავინდებურად რუსეთის კუთვნილ ნაწილად მოიაზრებდა და მისი შენარჩუნების ახლებურ გზებს ეძიებდა. ამ პოლიტიკის განსახორციელებელი საშუალებანი იმ დროის საქართველოში მოიძებნებოდა, რასაც რუსეთის მთავრობა ნაყოფიერად იყენებდა.

2. რუსეთის რევოლუციის შემდგომ, ქართველთა ეროვნული მოძრაობა განვითარების ახალ სტადიაში შევიდა. საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიები პოლიტიკური ცხოვრების სათავეში აღმოჩნდნენ. ამ მხრივ, ყველაზე ძლიერი ძალა საქართველოს სოციალ-დემოკრატიის მენშევიკური ფრთა იყო, რომელიც, მართალია, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საქართველოს კომიტეტის როლს ასრულებდა, მაგრამ ეროვნულ საკითხში რუსული სოციალ-დემოკრატიის დამპყრობლურ მსოფლმხედველობას ებრძოდა. ქართველ მენშევიკთა ეროვნული საკითხისადმი დამოკიდებულებამ თავი იჩინა ქართულ ეკლესიასთან მიმართებაში. მათ რელიგიის ადგილი ეროვნულ საკითხს დაუთმეს და ამით რელიგია ეროვნულობისაგან გამიჯნეს.

3. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე ქართული ეკლესია დიდ იმედებს ამყარებდა. ეკლესიას სწამდა, რომ ეროვნულ მთავრობასთან ერთად ააშენებდა ახალ დემოკრატიულ ეროვნულ სახელ-

მწიფოს, რადგან ქართველი სამღვდელოება ყოველთვის პირდაპირ უკავშირებდა ძლიერ ეკლესიას ეროვნულ თავისუფლებას.

4. საქართველოს დემოკრატიული წყობილების ხანაში, ქართული ეკლესია და მისი სასულიერო კრებული იმავე მდგომარეობაში დარჩა, როგორც დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე იყო. ეკლესია იძულებული შეიქმნა ხელისუფლების წინაშე დაეყენებინა თავისი არსებობის საკითხი. ის სახელმწიფოსაგან თანადგომას ითხოვდა.

5. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობის ზოგადად სარწმუნოებისა და, კერძოდ, ქართული ეკლესიისადმი დამოკიდებულება მკაფიოდ გამოვლინდა რუსეთის კომპარტიის (ბოლშევიკების) VIII ყრილობის (1919 წ. 18-23. III) რეზოლუციების გატარების მცდელობისას, რომლის ძალითაც სახელმწიფო ეკლესიისაგან, ხოლო ეს უკანასკნელი განათლებისაგან უნდა გამიჯნულიყო. ქართველი მენშევიკების ასეთი პოზიცია ბუნებრივი მოვლენა იყო, რადგან ისინი საერთო სოციალ-დემოკრატიის იდეის მატარებელნი იყვნენ.

6. დემოკრატიული მთავრობის ასეთი პოლიტიკის შედეგად, ქართული ეკლესია სრულიად ჩამოსცილდა ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობის საქმეს; მოსწყდა ეროვნული განათლების კერას და აბსოლუტურ იზოლაციაში აღმოჩნდა. აღნიშნულის წინააღმდეგ გაილაშქრა სამღვდელოებამ და მოწინავე საზოგადოებრიობამ.

7. სოციალ-დემოკრატიული მთავრობის სარწმუნოებრივმა პოლიტიკამ ქვეყნისა და ერისათვის სავალალო შედეგი გამოიღო: მის შემდგომ მოსულ ხელისუფლებას (საბჭოთა წყობილებას), ნებსით, თუ უნებლიედ, ანტისარწმუნოებრივი პოლიტიკის გატარებასა და ეკლესიის დევნაში შეუწყო ხელი.

კათოლიკობა და ეკლესიათა უნიის საკითხი საქართველოში XIII-XVIII სს.

მურმან პაპაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

საქართველოში კათოლიკობამ გზა გაიკაფა XIII ს. 40-იან წლებში. აქ მისი გავრცელება უშუალოდ უკავშირდებოდა საქართველოსა და რომს შორის ორმხრივი სამხედრო-პოლიტიკური კავშირის ძიების ამოცანებს. თავდაპირველად მონღოლების, ხოლო შემდეგ ოსმალების წინააღმდეგ დასავლეთში მოკავშირის მაძიებელი ქართველი პოლიტიკოსები პაპობაში ხედავდნენ რეალურ მოკავშირეს. ამან წმინდა ტახტს საშუალება მისცა, კათოლიკობის გავრცელების გზით საქართველოში დაეწყო ეკლესიათა გაერთიანების იდეის დანერგვა.

წყაროთა არაპირდაპირი მონაცემებით დასტურდება, რომ პაპობა საქართველოში XIII-XV სს. ცდილობდა დაენერგა ლიონის (1274) უნიის იდეა, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია. მიუხედავად ამისა, ჩვენს ქვეყანაში კათოლიკობის გავრცელება არ შეფერხებულა. ამის ნიადაგზე ვატიკანი მიისწრაფოდა მიეღწია რომაულ-კათოლიკური და ქართულ-მართლმადიდებლური ეკლესიათა გაერთიანებისათვის. ამის ქვეშ პაპობას ესმოდა არა ეკლესიათა კავშირი, არამედ ქართული ეკლესიის დაქვემდებარება პაპის ტახტისათვის. აღნიშნულის თაობაზე უმთავრესად უნდა ეზრუნათ ქართველ პოლიტიკოსებსა და საეკლესიო მეთაურებს, რათა „ეხსნათ" ქართველი ხალხი და აღმოსავლეთში საქართველოსთვის უპირატესი ადგილი მიეჩინათ. ამ მიზნის მისაღწევად ენერგიულად იღწვოდნენ საქართველოში ფრანცისკანელი და დომინიკანელი მისიონერები.

მუდმივი საგარეო საფრთხის ქვეშ მყოფი ქართველი პოლიტიკოსები ქვეყანაში მისიონერთა თავისუფალ საქმიანობას მიიჩნევდნენ პაპობასთან, ვითარცა მაჰმადიანების წინააღმდეგ მებრძოლი ძალების სულიერ მეთაურთან, უწყვეტი კავშირის შენარჩუნების საშუალებად. ეს მაშინ საქართველოს მიერ იზოლაციის გარღვევის ერთადერთი გზა იყო. ამის საფუძველზე პაპები (გრიგოლი XI, ინოკენტი IV, ალექსანდრე IV, ნიკოლოზ III, ნიკოლოზ IV, კლიმენტი VI, იოანე XXII) ენერგიულად იღწვოდნენ ეკლესიათა უნიის მისაღწევად. ეკლესიათა გაერთიანებისა და პაპის ტახტისადმი ქართული ეკლესიის დაქვემდებარების საკითხებში არცერთი მხარე არ იყო გულწრფელი, რადგან ორივე მხარე საკუთარი მიზნებით ხელმძღვანელობდა და როცა ისინი ერთმანეთს არ ემთხვეოდა, მაშინ აღნიშნული პრობლემა უკანა პლანზე იწევდა. ეკლესიათა უნიის მერყეობა განპირობებული იყო იმით, რომ საქართველოს მხრიდან მას არ ჰქონდა საყოველთაო ხასიათი, რადგან უნიას ძირითადად პოლიტიკოსები ცდილობდნენ და უცნობია, თუ რა პოზიცია ეკავათ ამ საკითხში ქართული ეკლესიის მეთაურებს. ცხადია, ქართული მართლმადიდებლური ეკლესია არ თმობდა თავის პოზიციებს, მაგრამ იგი სრულ შემწყნარებლობას იჩენდა კათოლიკების მიმართ და ბერძნების მსგავსად არ დევნიდა მათ. სწორედ ამის გამო არ იწვევდა ეკლესიათა უნიის საკითხი საქართველოში მწვავე პოლემიკას.

XVI-XVIII სს. ვატიკანი აქტიურად იბრძოდა საქართველოში ფლორენციისა (1438-1445) და ტრიდენტის (1545-1563) საეკლესიო კრებების უნიატური იდეების დანერგვისათვის. ამას ხელს უწყობდა შემდეგი ფაქტორები: XIII-XVI საუკუნის 10-იან წლებში კათოლიკობამ საქართველოში გარკვეულ წარმატებებს მიაღწია; დასავლეთზე ორიენტირებული ქართველი პოლიტიკოსები და მათი მომხრე სასულიერო პირები არასოდეს უარყოფდნენ პაპის პრიმატსა და ეკლესიათა უნიის იდეას. მიუხედავად ამისა, ეკლესიათა გაერთიანება მაინც არ შედგა. ამის მიზეზი, ერთი მხრივ, იყო ის, რომ პაპობამ რეალური დახმარება ვერ აღმოუჩინა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში და, მეორე მხრივ, ქართველი სასულიერო მეთაურები არ თმომდნენ საკუთარ პოზიციებს.

კათოლიკეების მიერ საქართველოში ხუთი საუკუნის მანძილზე (XIII-XVIIIსს.) მოპოვებული წარმატებები დასტურია იმისა, რომ ქართველი პოლიტიკოსები და სასულიერო მეთაურები უარს არ ამბობდნენ რომაულ-კათოლიკურ ეკლესიასთან კავშირსა და ძმობაზე. სწორედ ამის გამო არასოდეს ყოფილა საქართველოში პაპობა დისკრედიტირებული და მათი სახელი არც როდის დაკავშირებია ექსპანსიონისტურ მისწრაფებებს.

ჰერეთის დედოფალ დინარის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზოგიერთი საკითხი

თენგიზ პაპუაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

ადარნასე პატრიკის (906-943 წწ.) შემდეგ ჰერეთის სამეფო ტახტზე მისი შვილი იშხანიკი ადის. იშხანიკთან ერთად, ამ დროს, ჰერეთის მმართველად გვევლინება დედამისი – დინარ დედოფალი, ადარნასე პატრიკის მეუღლე. დინარ დედოფალი წარმოშობით ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა (კლარჯეთის შტო) სახლის წარმომადგენელი იყო. იგი იყო ასული ადარნასე II-ისა (გარდაიცვალა 896 წ.). მისი ძმა კი იყო ცნობილი გურგენ IV, დიდი, ერისთავთ-ერისთავი, მაგისტროსი (გარდაიცვალა 941 წ.). იშხანიკისა და დინარის მმართველობის პერიოდი ასე შეიძლება განისაზღვროს: 943 წლიდან, ვიდრე, დაახლოებით, X საუკუნის 60-იან წლებამდე.

საისტორიო წყაროები იშხანიკისა და დინარ დედოფლის ჰერეთში მმართველობის ხანას უკავშირებენ ჰერთა მოქცევას სომხური მწვალებლობისაგან (ე. ი. მონოფიზიტობიდან) მართლმადიდებლობაზე (ე. ი. დიოფიზიტიზმ-ქალკედონიზმზე). X საუკუნეში ჰერეთის გაქალკედონიტება იყო ჰერეთის ისტორიული განვითარების ბუნებრივი შედეგი. ჰერეთის ისტორიის ეს დიდმნიშვნელოვანი მოვლენა შეფასებულ უნდა იქნას, როგორც ჰერეთის ხელისუფალთა მიერ წარმოებული შორსმჭვრეტელური პოლიტიკის შედეგი. ამ მოვლენის საფუძვლები თვით ჰერეთის მოსახლეობის წიაღში უნდა ვეძებოთ. ქალკედონიზმის გამარჯვება ამ მხარეში მოასწავებდა ქართული სახელმწიფოებრიობის, ქართული ენის, ქართული კულტურის და ქართველთა პოლიტიკური ბატონობის კიდევ უფრო განმტკიცებას. ქალკედონიზმის გამარჯვება ჰერეთში ნიშნავდა ჰერეთის იმ კულტურულ წრეში მოქცევას, რომელსაც ქართლი მეთაურობდა. ჰერეთის კავშირი ქართულ სამყაროსთან უფრო ინტენსიური გახდა, ჰერები აქტიურად ჩაებნენ ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობაში.

მირიანის სახელმწიფოებრივი პოლიტიკა და ქართლის მოქცევა

ლელა პატარიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

მირიან მეფის მოღვაწეობაში ორი მნიშვნელოვანი ეტაპი განირჩევა, რომლებშიც ქართლის მეფე ერთნაირად დიდ აქტიურობას და ენერგიას იჩენს: წარმართული და ქრისტიანული. წარმართული ეტაპი შეიძლება ორ მნიშვნელოვან ასპექტს დაუკავშირდეს: არმაზის კერპს, რომელსაც ტრადიციულად ქართლის გამაერთიანებლისა და სამეფო კულტის მნიშვნელობა ჰქონდა, და ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის აღდგენა-გაძლიერებისათვის მოღვაწეობას. ქრისტიანული ხანა მირიანის მოღვაწეობისა ეს არის ქრისტიანული რელიგიისათვის აუცილებელი პირობების შექმნა, ქართლის ქალაქებში იმ დროს არსებული რელიგიური პლურალიზმის შეზღუდვა – კერპების მსხვრევა, მცხეთაში მცხოვრები ებრაელების ძლიერი ეთნო-რელიგიური უფლებების თანდათანობითი შეზღუდვა, ქართლის მთიანეთის მკვიდრი თემების რელიგიური კულტების ძალისმიერი მეთოდებითა და ეკონომიკური პოლიტიკის მეშვეობით გაუქმება. რით იყო განპირობებული მირიანის პოლიტიკის ესოდენ მკვეთრი ცვალებადობა?

1. საგარეო პოლიტიკური მიზეზები: ქართლი როგორც რომის გავლენის სფეროში მყოფი სახელმწიფო ჩართული იყო იმ პერიპეტიებში რომლებიც IV საუკუნის პირველ მეოთხედში რომის აღმოსავლეთ ნაწილში მიმდინარეობდა. ირანის ინტერესების გათვალისწინებით, მირიანი აღმოსავლეთის კეისრის – ლიციინიუსის მოკავშირე იყო კონსტანტინეს წინააღმდეგ წარმოებულ ომში. 324 წელს, როცა კონსტანტინემ გაიმარჯვა და მთელი იმპერიის ერთმმართველი გახდა, მირიანი ქართლში დაბრუნდა. 324-325 წლებშივე ქართლის მეფე და დედოფალი ქრისტიანობას აღიარებენ, რითაც ძლიერი დასავლელი მეზობლის მხარდაჭერას პოულობენ.

2. საშინაო პოლიტიკური მიზეზები: წარმართული რელიგია იყო ქართლის სამეფოს სოციალური სტრუქტურის საფუძველი. მთის მკვიდრი მეთემეების ცნობიერება მყარად იყო მიჯაჭვული ადგილობრივ სათემო ღვთაებებთან, რაც, ბუნებრივია, ცენტრალურ ხელისუფლებას ასუსტებდა. მართალია, ქართლის ქალაქები თვითმმართველობის მქონე პოლისები არ იყო და ისინი სამეფო ხელისუფლების დაქვემდებარებაში იმყოფებოდნენ, მაგრამ ამავე ქალაქებში (განსაკუთრებით მცხეთაში) ძალზე ძლიერი იყო უცხო ეთნო-რელიგიური თემები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ისტორიულად მოპოვებული მნიშვნელოვანი უფლებებით სარგებლობდნენ. ქრისტიანობის მიღების შემდგომ მირიანი ამ სოციალური ჯგუ-

ფების უფლებებს ასუსტებს, რითაც სამეფო ხელისუფლებისა და ქვეყნის ცენტრალიზაციის პროცესს აძლიერებს.

3. კულტურული მიზეზები: უკვე მესამე საუკუნიდან ქრისტიანობა აღარ არის მხოლოდ ურბანული რელიგია. ამ პერიოდიდან იწყება ზრუნვა იმისთვის, რომ ეს სარწმუნოება მისაწვდომი და ახლო იყოს სახელმწიფოში მცხოვრები ყოველი ადამიანისათვის. IV საუკუნეში ქრისტიანობის შემოღება საქართველოში და მისი საყოველთაო რელიგიად აღიარება ქართული ენისა და დამწერლობის კულტურულ ფუნქციას მნიშვნელოვნად გაზრდიდა. ქრისტიანობას ამავე დროს, როგორც მონოთეისტური, ტრანსცენდენტური და ზენაციონალური იდეის მქონე რელიგიას სავსებით შეეძლო დაპირისპირებოდა ზოროასტრიზმს, რომელსაც, როგორც ჩანს, კულტურული თვალსაზრისით არმაზის კერპი ვერ უტოლდებოდა.

ამგვარად, მირიან მეფის სახელმწიფოებრივი პოლიტიკა მისი მოღვაწეობის ორივე ეტაპზე, მიუხედავად მისი რელიგიური პოლარობისა, საერთო ტენდენციით ხასიათდება: ორივე შემთხვევაში ეს არის სახელმწიფოებრივი ერთობის მიღწევის ცდა. თუ არმაზის კულტის გაძლიერებით მირიანმა სასურველ შედეგს ვერ მიაღწია, ქრისტიანობა, ზემოჩამოთვლილ მიზეზთა გამო, ქართლის სახელმწიფოს პოლიტიკურ დასაყრდენს უქმნიდა და, იმავდროულად სოციალური და კულტურული კონსოლიდაციის შესაძლებლობას იძლეოდა.

ბოიანას ეკლესიის გუმბათის ფრესკების პროგრამა და იკონოგრაფია

ბისერკა პენკოვა

ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი
სოფია, ბულგარეთი

სახე „მოქცევად ქართლისადმი“

ანეგრეტ პლონტკე-ლიუნინგი

ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტი
იენა, გერმანია

ტამალას მცირე ეკლესიას (ჩრდილო ჯავახეთი, ასპინძის რაიონი), რომელსაც ნ. ჩუბინაშვილი VI ს. ათარიღებდა, მთავარი აფსიდის სამრეკლოს თავზე აქვს მეტად საინტერესო რელიეფური გამოსახულება: ქვედა ნაწილს ლენტისებურად დაუყვება ჩარჩოში ჩასმული წრეების წნული, რომლის ცენტრში პატარა ნალისებრი სარკმლის კამარის თავზე არის მედალიონი „ბოლნური ჯვრით“ დაცვარული ძირში. კამარის ორივე მხრიდან ფუძიდან ამაღლებული „კუდიანი“ ჯვრები მიმართულია სარკმლის თავზე ზედა კუთხისაკენ.

ქართული ადრექრისტიანული ხანის რელიეფური ჯვრების მრავალრიცხოვან ნიმუშებს შორის ტამალას ზღუდარის სკულპტურას ანალოგი არ ეძებნება. ის მცხეთაში ჯვრის ხილვის შესახებ „მოქცევაჲ ქარ-

თლისაგს" ვრცელი ვერსიის თხრობასთან აღგვიძრავს ასოციაციას. სასწაულმოქმედი ხისგან შვიდი ჯვრის შექმნის შემდეგ მცხეთელები ყოველ ღამე ხედავდნენ ციდან ჩამომავალ ცეცხლის ჯვარს დაგვირგვინებულს ვარსკვლავებით. ის ადგებოდა ეკლესიას ვიდრე განთიადამდე. დღის მკრთალ შუქზე მას გამოეყოფოდა ორი ვარსკვლავი, რომელთაგან ერთი მიდიოდა აღმოსავლეთით, მეორე დასავლეთით. წმ. ნინომ ბრძანა გაეგოთ თუ სად ჩერდებოდნენ ვარსკვლავები იმ მიზნით, რომ აღნიშნულ ადგილებში აღემართათ ჯვრები. გაირკვა, რომ ვარსკვლავი დასავლეთით ადგებოდა თხოთის მთას კასპის გადასასვლელზე, ხოლო მეორე, აღმოსავლეთით ჩერდებოდა კუხეთის სოფელ ბოდის მთაზე. ამრიგად, ინიშნებოდა ადრექრისტიანული ქართლის სახელმწიფო საზღვრები. ტამალას ზღუდარი, ჩანს, წარმოადგენს მცხეთის ეკლესიაზე დამდგარი ცეცხლოვანი თუ ნათლის ჯვრიდან ვარსკვლავთა გამოსვლის მომენტს.

მოხსენებაში განხილულია მცხეთის ნათლის ჯვრის შესახებ თხრობის ლიტერატურული და თეოლოგიური ტრადიცია და იგი დაკავშირებულია ტამალას ზღუდარის რელიეფის იკონოგრაფიულ და სტილისტურ ქვეტექსტთან.

ღვთისმშობლის როგორც უჭკნობი ვარდის სახე ჰიმნოგრაფიიდან ფოლკლორამდე

ელენე პოპოვა

ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევების ინსტიტუტი
ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემია
სოფია, ბულგარეთი

სასწაულმოქმედი მმართველი-წმინდანი: სამეფო იდეოლოგიის ერთი ასპექტი შუა საუკუნეების სერბეთში

დანიცა პოპოვიჩი

ბალკანოლოგიის ინსტიტუტი
სერბეთის მეცნიერებათა და ხელოვნების აკადემია
ბელგრადი, იუგოსლავია

ადრეული ქრისტიანობის პერიოდიდან სასწაულმოქმედების ძალა განიხილებოდა, როგორც წმინდანობის მთავარი ნიშანი და უცილებელი პირობა. იგი ასაჩინოებს წმინდანისა და ღმერთის ურთიერთობის განსაკუთრებულობას. სოციალური იერარქიის მწვერვალზე მდგომი კანონიზებული შუასაუკუნეობრივი მმართველები წარმოადგენენ წმინდანთა განსაკუთრებულ კატეგორიას. ეს ფაქტი აპირობებს მათი სასწაულების ხასიათს.

შუა საუკუნეების სერბეთში წმინდა მმართველის ფენომენის გაჩენა დროში თანხვდება სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებას XII ს. მიწურულსა და XIII ს. დასაწყისში. პირველი სასწაულმოქმედი

მმართველი იყო ნემანიური დინასტიის ფუძემდებელი სვიმეონ ნემანია. წმ. სვიმეონის სასწაულები ნემანიათა შემდგომი თაობებისთვის იქცა ნიმუშად.

სხვა გმირობათა თუ ღირსებათა დამატებით სასწაულებრივი მოღვაწეობა სერბი მმართველების კულტის მნიშვნელოვანი ნაწილია. ტრადიციული მოდელის - (VITA ET MIRACULA) - მიხედვით ისინი დეტალურადაა აღწერილი ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში. სერბი წმინდანი-მმართველები იქმოდნენ მხოლოდ MIRACULA POST MORTEM, რაც ნიშნავს, რომ სასწაულები დაკავშირებული იყო მათ სამარხებთან, უფრო ზუსტად, ნაწილებთან. რიგი სასწაულებისა განეკუთვნება ტიპს, რომლის მსგავსი გავრცელდა დასავლეთ ევროპაში და მართლმადიდებლურ სამყაროში. ამ აზრით, ორი მთავარი კატეგორია შეიძლება გამოიყოს:

1) საზოგადო კულტის და სოციალური ფუნქციის მქონე ჩვეულებრივი სასწაულები (განმაკურნებელი, ეზოტერული); 2) მტერზე გამარჯვებასთან, სახელმწიფო თავდაცვასთან და სახელმწიფო ინტერესების დაცვასთან დაკავშირებული სპეციფიკური სასწაულები.

მთლიანობაში სერბ წმინდან-მმართველთა სასწაულებს ჰქონდა დიდი იდეოლოგიური და სახელმწიფოებრივი ფუნქცია. ეს ეთანხმება იმ ფაქტს, რომ სერბი მმართველები „პოლიტიკურ წმინდანთა" კატეგორიას განეკუთვნებიან.

დედობის სახე და ღვთისმშობლის კულტი: სქესის პრობლემა X-XVII სს. რუსულ მართლმადიდებლურ დოქტრინაში

ნატალია პუშკარევა

ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტი
რუსეთის მეცნიერებათა აკადემია
მოსკოვი, რუსეთი

შუა საუკუნეების ფილოსოფიაში ქალური საწყისის არსი განიხილება დედობისა და მამობის განსხვავებულობის პრიზმაში. შუა საუკუნეების რუსულ საეკლესიო თხზულებებში ადგილი აქვს მამისა და დედის სახეების კორელაციას ღმერთისა და ღვთისმშობლის სახეებთან. ღვთისმშობელი განასახიერებს დედობრივ სიყვარულს, აპოკასტასისს და ღმერთი (ყოველ შემთხვევაში ეს ასეა რიგ შუასაუკუნეობრივ რუსულ ტექსტებში) მამობრივ მკაცრ სამართლიანობას.

ღვთისმშობლის სიყვარული უპირობოა, ის მეოხია ადამიანისა უფლის წინაშე ყოველგვარი გასაჭირის დროს, მორწმუნის მიმართ უფლის რისხვის თუ უყურადღებობის შემთხვევაში. ხანდახან იგი უპირისპირდება თვით თავის ძესაც - ზეციურ მეუფეს - ვითარცა მადლის დედა, ვითარცა ქვეყნიერების მფარველი. აქედანაა მისი ზედწოდება „მეოხი". ღვთისმშობელი განიხილება როგორც შუამავალი უფალსა და ადამიანს შორის.

ღვთისმშობელი დედაა ყოველი ქრისტიანის. თვით ცოდვილნიც კი მას მიმართავენ დახმარებისათვის. მაქსიმ ბერძენის მიხედვით იგი ადამიანურ ცოდვებს ისე განიცდის, როგორც საკუთარს.

ტექსტოლოგიური ანალიზი საშუალებას გვაძლევს შევკრიბოთ ღვთისშობლის ყველაზე უფრო ტიპიური ეპითეტები: ერთადერთი მხსნელი, სამარადისო მცველი, იმედი და მყისიერი დამხმარე, ჩვენი მეოხი და ჩვენთვის მლოცველი, ჩვენი ნავსაყუდელი და ზღუდე.

რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ კანონიზებულია მხოლოდ ერთი ქალწული - წმ. ეფროსია პოლოცკელი. ყველა დანარჩენი წმინდანი ქალი რუსეთში უცილობლად დედაა. ღვთისმშობლის თაყვანისცემა ერწყმის ნამიანი მიწის დედის ხალხურ კულტს. ყოველი რუსი მეპატრონე კი არ არის მიწის, არამედ მიწის შვილია.

ქალური საწყისის საკრალიზაციის კიდევ ერთი ასპექტია წმ. სოფიის - ღვთაებრივი სიბრძნის - თაყვანისცემა. მიტროპოლიტ ილარიონის მიხედვით რუსეთში წმ. სოფიის გამოჩენა პირველად მოხდა ქვეყნის მოქცევის დროს. სახე: ეკლესია როგორც სძალი უფლისა და ამასთან დაკავშირებული სხვა სახე: ეკლესია დედა ყოველი მართლმადიდებელი მორწმუნის (კირილე ტუროვსკი). რუსული პიეტიზმის არსი არის ღვთაებრივი დედობა (გიორგი ფედოტოვი). წმ. სოფია - ღთაებრივი სიბრძნე - კაცობრიობის ეკლესიაში გაერთიანების განსახიერებაა.

წმ. მარიამი ვითარცა რუსეთის (სახელმწიფოს) მფარველი. მშობლიურ მიწაზე ღვთისმშობლის გლოვის და ლოცვების კომპოზიციური თანამოსაზღვრეობა მათ ფუნქციას იდენტურს ხდის (აუცილებლობა და შესაძლებლობა ხსნისა, მისი რწმენა). ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის გამოსახულების - დაქორწინება სამეფოზე – სემიოტიკა: საკრალებო ქორწილი მეფისა თავის ერთან.

წყაროები მართლმადიდებელი სამღვდელოების მენტალობის შესწავლისათვის

ლევ პუშკარევი

რუსეთის ისტორიის ინსტიტუტი
რუსეთის მეცნიერებათა აკადემია
მოსკოვი, რუსეთი

სამღვდელოება განურჩევლად აღმსარებლობისა წარმოადგენს განსაკუთრებულ მემკვიდრეობით და შედარებით ჩაკეტილ სოციალურ ფენას საგანგებო იურიდიული სტატუსითა და უფლებებით. იგი იყოფა შავ და თეთრ, მალალ და დაბალ სამღვდელოებად და ერთიანდება საერთო საქმიანობის (მრევლისათვის სასულიერო განათლების მიცემა, საეკლესიო რიტუალების ჩატარება) და საერთო მენტალობის (სამყაროს საღვთო მსახურების იდეის პრიზმიდან აღქმა, სულის სხეულზე უპირატესობის აღიარება, სქესის უარყოფა, იმქვეყნიური ცხონების რწმენა და ა. შ.) საფუძველზე. ბერებისა და სექტანტების მენტალობას აქვს თავისებურებანი.

სამღვდელოების მენტალობის შესასწავლი მასალები შეიცავს ყველა ტიპის, გვარის და სახეობის წყაროს. წარმოშობის მიხედვით ისინი შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგნაირად: (1) წყაროები, რომელიც უშუალოდ სამღვდელოების წრიდანაა გამოსული; (2) სახელმწიფო წარმოშობის ის საერო ძეგლები, რომლებიც ასახავს საეკლესიო მოღვაწეთა მენტალობას.

წერილობითი წყაროები ძალიან მნიშვნელოვანია სამღვდელოების მენტალობის შესასწავლად (გლეხობის შემთხვევა განსხვავდება). მათ შორის ყველაზე ინფორმაციული ნარატიული ძეგლებია, განსაკუთრებით კი ego - დოკუმენტები, ე. წ. „სულის დოკუმენტები“: ავტობიოგრაფიები, მემუარები, დღიურები, წერილები. საეკლესიო პირთა მენტალობის სხვა შრეს ვპოულობთ მხატვრულ ლიტერატურაში. ჰომილიები, სასულიერო თხზულებანი, დარიგებანი წარმოადგენს ცალკე ჯგუფს. ისინი ასახავს ცხოვრების როგორც იდეალურ, ისე რეალურ მხარეებს, ნორმირების ობიექტებს და თავად ნორმებს.

სამღვდელოების წრიდან გამოსული ძეგლების ინფორმაციული ღირებულება განისაზღვრება მათი უნარით ასლოს დაანახვონ მკვლევარს საეკლესიო მოძღვართა ყოველდღიური ცხოვრების წესი, ის ისტორიული კონტექსტი, რომელშიც ხდება საღვთო მსახურებისათვის თავდადებული პიროვნების მსოფლაღქმის ჩამოყალიბება. ამავე თვალსაზრისით უნდა იქნას განსაზღვრული ნივთიერი ძეგლებიც.

ლინგვისტიკის დარგში კარდინალურმა ცვლილებებმა ყველა ჰუმანიტარს და, მათ შორის, ისტორიკოსებსაც უბიძგა ელიარებინათ როგორც მთლიანი ტექსტების ჰერმენევტიკული ანალიზის, ასევე კონკრეტული სიტყვა-ხმარების შემთხვევებზე დაკვირვების აუცილებლობა.

სახვითი ხელოვნების ნიმუშების გამოყენებას თანამედროვე ისტორიკოსი უყურებს სხვაგვარად. პორტრეტისტიკა მკვლევარს შესაძლებლობას აძლევს იმსჯელოს როგორც ფერწერის პროტოტიპის შინაგან სამყაროზე, აგრეთვე იმ გარემოზე, რომელშიც მას ცხოვრება უხდებოდა.

რუსული სამღვდელოების მენტალობა იცვლებოდა და ვითარდებოდა რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე. მისით გამსჭვალვა და მისი შეფასება შეუძლებელია არამორწმუნე, ეკლესიის გარეშე მდგომი პირისათვის.

ნარკვევი VIII საუკუნის II ნახევრის საქართველოს ეკლესიის ისტორიიდან

გიორგი ჟუჟუნაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალი
ახალციხე, საქართველო

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში ხატმებრძოლეობის ჟამს იბერიის საკათალიკოსოს მართლმადიდებლობისადმი ერთგულებამ, როგორც ცნობილია, განაპირობა იოანე გუთელი ეპისკოპოსის კურთხევა ქართლის ავტოკეფალური მწყემსმთავრის მიერ. ეს თავისთავად საგულისხმო ფაქტი, მრავალ ყურადსაღებ საკითხს აღძრავს:

1) ქრისტიანობა, როგორც ზეეროვნული რელიგია, არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებს მორწმუნეთა, სარწმუნოებისათვის მოღვაწეთა ეთნიკურ წარმომავლობას. ამიტომაც ფუჭი შრომაა გუთელის ეროვნების ძიება. თუმცა კი, მაინც გვინდა გავამახვილოთ ყურადღება, რომ იოანე წარმომავლობით კავკასიურ სამყაროსთან იყო დაკავშირებული;

2) გუთელი ეპისკოპოსის მოღვაწეობის დასაწყისად 754 წელია მიჩნეული, ხოლო ეპისკოპოსად კურთხევა 758 წელს მომხდარა. ვფიქრობთ, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ქერსონესში აღმოჩენილ წარწერას 750 წლისა, სადაც მოხსენიებულია იოანე გუთელი;

3) აღნიშნული მღვდელმთავრის ხელდამსხმელად გვევლინება მცხეთის საკათალიკოსო. ეს უცილო ფაქტია. ხელდამსხმელ იერარქის ვინაობა კი შემდგომი კვლევა-ძიების საგანი უნდა გახდეს;

4) ხატთაყვანისმცემელი ეპისკოპოსის გუთეთში მოვლინება, ჩვენი აზრით, ხატმებრძოლი იმპერიის მხარდაჭერით სარგებლობს: გართულებული საშინაო და საგარეო ვითარება უკარნახებდა ბიზანტიას მოქნილი პოლიტიკა ეწარმოებინა იდეოლოგიურად „განდგომილი" მოკავშირის—ხაზარების მიმართ;

5) მოგვიანებით მდგომარეობა იცვლება—787 წლის საეკლესიო კრების შემდგომ, ხატთაყვანისმცემელი იოანე, ბიზანტიის პოლიტიკური კონტრაგენტი, მკვეთრად უპირისპირდება, ერთის მხრივ, ხაზარებს („ხაკანს" — ქ. ფულის მფლობელს), მეორეს მხრივ, ჩვენი აზრით, ამ დროისთვის გაძლიერებულ „ბერძენთაგან გამდგარ" აფხაზთა სამეფოს (ასევე „ხაკანს"—ხლისურა-კლისურაზე შეტევით).

ქრისტიანობა ფშავ-ხევსურეთში ადრეულ და განვითარებულ შუა საუკუნეებში

გიორგი რჩეულიშვილი

არქეოლოგიური კვლევის ცენტრი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

ადრეულ და განვითარებულ შუასაუკუნეებში საქართველოს მთისა და ბარის ურთიერთობის ერთ-ერთი ძირითადი ასპექტი იყო სახელმწიფოს მიერ მთიელთა გაქრისტიანება. ახალი რელიგიის დანერგვის პროცესი ცვალებადი წარმატებებით და მტკივნეულად მიმდინარეობდა.

განსაკუთრებით მძაფრ წინააღმდეგობას აწყდებოდა ქრისტიანობა ძველი ფხოვის პროვინციაში, რომელიც დაახლოებით თანამედროვე ფშავ-ხევსურეთის ტერიტორიას მოიცავდა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია განსხვავებული მოსაზრებები ძველი ფხოვისა თუ თანამედროვე ფშავ-ხევსურეთის მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენებში ქრისტიანობის ხვედრითი წილის შესახებ. ამ საკითხის სწორად გადაჭრას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მთისა და ბარის ურთიერთობის ისტორიის შესწავლაში.

უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში ძველი ფხოვის ტერიტორიაზე მიკვლეული და ნაწილობრივ არქეოლოგიურად შესწავლილია საკვლევი პერიოდის ეკლესია-სამაროვნები.

მოპოვებული არქეოლოგიური მასალა უეჭველად ადასტურებს, რომ ადრეული შუასაუკუნეების ბოლო ეტაპსა და განვითარებულ შუასაუკუნეებში ფხოვში მტკიცედ ჰქონია მოკიდებული ფეხი ქრისტიანულ რელიგიას. ამ პერიოდში უნდა დანერგილიყო ფხოვის მოსახლეობაში ქრისტიანული დაკრძალვის წესი, დღეობათა კალენდარი, ლოცვათა ტექსტები და წმინდანთა კულტი, რამაც დღემდე შემოინახა თავი.

ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალის კვლევამ აჩვენა, რომ ქრისტიანობის დანერგვამდე ფხოვში წარმართობის გარდა ღრმად იყო ფესვგადგმული ზოროასტრიზმიც, რისი ცალკეული ელემენტები დღესაც შეიმჩნევა ფშავ-ხევსურეთში. ამიტომ, მთაში ქრისტიანობის ისტორიის შესწავლის პარალელურად აუცილებლად მიგვაჩნია წარმართული და ზოროასტრული რელიგიების გადმონაშთების კვლევაც, რაც საშუალებას მოგვცემს დავძლიოთ ცალმხრივობისა და სუბიექტური მიდგომის რეციდივები.

ქართულ-ალბანური საეკლესიო ურთიერთობის ისტორიიდან VII-VIII საუკუნეებში

მანანა სანაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

„ქართლის ცხოვრებაში“ დაცულია საინტერესო ცნობა ქართლის ერისმთავრის მირის ასულის რანის (მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ალბანეთი) მთავარ ვარაზმანზე გათხოვებისა და მისთვის ქართლის ერთ-

ერთი პროვინციის გარდაბნის (მდ. ქურდისხევიდან - მდ. დებედიდან - ციხე ქალაქ ხუნანამდე) მზითვად გატანების შესახებ. სხვა ქართული, აგრეთვე სომხური წყაროების შეჯერებით ირკვევა, რომ ქართლის ერისმთავრის ნერსეს (და არა მირის) ასული სპრამი/სპარამი მართლაც გათხოვილი იყო რანის მთავარზე, მაგრამ არა ვარაზმანზე, არამედ მის ძმაზე ვარაზ-თრდატზე. აღნიშნულ ფაქტს ადგილი უნდა ჰქონოდა VII ს-ის 80-იან წწ-ში. ამ დროს გარდმანის (კავკასიის ალბანეთის ერთ-ერთი პროვინცია) ეპისკოპოსი იყო ქალკედონიტი ბაკური (როგორც ჩანს, წარმოშობით ქართველი). ის დედოფალ სპრამის ხელშეწყობით ალბანთა კათალიკოსი გახდა ნერსეს სახელით. ქართველმა დედოფალმა და ფარულად ქალკედონიტმა კათალიკოსმა ნერსემ ისარგებლეს რანის მთავრის ვარაზ-თრდატის ბიზანტიაში ხუთწლიანი (700-705 წწ.) ტყვეობით და რანი ქალკედონიტობაზე მოაქციეს. ამას წინ აღუდგა სომხეთის კათალიკოსი ელია, რომელმაც არაბთა სამხედრო ძალის მოხმობით, შეძლო რანის სამთავროში მონოფიზიტობის აღდგენა. „მოქცევაჲ ქართლისაჲ" ამ ამბებს „გარდაბნელთა მოქცევას" უწოდებს და სავსებით სამართლიანად, ქართლის ერისმთავრის არშუშას (დაახლ. 685-695 წწ.) შემდგომი ერისმთავრის ვარაზ-ბაკურის ხანით ათარიღებს, თანაც ვარაზ-ბაკურს გარდაბნელთა მოქცევაში მთავარ როლს აკუთვნებს.

რანში მონოფიზიტობის აღდგენის შემდეგ, კათალიკოსი ნერსე წამებით იქნა მოკლული, ხოლო დედოფალ სპრამის(სპარამი) შემდგომი ბედი უცნობია. არაა გამორიცხული, რომ ის იყოს მოხსენიებული ატენის სიონის ერთ-ერთ მოსახსენებელში სპრამის სახელით.

ამჯერად ქალკედონიტების დამარცხების მიუხედავად, რანის მიჰრანიდთა საგვარეულოში პროქართული და პროქალკედონური განწყობილება კვლავინდებურად ძლიერი იყო. ეს კარგად ჩანს ქართლის კათალიკოსის თალალეს და ალბანთა კათალიკოსის მიქაელის თანადროული მმართველობის ხანის ერთი ეპიზოდიდან: როდესაც ალბანეთის მთავარმა, ვარაზმანის შვილიშვილმა ვარაზომ, ახლო ნათესავის ცოლად მოყვანის თაობაზე ალბანთა კათალიკოს მიქაელიდან უარი მიიღო, სათანადო ნებართვა და კურთხევა ქართლის კათალიკოსს თალალეს გამოთხოვა.

ალბანთა კათალიკოსი მიქაელი 706-740 წწ-ში ზეობდა. ამიტომ გადათარიღებას მოითხოვს ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული ქართლის კათალიკოსის თალილე/თალალეს ზეობის წლები. ქართული ისტორიოგრაფია მის კათალიკოსობას 774-776 წწ-ით ათარიღებს, მაშინ, როდესაც აშკარაა, რომ თალილე/თალალე საკათალიკოსო ტახტზე 740 წელზე გვიან ვერ ავიდოდა.

ქართულ-უკრაინული საეკლესიო ურთიერთობების ისტორიიდან

დავით სანდოძე

თბილისი, საქართველო

ქართველთა და უკრაინელთა საეკლესიო ურთიერთობის შესახებ საინტერესო მასალა მოგვეპოვება, რომელიც ნათელს ჰფენს ამ ორი ხალხის თანაარსებობის რიგ საკითხებს.

ისტორიულად ცნობილია, რომ IV საუკუნეში ქრისტიანობა საქართველოში სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა და მართლმადიდებელი ქართველი მოღვაწენი დიდ როლს ასრულებდნენ ადრეული შუა საუკუნეების ქრისტიანულ სამყაროში. მათ შორის კიევის სამთავროშიც, რომელიც ქრისტიანულ სახელმწიფოდ X საუკუნეში იქცა. სწორედ ამ პერიოდში ქართველ მხატვრებს მონაწილეობა მიუღიათ განთქმული "კიევ-პეჩორის" ლავრის ეკლესიის მოხატვაში. ცნობილია ეს ლავრა კიევში ანტონ პეჩორსკის თაოსნობით ათონის ივერიის მონასტრის ანალოგიით ააგეს. ამ ლავრაში ქართველ ოსტატებს მოზაიკით დაუმშვენებიათ მთავარი ტაძრის საკურთხეველი, კედლები და იატაკი.

მართლმადიდებლური ქრისტიანობა იმავე დროს სისხლით ნათესაობასაც აადვილებდა. ამის ნათელი მაგალითია XII საუკუნეში კიევის მთავრის იზიასლავის ქორწინება საქართველოს მეფის დემეტრე პირველის ასულზე, რომელსაც კიევის სამთავროში ქართველთა მრავალრიცხოვანი ამალაც ხლებია.

ქართველი და უკრაინელი ხალხების იმ პერიოდის ისტორიულ-რელიგიურ ურთიერთობას ლახვარი ჩასცა მონღოლთა ურდოების გამოჩენამ კულტურული ხალხების ჰორიზონტზე, რასაც შემდგომში ოსმალო-თურქების აგრესიაც მოჰყვა და ქართულ-უკრაინული კონტაქტები კარგა ხნით შეჩერდა. თუმცა ნათელი ფურცლები საეკლესიო ურთიერთობისა საუკუნოდ შემორჩა ამ ხალხთა ისტორიას.

ეპიტაფიების სარწმუნოებრივი მხარე

თამაზ სახეიშვილი

თბილისის სასულიერო აკადემია
თბილისი, საქართველო

ნათარგმნი მხატვრული ძეგლების ქრისტიანიზაციის სისტემა შუა საუკუნეების სომხეთში

ჰასმიკ სიმონიანი

ლიტერატურის ინსტიტუტი
სომხეთის ეროვნული აკადემია
ერევანი, სომხეთი

ქვასვეტი და მისი ფუნქცია ადრექრისტიანულ საქართველოში

მანანა სინაურიძე

სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი
თბილისი, საქართველო

ადრეშუასაუკუნეების საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული სტელები ე.წ. „ქვასვეტები“ ანუ „ქვაჯვარები“, შემკული მცენარეული, გეომეტრიული და სხვა ადრექრისტიანური სიუჟეტების რელიეფური

გამოსახულებებით. ამ ძეგლებზე არსებული წარწერები ჩვეულებრივ შეიცავენ ლოცვას მფლობელის და მის ახლობელთა სულის გადარჩენისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკვლევართა ნაწილი სტელებს მემორიალურ ძეგლებად მიიჩნევს, უმრავლესობა კი მათ ქრისტიანობის მიღების აქტთან აკავშირებს. ამ ძეგლთა დანიშნულებას გარკვეული შუქი მოფინა წყისის სტელის წარწერამ, რომელშიც აღნიშნულია შესყიდულ მიწის დასაკუთრება. სტელის კავშირი მიწათმფლობელობასთან შენიშნული იყო აგრეთვე წრომის გრიგოლ მამასახლისის სტელის წარწერის ანალიზისას. ამავე დასკვნამდე მიიყვანა ა. ჯავახიშვილი ჯავახეთის სტელების მდებარეობამ ძველ ტერასებზე. მაგრამ ეს მნიშვნელოვანი დაკვირვება სათანადოდ არ იქნა გამოყენებული მთლიანობაში სტელების ფუნქციის განსაზღვრისას.

არქეოლოგიური მასალის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ადრეულ შუა საუკუნეებში სტელებს დგამდა გვარი მის სარგებლობაში არსებულ მიწაზე. ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების მსვლელობაში, როდესაც მიწა ამა თუ იმ საშუალებით დაისაკუთრეს ცალკეულმა ოჯახებმა თუ პირებმა (გარკვეული სამსახურის საფასურად, შესყიდვით და სხვ.), ქვასვეტებს დგამენ მფლობელები ამჯერად უკვე საკუთარ მიწებზე.

ამიერიდან ქვასვეტი არა მარტო ქრისტიანობის მიღების ნიშანს წარმოადგენს, არამედ მიწის ინდივიდუალური საკუთრების დამადასტურებელიცაა.

პოლიტიკური იდეოლოგია და XII–XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია

ნესტან სულავა

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
თბილისი, საქართველო

XII-XIII საუკუნეების საქართველოში იქმნება საგალობლები, რომლებიც ქართველი ერის უმნიშვნელოვანეს სიწმინდეებს ეძღვნება და, აქედან გამომდინარე, ქართული სულითაა გაჟღენთილი. მათში თავი იჩინა ამ ეპოქისათვის დამახასიათებელმა პოლიტიკურმა იდეოლოგიამ, რომელიც მესიანისტური იდეის სახით გამოვლინდა. ნიკოლოზ გულაბერისძისა და არსენ ბულმაისიმისძის საგალობლებში ქართველი ერი "საზეპუროდაა" მიჩნეული. ამ ეპოქაში შექმნილ ჰიმნოგრაფიულ ძეგლებში ქართული ფენომენის, ქართული სულის დამკვიდრება ეპოქის სულისკვეთებითა და მოთხოვნილებებითაა ნაკარნახები.

XII-XIII საუკუნეების ქართველი ჰიმნოგრაფების (ნიკოლოზ გულაბერისძე, თამარ მეფე, იოანე ანჩელი, იოანე შავთელი, არსენ ბულმაისიმისძე, საბა სვინგელოზი) თხზულებებში იდეოლოგიურმა დატვირთვამ უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიკავა, რაც განასხვავებს მათ წინარე ჰიმნოგრაფიული პოეზიისაგან, გამონაკლისია იოანე-ზოსიმეს "ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ". ჰაგიოგრაფიულ და საისტორიო თხზულებათა კვალობაზე, მათში ქართველი ერის რჩეულობის რამდენიმე ნიშანია გამოკვეთილი: უფლის კვართის საქართველოში დავანება, საქართველოს ღვთისმშობლისადმი წილხვედრილობა, ქართული ეკლესიის სამოციქულოდ აღიარება, ქართველ მეფეთა ბიბლიური ჩამომავლობის იდეოლოგიური ფუნქციის დამკვიდრება. ქართველ ჰიმნოგრაფთა დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ ჰიმნოგრაფიაში სხვა ნიშნების შეტანაც. უპირველეს ყოვლისა, მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის თემის დამკვიდრება, რაც მესიანიზმით აიხსნება (იოანე ანჩელი, არსენ ბულმაისიმისძე, საბა სვინგელოზი); ქრისტეს წამების სამსჭვალისა და ფიცრის საქართველოში დავანება; წმინდა ნინოს მოციქულთა სწორ განმანათლებლად მიჩნევა; ელიას ხალენის, აგრეთვე, საქართველოში დამკვიდრების ტრადიცია. ყოველივე ამას სავსებით მიზანდასახულად წარმოაჩენდნენ ქართველი ჰიმნოგრაფები, რომელთა თხზულებები ღვთისმსახურებისათვის იყო განკუთვნილი. ქართველი კაცი, ტაძარში

მდგარი, ისმენდა საგალობლებს, რომლებიც მის სულიერ სამყაროსა და თვალსაწიერს ეროვნული ცნობიერების განვითარება-აღორძინებით აფართოებდა, მის ინტელექტუალურ მონაცემებს ხვეწდა და აფაქიზებდა. ჰიმნოგრაფია იყო საზრდელი სულისა და გონებისა. ამიტომ სახავდნენ ჰიმნოგრაფები "ახალ გზას", რომელიც ქრისტეს გზის სიმბოლოა და რომელიც "ედემის უკუმოღების" საშუალებას აძლევს კაცობრიობას.

XII-XIII საუკუნეებში შექმნილი ეროვნული ცნობიერებით გაჟღენთილი ქართული საგალობლები უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოს ისტორიისა და ქართული ეკლესიის ისტორიის სრულყოფილად შესასწავლად და საკვლევად.

სინკრეტიზაციის პროცესები ქართველთა სარწმუნოებაში

ირაკლი სურგულაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

ქრისტიანული რწმენის განმტკიცება - დემოგრაფიული პრობლემის მოგვარების წინა პირობა

ნინო ტარყაშვილი

გაზეთი „კვირის პალიტრა“
თბილისი, საქართველო

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტორს, რომ საქართველოში სხვა ეროვნების წარმომადგენლები უფრო სწრაფად მრავლდებიან, ვიდრე ქართველები, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში ქართველთა დემოგრაფიული მდგომარეობა არცთუ დიდად სანუგეშოა.

როგორ შეიძლება გამოსწორდეს არსებული მდგომარეობა? რა თქმა უნდა მრავალი წამახალისებელი ღონისძიება შეიძლება იქნას დასახული. მაგრამ მე მაინც მიმაჩნია, რომ დემოგრაფიული პრობლემის მოგვარების ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი არის ადამიანთა შემობრუნება სარწმუნოებისაკენ, მოსახლეობაში ქრისტიანული სარწმუნოების გამყარება. პრობლემის მოგვარების მიზეზი კი მდგომარეობს შემდეგში:

1. ქრისტიანისათვის მიუღებელია აბორტის გაკეთება და ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების გამოყენება.

2. როგორც ცნობილია, დღეს ბევრი ოჯახი არ იქმნება ეკონომიური გაჭირვების გამო. მაშინ როცა, ქრისტიანს აქვს რწმენა, რომ ღმერთი დაეხმარება მიაგნოს მატერიალური შემოსავლის წყაროს.

3. არიან ოჯახები, რომელთაც არ უჭირთ ეკონომიურად, მაგრამ ერიდებიან დაქორწინებას, ვიდრე მეტად არ გამდიდრდებიან. დაქორწინებულებს კი იმავე მიზეზით არ სურთ ბევრი შვილის ყოლა. ქრისტიანისათვის ჭეშმარიტი სიმდიდრე ქრისტიანული ოჯახია.

4. ნაწილი ახალგაზრდა მამაკაცებისა არ ქორწინდება, იმიტომ რომ ჰყავს საყვარელი ან დადის „მსუბუქი ყოფაქცევის“ ქალებში. ქრისტიანს მცნება „არა იმრუშო“ უკრძალავს გარეშე ინტიმურ კავშირს. ამიტომ იგი ცდილობს, დროზე მოიყვანოს ცოლი.

5. ახალგაზრდები ხშირად საკუთარ ქვეყანაში თაკილობენ ისეთ სამუშაოს, რისთვისაც დიდი სიამოვნებით მიდიან საზღვარგარეთ. ეს შინაგანი ამპარტავნებაა, რაც მიუღებელია ჭეშმარიტი ქრისტიანისათვის.

6. მეუღლე ხშირად არ აჩენს ერთ ან ორზე მეტ ბავშვს იმ მიზეზით, რომ ეშინია ქმრის ღალატის ან ქმარს უკვე ჰყავს საყვარელი. ქალი ფიქრობს: თუ მეუღლემ მიატოვა დაკარგავს მატერიალური შემოსავლის წყაროს. რითი არჩინოს პატარები? ქრისტიანული ოჯახისათვის ამგვარი შიში საფუძველს მოკლებულია.

7. თანამედროვე ახალგაზრდების უმეტესი ნაწილი ქმნის ოჯახს და არ არის დარწმუნებული, რომ სიკვდილამდე მეუღლის ერთგული იქნება. პირიქით, ბევრი ფიქრობს, თუ რაიმე შეეშალა ან სხვა მოეწონა – გაშორდება. „სხვის მოწონებას" კი უშვებს გამომდინარე იქიდან, რომ დრო იცვლება და მასთან ერთად ადამიანებიც ვიცვლებით. რატომ უნდა იცხოვრო იმ ქალთან (მამაკაცთან), რომელიც მე უკვე აღარ მომწონს? ამგვარ შიშში მყოფ ქალს (მამაკაცს), ბუნებრივია, ურჩევნია ერთი ან ორი შვილი ჰყავდეს.

ქრისტიანი ქორწინებისას დებს აღქმას, რომ სიკვდილამდე მეუღლის ერთგული იქნება. მხოლოდ მრუშობის შემთხვევაში აქვს ქმარს ცოლის გაშვების უფლება. იგი იმედოვნებს, რომ ღმერთი დაეხმარება ოჯახური ერთგულების შენარჩუნებაში. რადგან შემდგომ ქორწინებისა ისინი „ერთ ხორც და ერთ სულ" არიან. ამდენად, მეუღლის ღალატი, საკუთარი პიროვნების ღალატია.

8. მეუღლეები ხშირად ერიდებიან ბევრი შვილის ყოლას, რადგან არა ჰყავთ დამხმარე. ქრისტიანს სჯერა, რომ თუ ბავშვი იყოლია, გაზრდაში ღმერთი დაეხმარება კიდეც.

ბერძენი განმანათლებლები – საეკლესიო მოღვაწენი უკრაინაში XVIII-XIX სს.

ნატალია ტერენტიევა

უკრაინის ისტორიის ინსტიტუტი
უკრაინის ეროვნული აკადემია
კიევი, უკრაინა

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აზროვნება VIII-X სს. საქართველოში

ზვიად ტყეშელაშვილი

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფელიქს უნგერი

ევროპის აკადემია
ზალცბურგი, ავსტრია

ქართველ მეფეთა სარწმუნოებრივი პორტრეტები

თამარ ფხაკაძე

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

სახელგანთქმული ქართველი მონარქები დიდად მორწმუნე ქრისტიანები იყვნენ. ქართულ მატიანეებში მეფის პორტრეტის წარმოსახვა ჩვეულებრივ ქრისტიანული სულიერების ხაზგასმით იწყება. მონარქის პიროვნებაში "ერისა და ბერის" იდეალური სინთეზია განხორციელებული. რაც უფრო ღრმა ქრისტიანია მონარქი, ძველი ისტორიკოსის შეხედულებით, მით ბრწყინვალეა მისი ზეობის ხანა. ქართულ მატიანეებში ნათლად იკვეთება უფლისმიერი წყალობისა თუ რისხვის კანონზომიერების თემა. ქრისტიანული სულიერებით შემკულ მონარქს ხელეწიფება თავის ერში იმგვარი სახელმწიფოებრივი ცნობიერების დამკვიდრება, რომლის მომძლავრებაც ღვთიურ წყალობას იმკის ანუ დგება ღვთივკურთხეული ეპოქა და პირიქით, მონარქი, რომელიც თავის ერს ქრისტიანული სულიერებიდან გადახვევის მანკიერ მაგალითს უჩვენებს, უარყოფითად მუხტავს ერის ცნობიერებას და ღვთის რისხვაც არ იგვიანებს: დგება ხანა ტანჯვა-ვაებისა და სინანულის.

"ჟამნი არიან მშვიდობისანი სარწმუნოებაჲ მეფეთა" – მეფე დემეტრეს "ცხოვრებაში" ავტორის მიერ სოლომონის სიბრძნის წიგნიდან მოხმობილი ეს ციტატა ძალზე ტიპიური მაჩვენებელია შუა საუკუნეების ქართველ მემატიანეთა ტრადიციული თვალთახედვისა, - ერი და ეპოქა მონარქის ეთიკურ სახესთან შესაბამისობაში წარმოაჩინონ. ვახტანგ გორგასალის, დავით აღმაშენებლისა თუ თამარ მეფის ცხოვრებათა ავტორებს აერთიანებთ სწორედ ამგვარი პოზიცია. დიდებულ მონარქთა ცხოვრება-მოღვაწეობა ქრისტიანული მრწამსის ბრწყინვალებაშია დანახული, თუმცა არც ის გარემოებაა უგულვებელყოფილი, რომ "არა სწორ არს ცოდვა მღდლისა და მხედრის, არცა ერისა და მღდელმთავრისა" ანუ გათვალისწინებულია მეფის – უდიდესი ერის კაცის - მთელი რიგი წინააღმდეგობების აღსავსე მოღვაწეობის სპეციფიკა.

შუა საუკუნეების ქართულ ისტორიოგრაფიაში "ცხოვრება" – მატიანეებში მონარქის პორტრეტის დამუშავება სწორედ "მღდლისა და მხედრის" საწყისთა გათვალისწინებით ხდება, თუმცა უპირატესობა აშკარად რელიგიურ მხარეს ენიჭება და წამოწეულია ქრისტიანული იდეალების "შეუორგულებელი მსახურების" თემა.

პალესტინის ქართული კულტურის ცენტრების ისტორიიდან

ციური ქათამაძე

შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო

პალესტინის ქართული კულტურის ცენტრებს შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს იერუსალიმის ჯვრის მონასტერს. ქართული სულიერებისა და მწიგნობრობის ეს კერა, დაარსებული ქართველ მეფე-მთავართა შემწეობით, საშობლოდან ყოველთვის უხვ შეწირულობებს ღებულობდა.

საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის დაშლის შემდეგაც ქართველი საერო თუ საეკლესიო პირები თავიანთი პრესტიჟის დაცვის მიზნით მეტ-ნაკლებად ზრუნავდნენ პალესტინის ქართულ სიწმინდეებზე და იქ მოღვაწე მწიგნობარი ბერების მატერიალურ უზრუნველყოფაზე.

იერუსალიმის ჯვრის მონასტერი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ფლობდა ეკლესია-მონასტრებსა და ყმა-მამულს: ჩაიხედენა (ჩეხედანა), მამათი, კონჭკათი, კორცხელი, დირბი, წინანდალი და ა. შ.

საერუსალიმო შემოსავალი იგზავნებოდა პალესტინაში და ხმარდებოდა ეკონომიკურად „შეჭირვებული" ქართული ეკლესია-მონასტრების შენახვას.

საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით ირკვევა ჯვრის მონასტრის მამულების მართვის, ყმათა რაოდენობის, ბეგარა-გადასახადების რაოდენობის და სხვა საკითხები.

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მამულების შესწავლა ნათელს ჰფენს ქართული ეკლესიის ისტორიის მრავალ აქტუალურ საკითხს.

ქრისტიანული იდეოლოგია მაჰმადიანური აგრესიის წინააღმდეგ გურიის სამთავროში

თეა ქართველიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

გურიის სამთავროს სპეციფიკურმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა მისი ისტორიული ბედი. ბიზანტიისა და ტრაპიზონის იმპერიების დაცემის შემდეგ მაჰმადიანური თურქეთი უშუალოდ გაუმეზობლდა საქართველოს. XV საუკუნების თურქეთის ყურადღება ევროპისა და აფრიკისაკენ იყო მიმართული, ხოლო XVI საუკუნიდან იგი იწყებს აგრესიული პოლიტიკის გატარებას აღმოსავლეთში, რის შედეგად გურიის სამთავროს სამხრეთ საზღვარს თანდათან იკავებენ თურქები. მათ მიიტაცეს სამცხე-საათაბაგო, გურიის სამთავროს ჩამოაცილეს ჭანეთი და აჭარა. სამხრეთით კონფრონტაციას ოსმალთა მხრიდან ნიადაგს უმაგრებდა მაჰმადიანური იდეოლოგია. თურქულ წყაროებში ოსმალთა სამხედრო ექსპედიციები საღვთო ომად განიხილება, ხოლო ბრძოლაში თავდადებული პირები ისლამის გმირები არიან.

დაპყრობილ ქართულ ტერიტორიაზე თურქები მიწათმფლობელობის საკუთარ წესს ამკვიდრებდნენ, რასაც თან სდევდა მოსახლეობის გამაჰმადიანება. ქრისტიანულმა ეკლესიამ აქ ფაქტობრივად მარცხი განი-

ცადა. ამიტომ დაიწყო ქრისტიანული ცენტრების გადანაცვლება ჩრდილოეთისაკენ. კერძოდ, ლაზეთის სამიტროპოლო კათედრა გურიაში გადმოიტანეს. მართალია, ლაზეთის მიტროპოლიტის ძალაუფლება საკუთრივ ჭანეთზე ფიქტიური იყო, მაგრამ მისი თავისთავად არსებობა ჭანეთზე გარკვეული გავლენის შენარჩუნების შესაძლებლობას ქმნიდა.

საზოგადოების მოწინავე ნაწილს შესანიშნავად ჰქონდა გააზრებული ქრისტიანული იდეოლოგიის გავრცელება-განმტკიცების მნიშვნელობა ეროვნული ცნობიერების გადარჩენის საქმეში. ქრისტიანული იდეოლოგიის განმტკიცებასთან ერთად ყალიბდებოდა ანტიმაჰმადინური იდეოლოგია, რის შესანიშნავ ნიმუშსაც წარმოადგენს შემოქმედის მიტროპოლიტი იაკობ დუმბაძის მიერ გალექსილი ბაგრატ მუხრანბატონის პოლემიკური ნაწარმოები „უსჯულთ მაჰმადიანთა და ქრისტიანეთა გაბაასება", რომელიც ქრისტიანთა სახელმძღვანელო წიგნად იქცა.

გურიის მთავრები და სასულიერო პირები გრძნობდნენ ჩამორჩენილი მაჰმადიანური ქვეყნების გარემოცვაში მათი გავლენისაგან თავის დასაცავად რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დასავლეთ ევროპის კულტურასთან ზიარებას. ამიტომ ისინი ფართოდ ულებენ კარს კათოლიკე მისიონებს. თუმცა გარკვეულ ბალანსს მაინც იცავენ, რათა „გათათრების" საშიშროება „გაფრანგების" საფრთხეს არ შეეცვალა. ამისთანავე საკუთარი ძალისხმევითაც ცდილობენ ახალი კულტურული ცენტრების დაარსებას. გიორგი IV გურიელის ინიციატივით ჩამოყვანილმა ქართველმა საეკლესიო მოღვაწე პიმენმა ხინოში დაარსა ახალი სასწავლო-საგანმანათლებლო კერები.

მიუხედავად იმისა, რომ XVIII საუკუნის 70-იან წლებში თურქთა ინტენსიური თარეშის შედეგად გურიის სამივე საეპისკოპოსო გაუქმდა, ხოლო სამთავროს სამხრეთი ნაწილი ჩამოსცილდა, სასულიერო პირების მეცადინეობითა და გურიელთა ხელშეწყობით შესაძლებელი გახდა შემოქმედის და ჯუმათის კათედრების აღდგენა. მაჰმადიანური აგრესიის გარემოცვაში მათ მოახერხეს გადაერჩინათ მართლმადიდებლური მრწამსი და ეროვნული ცნობიერება.

ერთი ჰაგიოგრაფიული თხზულების უძველესი თარგმანისათვის

ლამარა ქაჯაია

კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

ჰაგიოგრაფიული თხზულება "ცხოვრებაჲ წმიდისა კჳპრიანჱსი და ივსტჳნასი, წამებაჲ მათ ორთავე ერთად", კარგად არის ცნობილი მარტვიროლოგიურ ლიტერატურაში და ქრისტიანული მწერლობის მრავალ ენაზეა თარგმნილი, მათ შორის, ქართულადაც.

თხზულება სამი ლეგენდისაგან შედგება: "მოქცევა", "აღსარება" და "წამება". ასეთი თანამიმდევრობით ის დედოფალმა ევდოქსიამ (V ს.) გააერთიანა და ასეა ის წარმოდგენილი ლათინურ ხელნაწერებში. ბერძნულ ხელნაწერებში კი, ერთად მხოლოდ ორი ლეგენდაა მოცემული: "მოქცევა" და "წამება". ბერძნულ ტრადიციას იცავს სირიული და ქართული ვერსიებიც.

ქართული თარგმანი ჩვენამდე სამი რედაქციითაა მოღწეული: ორი კიმენურია და ერთი მეტაფრასული. კიმენური რედაქცია სამ ხელნაწერშია დაცული: ვენის ნაციონალური ბიბლიოთეკის პალიმფსესტურ ხელნაწერში (Georg. 2 (V ს.),

ათონის ივერთა მონასტრის Ath -8 (X ს.) და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A-95 (X ს.). მეტაფრასული კი - ორში: ამავე ინსტიტუტის ხელნაწერში S-384 (XI ს.) და ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერში K-8 (XVI ს.).

კიმენურ რედაქციათაგან უძველესი თარგმანი ვენურმა და ათონურმა ნუსხებმა შემოგვინახეს. ამ ორი ხელნაწერის ტექსტები ერთი არქეტიპიდან მომდინარე ჩანს.

ვენის ნაციონალური ბიბლიოთეკის პალიმფსესტის ქვედა ფენა "ხანმეტია". იგი თავნაკლულია, შეიცავს "მოქცევის" დასასრულ ნაწილს და "წამებას" მთლიანად. პალიმფსესტის გადარეცხილი ტექსტი ფრაგმენტია V საუკუნის ჩვენამდე არ-მოღწეული ხანმეტი ჰაგიოგრაფიული კრებულისა. ტექსტი თარგმნილია ბერძნულიდან პალესტინის რეგიონში და აქვეა გადაწერილი არა უგვიანეს V საუკუნისა.

ვენის პალიმფსესტში დაცულ ტექტს (რომელიც დღემდე უცნობი იყო) უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმ მხრივ, რომ ის, ჩვენი დაკვირვებით, წარმოადგენს ქართული ქრისტიანული მწერლობის უადრესი ხანის, V საუკუნის პირველი ნახევრის ლიტერატურულ ძეგლს.

ადამიანის უფლებების ეთიკური და სამართლებრივი ასპექტები მართლმადიდებლურ საზოგადოებაში

ხათუნა ქოქრაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

მართლმადიდებლურ საზოგადოებაში ადამიანის უფლებათა ეთიკური და სამართლებრივი ასპექტები წარმოჩნდება პიროვნების, ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთმიმართების ფონზე. იგი ეფუძნება ქრისტიანულ მოძღვრებას, რომლის თანახმად პიროვნება აბსოლუტური ღირებულებაა. ადამიანს ღვთისაგან ებოძა თავისუფალი ნება და ინდივიდთა ერთმანეთთან თუ ღმერთთან მიმართება განისაზღვრა საყოველთაო სიყვარულისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპით.

მართლმადიდებლურ საზოგადოებაში ადამიანის უფლებების ეთიკურ-სამართლებრივი ასპექტები აისახა საეკლესიო სამართალში და ნათლად წარმოჩნდა ეკლესიის სტრუქტურაში. უმაღლეს ორგანოდ საეკლესიო კრების დადგინება, საეკლესიო კრების მიერ უმაღლესი სასულიერო წარმომადგენლის კათალიკოს-პატრიარქის არჩევისა და გადაყენების საკითხის განსაზღვრა, - თავის თავში მოიცავს გარკვეულ დემოკრატიულ ინსტიტუტებს და მიუთითებს მართლმადიდებლურ ეკლესიაში არჩევითობისა და წარმომადგენლობითობის პრინციპზე.

სახელმწიფოსთან მიმართებაში მართლმადიდებლობა არ ზღუდავს სოციალურ აქტიურობას და სტიმულს აძლევს პიროვნებას იშრომოს ნებისმიერი ტიპის (იდეოლოგიისა და სტრუქტურის მიუხედავად) სახელმწიფოს საკეთილდღეოდ. ამდენად, ის განსაზღვრავს ადამიანის შრომის უფლებასა და თავისუფლებას.

ადამიანის უფლებების დაცვის პრობლემა საინტერესოდ აისახება ეროვნული საკითხის მართლმადიდებლურ ხედვაშიც: ადგილობრივი ეკლესიების ავტოკეფალია ანუ მათი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის უფლებით აღჭურვა, ავტოკეფალიის ტერიტორიული პრინციპით განსაზღვრა, ეროვნულ ენაზე აღმსარებლობის თავისუფლება და ა.შ.

შუა საუკუნეებში ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთშერწყმულ ორგანიზმად ჩამოყალიბებამ გარკვეულწილად განაპირობა მართლმადიდებლობის ეთიკური ნორმების სახელმწიფო სამართლებრივ ინსტიტუ-

ტებში ასახვა. ადამიანის უფლებების საკითხი ორიგინალურად გამოიხატა XI-XII საუკუნეების ქართულ სამართლებრივ აზროვნებაში: გიორგი მთაწმინდელის შეხედულებებში დემოკრატიული ელემენტების განვითარება (საეკლესიო და განსაზღვრულ სახელმწიფო სტრუქტურებში წოდებრივი და ქონებრივი უპირატესობების უარყოფა, ადამიანის პირადი ღირსებებით შეფასება), აგრეთვე დავით აღმაშენებლის ტოლერანტული, რჯულთშემწყნარებლური პოლიტიკა, თამარ მეფის კანონმდებლობის ჰუმანიზმი და სხვ.

ამგვარად, მართლმადიდებლობამ ადამიანის უფლებათა დაცვის გარკვეული მხარეები განავითარა ეთიკურ-სამართლებრივი ფორმით.

სკვნილი: წარმოშობა და განვითარება

ნინო ღამბაშიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

ცოდნა სკვნილზე, ბერ–მონაზვნებისა და მორწმუნე ქრისტიანებისათვის კარგად ნაცნობ და საყვარელ ნივთზე, ძირითადად, ზეპირმა გადმოცემებმა და საეკლესიო ტრადიციამ შემოგვინახა. მის შემოღებას საეკლესიო გადმოცემა წმ. პახომი დიდს უკავშირებს. გადმოცემის თანახმად, სკვნილი წმ. პახომის წერა–კითხვის უცოდინარი ბერებისათვის შემოუღია, რათა მათ იესოს ლოცვის მრავალგზის განმეორება და ლოცვის დათვლა შესძლებოდათ.

წერილობითი წყაროები სკვნილის შესახებ მწირია. პირველად იგი "ლავსაიკონში" გვხვდება, სადაც მოთხრობილია თუ როგორ ითვლიდა ლოცვებს ბერი პავლე თერმიელი კენჭების გამოყენებით.

როგორც აგრეთვე ცნობილია, ორთოდოქსული ქრისტიანობის წიაღში წარმოშობილი და დღემდე განსაკუთრებული მნიშვნელობისა და პოპულარობის მქონე სკვნილი დასავლეთის ეკლესიაში აღმოსავლეთიდან შევიდა. სკვნილს კათოლიციზმმაც თავის საეკლესიო ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუმკვიდრა. მეტიც, დასავლეთის ეკლესიამ მას საეკლესიო კალენდარში განსაკუთრებული დღე მიუჩინა. 1571წ. 7 ოქტომბერს კათოლიკე ქრისტიანთა საზღვაო ძალების მიერ თურქებთან ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად იმდროინდელმა რომის პაპმა პიუს V–მ მადლობის ნიშნად ხსენებულ დღეს ღვთისმშობლის სპეციალური დღესასწაული დაადგინა, რომელიც 1573 წ. აღინიშნება, როგორც როზარის (ქართ.სავარდი) დღესასწაული. ჩვენში, ქ. ახალციხეში დღესაც არსებობს სავარდის სახელობის ქართული კათოლიკური ტაძარი.

დასავლეთის ეკლესიამ სკვნილს როზარი უწოდა (ქართ. სავარდი), რითაც ხაზი ესმება მის კავშირს ვარდთან, ხოლო ხმარების წესის მიხედვით – ღვთისმშობელთან. ვფიქრობთ, ამგვარი კავშირები თავად აღმოსავლეთის ეკლესიიდან უნდა მომდინარეობდეს. ქართული სკვნილი, კრიალოსანი (ბერძნული Κυριε'ελεησον გაქართულებული ფორმა), ბერძ. Κομποσχοιν რუს. четки, ინგ. Prayer beads ამ საეკლესიო ნივთის მეორადი სახელწოდებები უნდა იყოს, რომლებშიც ხაზგასმულია მისი ხმარების, დანიშნულებისა და დამზადების წესი.

სკვნილის გენეზისის გარკვევისათვის ნიშანდობლივია მისი სხვა სახელწოდებების მოხმობა და განხილვა: მაგ. ქართ. სავარდი, ლათ. Astragalus, ფრ. Rosaire, ინგ. Rosary, გერ. Rosenkranz და რაც მთავარია ბერძ. Ο ροδινος στεφανος.

მოხსენებაში განხილულია სხვადასხვა მასალა, რომელიც სკვნილის დასამზადებლად გამოიყენებოდა, მაგრამ მათ შორის ყველაზე ნიშანდობლივად მიგვაჩნია სკვნილის ვარდისაგან დამზადების წესი.

სკვნილის ვარდთან, ღვთისმშობელთან და ცეცხლთან კავშირს, მის წრიულ ფორმას (ბერძნული ტრადიციის მიხედვით) მივყავართ დასკვნამდე, რომ სავარდის გენეზისი პირდაპირი და თეოლოგიური მნიშვნელობით მოწამებრივი გვირგვინიდან მომდინარეობს, განსაკუთრებით კი იმ წმინდათა გვირგვინიდან, რომლებიც ცეცხლში იყვნენ დაწვეს.

ხის საკრალიზაციის ზოგიერთი ასპექტი კავკასიის ხალხებში

თინათინ ღუდუშაური

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

ხეების თაყვანისცემას, წმინდა ჭალების არსებობის ტრადიციას საფუძვლად უძევს რელიგიური აზროვნების ადრეულ საფეხურზე არსებული შეხედულება, რომ ხეს გონიერი არსების ყველა ნიშან-თვისება გააჩნია და, ამდენად, ძალუძს ადამიანის მფარველობა ან მისთვის ზიანის მიყენება. იგი შეიძლება წარმოადგენდეს რომელიმე ღვთაების განსახიერებას ან მის საუფლოს და შესაბამისად საუკეთესო ადგილს საკურთხევლისა და მსხვერპლშეწირვისათვის.

ხის კულტთან დაკავშირებული პრობლემები ყოველთვის იწვევდა გარკვეულ მეცნიერულ ინტერესს. კავკასიაში ამ თვალსაზრისით საინტერესო მასალა დააფიქსირეს არა მხოლოდ ქართველმა მეცნიერებმა, არამედ უცხოელმა ავტორებმაც. მოხსენება ამ მასალის გაანალიზების ცდას წარმოადგენს.

პირველ რიგში საყურადღებოა საკრალური ხეებისა და ჭალების აშკარა კავშირი მიცვალებულების კულტთან. ამ კავშირის უძველეს დადასტურებას წარმოადგენს არგონავტების მითში მოხსენებული დაკრძალვის თავისებური წესი (მამაკაცის გვამის ტყავში გახვევა და ხეზე ჩამოკიდება), რომლის გამოძახილად ან სახეცვლილ ფორმად შეიძლება ჩაითვალოს ვახუშტი ბაგრატიონის მიერ "აღწერა სამეფოსა საქართველოსა"-ში მოცემული დაკრძალვის აფხაზური ტრადიცია; ამავე კონტექსტში უნდა გაიაზრებოდეს ოსეთში არსებული წმინდა ჭალები და ფშავში დადასტურებული კენოტაფის თავისებურებანი. მეორე მნიშვნელოვანი ასპექტია ტაბუირება. წმინდა ჭალები ხელშეუხებელია, თუმცა მხოლოდ იმ საზოგადოებისათვის, რომელსაც ისინი ეკუთვნის. საომარი შეტაკების შემთხვევაში, მაშინაც კი, როდესაც ჭალა ორივე მხარის თაყვანისცემის ობიექტს წარმოადგენდა, ზოგჯერ იგი ნადგურდებოდა. იყო შემთხვევები, როდესაც თემს გამოეყოფოდა მი'ა, წევრების ნაწილი და შესაბამისად, ახალ ჭალას აქცევდა საკრალურ ადგილად. ნიშანდობლივია, რომ შუღლის შემთხვევაში შერიგების ადგილს სწორედ წმინდა ჭალები წარმოადგენდა.

ზოგიერთ შემთხვევაში წმინდა ხეებს კონკრეტული ფუნქცია გააჩნდათ — ავადმყოფობისგან განკურნება, მფარველობა, ნაყოფიერება, ზოგჯერ კი გაიაზრებოდნენ, როგორც რომელიმე ღვთაების კუთვნილება და ამ პრინციპით ხდებოდა მათი საკრალიზება. ხის ჯიშს, როგორც ჩანს, განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ენიჭებოდა, თუმცა უფრო ხშირი იყო მუხის, ალვის, ფიჭვის, ცაცხვის თაყვანისცემა.

საცნაურია ჯვრისა და მასთან დაკავშირებული სიმბოლოების სიუხვე წმინდა ჭალებთან მიმართებაში. კერძოდ, სიტყვა "ჯვარი" ჭალის სახელწოდებაში, ჯვრის ფორმის სადგამები სამსხვერპლო ცხოველის ტყავის დასაფენად, ქვის ჯვრების არსებობა ჭალებში, დაბოლოს, ეკლესია-მონასტრების მშენებლობა ამგვარ ადგილებში, რასაც, როგორც ჩანს, საფუძვლად ედო რელიგიური მოტივაცია — მომხდარიყო წარმართული სიმბოლოების თანდათანობით ჩანაცვლება ქრისტიანულით.

ზოგადი დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ხეების საკრალიზაცია, წმინდა ჭალებისა და ტყეების არსებობა ზოგადკავკასიური მოვლენაა. წმინდა ჭალებს რელიგიურ-რიტუალური მნიშვნელობის გარდა კონკრეტული ფუნქციაც გააჩნდათ და ხშირად რელიგიური სინკრეტიზმის ნიშნებს ამჟღავნებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს უადრესი ქრისტიანული ბაზილიკები

გურამ ყიფიანი

მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტი
მცხეთა, საქართველო

ქრისტიანობის გავრცელების საწყის საფეხურზე ბაზილიკა ის წარმართული სამყაროდან დასესხებული არქიტექტურული თემა იყო, რომელიც მთელმა ქრისტიანულმა სამყარომ მიიღო, როგორც ღვთის სახლის ახალი მოდელი. მიუხედავად ამისა, მისდამი დამოკიდებულება არაერთგვაროვანი იყო და არც მისი სივრცობრიობა აკმაყოფილებდა ერთნაირი ხარისხით წინარექრისტიანული მძლავრი სამშენებლო-ხუროთმოძღვრული ტრადიციების მქონე ქრისტიანულ ქვეყნებს.

ამავე დროს სხვადასხვაგვარი უნდა ყოფილიყო ბაზილიკათა სივრცობრივი მოდელის სიმბოლური აღქმაც.

საქართველოში ქრისტიანული ხუროთმოძღვრების საწყის ეტაპზე ბაზილიკურობისადმი განსხვავებული დამოკიდებულებანი დღემდე აქტუალურ საკითხად რჩება ქართული არქიტექტურის ისტორიისათვის.

1. ქართული ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის ორი სახე, კლასიფიცირებული გიორგი ჩუბინაშვილის მიერ როგორც „სათუო ბაზილიკა“ და „სამეკლესიანი ბაზილიკა“, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. ფაქტობრივი მასალის მიხედვით ვერ დგინდება ამ ორ ტიპს (სახეს) შორის ქრონოლოგიური ზღვარი, და ისინი ერთდროულად წარმოშობილი ჩანს. ორივე შემთხვევაში ბაზილიკური სიმბოლური არსისგან (გრძივი, ნავებად დანაწევრებული სივრცე - წმინდა ქალაქის, იერუსალიმის გზა, მიმართული სუზის კარიბჭისაკენ, ნავის ზედა სტრუქტურა - ასევე იერუსალიმის ცა) განსხვავებულ სურათს ვფლობთ: ბურჯები (სათუო ბაზილიკებში) და კედლები (სამეკლესიან ბაზილიკებში) ემსახურება ცენტრალური კვადრატის ან კვადრატს მახლობელი სივრცის განმხოლოებას - აქ მინიშნებაც არა გვაქვს ბაზილიკური სიგრძივობისა. აქ საქმე უნდა გვქონდეს იმ საწყის მოდელებთან, რომლებიც საქართველოში წინამორბედმა საკულტო ხუროთმოძღვრებამ განაპირობა და რომელთა ძირითადი მიზანი ასევე ცენტრალური ბირთვის აქცენტირება ან განმხოლოება იყო.

2. მემკვიდრეობას, ტრადიციათა გაზიარებას, წარმართული საკულტო ნაგებობების ქრისტიანულ ეკლესიებად ათვისების პროცესებს საქართველოში, ისევე როგორც მთელს ქრისტიანულ სამყაროში, ნათლად ედევნება თვალი არქეოლოგიური ძიებების შედეგად. მხედველობაში მაქვს ნასტაგისის სამნავიანი ბაზილიკა (თავისი განვითარების ეტაპებით: წარმართული ბაზილიკა; ქრისტიანული სამნავიანი ბაზილიკა; სამეკლესიანი კვადრატს მიახლოებული ბაზილიკა) და უფლისციხის კლდოვანი ბაზილიკა. ორივე შემთხვევაში ქრისტიანული ეკლესიები წარმართულ ნაგებობებს ეფუძნება. ჩანს მათი სრულყოფის, ახალი რელიგიური მოთხოვნებისადმი დაქვემდებარების საფეხურები. ჩანს ახალი რელიგიის ტრიუმფიც წარსულის რელიგიურ წარმოდგენებზე.

ქრისტიანული ხელოვნების დრო და სივრცე

მედეა შანავა

სავლე წერეთლის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

მოხსენებაში საუბარია იმაზე, რომ თითოეულ ხელოვნების ქმნილებას თავისი სამყარო გააჩნია, რომელშიც იგი ქმედითია და ცოცხალი. კერძოდ, იგი იმყოფება განსაკუთრებულ სულიერ დროსა და სივრცეში, რომლის მოაზრების გარეშეც შეუძლებელი გახდებოდა ხელოვნების ქმნილების სრულფასოვანი აღქმა და გაგება. მართლმადიდებლურ – ქრისტიანულ ხელოვნებასაც გააჩნია თავისი განსაკუთრებული დრო და სივრცე და მისი განხილვა აუცილებელია სწორედ ამ დრო-სივრცესთან ერთიანობაში და არა მისგან მოწყვეტით, როგორც ეს ტრადიციულადაა მიღებული. კერძოდ, მართლმადიდებლურ-ქრისტიანული ხელოვნების სივრცე ეს არის ტაძარი, გაგებული როგორც მისტიური სხეული ქრისტესი, რომელშიც უღრმესი ქრისტიანული საიდუმლოებანი აღესრულება, ხოლო დრო რომელშიც იგი მყოფობს, ლიტურგიული დროა. ქრისტიანული ხელოვნების ყოველი ქმნილება ორგანულადაა ჩართული ამ დრო-სივრცეში და უზრუნველყოფს თითოეული მორწმუნის ჩაბმას ქრისტიანული ცხოვრების რიტმში. მოხსენებაში განხილულია, აგრეთვე, ქრისტიანული ხელოვნების დრო-სივრცის თავისებურებანი, მნიშვნელობა და ფუნქცია. დროის ჩვეულებრივი მდინარება აქ თითქოს არსებობას წყვეტს და მარადისობაში გადადის, ქრისტიანული ხელოვნების თითოეული ქმნილება მარადისობიდან იცქირება. დროის ამ რიტმის შენარჩუნებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება რელიგიური და კულტურული ტრადიციის გაგრძელებაში. ამიტომ, კალენდრის შეცვლა დადგენილი ლიტურგიული დროიდან ამოვარდნასა და კულტურული ორიენტაციის ძირეულ შეცვლას ნიშნავს. ტაძრული სივრციდან მოწყვეტა კი გაუგებარს ხდის ქრისტიანული ხელოვნების ქმნილებას და მას ყოფილ ქმნილებად აქცევს.

ბიბლიის ქართული თარგმანის რედაქციებში დაცული სამუსიკო ტერმინოლოგია

მანანა შილაკაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

ბიბლიის ქართული თარგმანის რედაქციებში მოხსენებულია სამუსიკო ინსტრუმენტთა შემდეგი სახელწოდებანი: ავლი, ათძალი, ათძალი საფსალმუნისაი, ბობღანი, ებანი, მუღნი, ნესტვი, ნესტვი იობელისი, ნესტვი მღდელთა, ნესტვი რქისა, ნესტვი ჭედილი, ორღანო, რქა, საგალობელი, საყვირი, საყვირი რქისა, საყვირი სასტვინელი, საყვირი ღმრთისა, საფსალმუნე, სტვირი, ფსალმუნი, ქნარი ‖ ქანარი, წინწილი.

ჩამოთვლილ საკრავთაგან ზოგიერთი (მაგ., ებანი, ნესტვი, საყვირი, წინწილი და სხვ.) ქართულ მუსიკალურ პრაქტიკაში ფართოდ იყო გავრცელებული, რასაც ქართული წერილობითი წყაროების (მხატვრული ლიტერატურის, საისტორიო მწერლობის ძეგლები) მონაცემები ადასტურებს (ი. ჯავახიშვილი).

მუსიკალური ინსტრუმენტარიუმის სახელწოდებათა შორის ბიბლიის ქართულ რედაქციებში გვხვდება როგორც უცხო სიტყვები (მაგ., ავლი, ქნარი), ასევე ტერმინთა ზუსტი თარგმანი (საფსალმუნე, ნესტვი იობელისი) და ქართული შესატყვისებიც (მაგ., ნესტვი, საყვირი, რქა). ცნობილია, რომ ბიბლია ქართულად ბერძნულიდან ითარგმნა, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო ტერმინოლოგიაში გვხვდება ბიბლიის დედნის ენიდან

- ებრაულიდან - მომდინარე სახელწოდებანი; არ გამოირიცხება ზოგიერთი ტერმინის სომხურის გზით ათვისებაც.

ძველ ალთქმაში გვხვდება 20 დასახელების საკრავი (ე. კოლარი). ბერძნულსა და ლათინურში მათ შეესატყვისება შესაბამისად 14 და 15 ტერმინი. ისე, რომ ერთი და იგივე სახელწოდება ორი-სამი სხვადასხვა საკრავის აღსანიშნავად გვევლინება.

ბიბლიის სხვადასხვაენოვან თარგმანებში სამუსიკო ინსტრუმენტთა სახელწოდებანი და მათი რაობა არაერთგვაროვნად არის წარმოდგენილი, ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო მნიშვნელობებიც გვხვდება. ბიბლიის ქართული თარგმანის რედაქციებში დაცული სამუსიკო ტერმინების საფუძვლიანი შესწავლა საშუალებას მოგვცემს დაზუსტდეს ზოგიერთი მათგანის მნიშვნელობა და გაირკვეს მათში ნაგულისხმევი ინსტრუმენტის რაობა.

საეკლესიო ვერცხლის ჯურჯელი ლეჩხუმიდან

ნოდარ შოშიტაშვილი, ნოდარ ახალკაცი

სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი
თბილისი, საქართველო

ეკლესიებისათვის შეწირული ნივთების კვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც მატერიალური კულტურის, ისე სასულიერო ცხოვრებისა და ეკლესიის ისტორიის აღდგენისათვის. მოხსენებაში წარმოდგენილია რამდენიმე წარწერიანი ვერცხლის რიტუალური ნივთის შესწავლის შედეგები. ესაა შეწირული ჯურჯელი – ვერცხლის საიაზმე თასი და კლიტე-გასაღები ცაგერის ღვთისშობლის ეკლესიიდან, ვერცხლისავე ბარძიმი ნასპერის ღვთისშობლის ეკლესიიდან.

აღნიშნული ნივთების ტექნოლოგიური, პალეოგრაფიული და ეთნოლოგიური თვალსაზრისით ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ისინი თარიღდება XVIII-XIX სს. მიჯნით. წარწერებში მოხსენიებულნი არიან საეკლესიო მოღვაწენი ლეჩხუმიდან, რომელთა საგვარეულოს წარმომადგენელნი თაობიდან თაობამდე მოღვაწეობდნენ სასულიერო სფეროში.

ცაგერის ღვთისშობლის ეკლესია XVIII-XIX სს. მნიშვნელოვან სასულიერო სავანეს წარმოადგენდა როგორც ლეჩხუმისათვის, ისე სვანეთ-ეგრისისათვის. 1871 წელს აღნიშნული ეკლესია იღუმენ ბესარიონ ახვლედიანის და მისი თანამოაზრეების მცდელობით განუახლებიათ.

იღუმენი ბესარიონ ახვლედიანი მოხსენიებულია საიაზმე თასზე. ამავე დროს წერილობითი წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ იგი ყოფილა მონასტრის წინამძღვარი და განმაახლებელი. ვერცხლის ბარძიმზე შესრულებულია მხედრული წარწერა სამ ფრიზად. წარწერა გვამცნობს ახვლედიანთა გვარის მოღვაწეობას ცაგერის მახლობლად, ნასპერის ეკლესიაშიც. კლიტე-გასაღები დათარიღებულია 1807 წლით. მასზე შესრულებულ მხედრულ წარწერაში მოხსენიებულია მიტროპოლიტი იოანე დადიანი და სასულიერო მოღვაწე, ვინმე ნემსაძე. აღიშნული ნივთების შესწავლა გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს XIX საუკუნის საქართველოს სასულიერო ცხოვრებაზე.

ქრისტიანული წმინდანი თუ წარმართული ქალღვთაება: წმინდა ბარბალეს კულტი აღმოსავლეთში და დასავლეთში

ბრიგიტა შრადე

კულტურის ისტორიის ინსტიტუტი
თავისუფალი უნივერსიტეტი
ბერლინი, გერმანია

ეროვნული ბიბლიოთეკა

წმინდა ბარბალე, ქალწული ჰელიოპოლისიდან, რომელიც იწამა და მოიკლა რწმენისათვის თავისივე მამის ხელით, ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული ქრისტიანული წმინდანია როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ ქრისტიანულ სამყაროში.

საქართველოს მთიან რეგიონში - სვანეთში - ამ ქრისტიანულ წმინდანს, როგორც საფიქრებელია, ორგვარი სახე ჰქონდა. იგი გვევლინება ეკლესიათა მფარველად ხატებზე, კედლის მხატვრობაში. ამავე დროს, წმ. ბარბალეს კულტი ამჟღავნებს ბევრ წარმართულ ელემენტს. ეს ელემენტები, განსაკუთრებით კი მისი ადგილობრივი დღეობები ასევე გვიბიძგებენ აზრისაკენ, რომ სვანეთში მას თაყვანსცემდნენ როგორც მზის ძველი ქართული წარმართული ქალღმერთის ბარბალის (ვ. ბარდაველიძე) ნაცვალს.

მოხსენებაში ჩვენ განვიხილავთ წმ. ბარბალეს კულტის სინკრეტიზმს, რომელიც ერთგვარია აღმოსავლეთში და დასავლეთში და რომელიც აშკარად საერთო ფესვიდან არის აღმოცენებული.

ბიზანტიის დედაქალაქ კონსტანტინოპოლში წმ. ბარბალე ეკლესიის საყვარელ მფარველად იყო მიჩნეული. მეორე მხრივ, მას ასტრალურ კულტთან და წინასწარმეტყველებასთან აკავშირებდნენ.

წმინდანის ამავე სახეს ვხვდებით დასავლეთშიც, სადაც წმ. ბარბალე ერთ-ერთი ყველაზე პატივცემული ქალი წმინდანია მთელი შუა საუკუნეების მანძილზე. გერმანიაში წმ. კატერინასთან და მთავარმოწამე მხედარ გიორგისთან ერთად იგი შედის თოთხმეტი წმინდანის იმ ჯგუფში, რომლებიც ხშირად არიან წარმოდგენილი და მოხმობილი ყოველგვარ ცხოვრებისეულ სიტუაციაში მეოხებისათვის. მაგრამ წმ. ბარბალეს ხალხური კულტი უხვად მოიცავს ცრურწმენასაც.

წმ. ბარბალეს კულტის სხვადასხვა ელემენტი და მისი გამოსახულებები, პირველ რიგში სვანეთში დაცულ კედლის მხატვრობაში და ხატებზე სხვა წმინდანების გვერდით მისი გამოსახვის ტრადიცია, ნათელს ჰფენს მის თავდაპირველ კულტს და ფუნქციებს ადრექრისტიანულ ხანაში.

ქართულ, ბიზანტიურ, დასავლეთევროპულ ხელოვნებაში წმ. ბარბალეს გამოსახულებათა შედარება გვიჩვენებს, რომ მისი კულტი, რომელიც გავრცელდა აღმოსავლეთიდან დასავლეთში, თავიდანვე სინკრეტული იყო.

წმ. ბარბალე ყოველთვის იყო ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული წმინდანი, რომელსაც განსაკუთრებით პატივით ეპყრობოდნენ პროვინციებში, სოფლად (რ. ბროუნინგი). იგი იყო წმ. გიორგის მსგავსი მამაკაცი მოწამეებისა და მხედარი წმინდანების ქალი მეწყვილე. უპირველეს ყოვლისა, წმ. ბარბალე იყო ქალთა წმინდანი. თეოტიკოსთან ერთად, ის იყო ყველაზე მნიშვნელოვანი შუამავალი უფლის წინაშე, ადამიანების დამხმარე, როცა მათ ავადმყოფობა და სიკვდილი ემუქრებოდათ.

მომავლის გზაზე: ჰოლანდიური ფონდის „ჰორიზონის“ პროგრამა სვანეთში ხელოვნების ნიმუშების რესტავრაციისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

როლფ შრადე

საქართველოს საზოგადოება ბერლინში
ბერლინი, გერმანია

საქართველოს მთიან რეგიონ სვანეთში ქრისტიანობას და ქრისტიანულ ხელოვნებას აქვს ხანგრძლივი ტრადიცია. IX-X სს. შემდგომ ქრისტიანული კულტურა გავლენას ახდენდა სოციალური ცხოვრების ყველა სფეროზე. ქრისტიანული წმინდანი და მათი გამოსახულებანი კედლის მხატვრობაში და ხატებზე იყო კულტის არსი. ქრისტიანული კულტურის კვალი, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოს პოლიტიკურ ბედთან და რომელიც თავის ზენიტს გაერთიანებული ქრისტიანული ქართული სამეფოს პერიოდში აღწევს, შემოინახა დღემდე. სვანეთში, „საქართველოს საგანძურში“, ვხვდებით შთამბეჭდავ კედლის მხატვრობას, ხატებს, ხელნაწერებს, ლიტურგიული დანიშნულების ნივთებს.

თუმც კომუნისტური-ათეისტური პერიოდის განმავლობაში ქრისტიანობა, როგორც იდეოლოგია, შევიწროვებული იყო საქართველოში, კონსერვაციის ცენტრმა შეძლო ხელი შეეწყო ქრისტიანული ძეგლების აღდგენისათვის სვანეთშიც, რამდენიმე ეკლესია კედლის მხატვრობითურთ აღდგენილ იქნა. ეს საქმიანობა შეწყდა ათი წლის წინ ეკონომიკური დაცემის გამო.

ოთხი წლის წინ კულტურის ფონდ „ჰორიზონთთან“ ერთად ჩვენ დავიწყეთ სვანეთში აღდგენითი სამუშაოების ახალი პროგრამის განხორციელება, რომელიც ოღონდაც ძველს ზუსტად არ აგრძელებს. კულტურული „ძეგლების“ ნაცვლად ჩვენ ვესწრაფვით აღვადგინოთ „ეკლესიები“ (იმ აზრით, როგორც ეს სიტყვა გვხვდება გ. ჩუბინაშვილის ადრეულ შემოქმედებაში) როგორც რელიგიური ცენტრები. პროგრამაში ჩვენ ჩავრთეთ ხატებიც, როგორც წმინდანთა გამოსახულებები, რომლებსაც თავისი დანიშნულება და მნიშვნელობა აქვთ საზოგადოების ცხოვრებაში.

მოხსენებაში მე მსურს ვაჩვენო პროექტის განხორციელების მდგომარეობა, ჩვენი არჩევანის ასპექტები და მიზნები, რომელიც გვაქვს. პროგრამა ახლაც გრძელდება.

პროგრამის განხორციელება ჩვენ დავიწყეთ ზემო სვანეთის ყველაზე მნიშვნელოვანი ცენტრებით: კალაში ლაკურგას ეკლესიით და უშგულში ლამარიათი. ამ ეკლესიას დიდი მნიშვნელობა აქვს აღნიშნული სოფლების მაცხოვრებელთათვის.

ამ წელს პროგრამაშია მაცხოვრის ეკლესია მესტიაში. ის აღდგება როგორც არქიტექტურული კომპლექსი თავისი თავდაპირველი ფორმით, რომელიც კვლავ იქნება რელიგიური ცენტრი მრავალმხრივი ფუნქციით.

ლატალში ჩვენ პროგრამაშია არა მარტო ორი ეკლესია მათივე კედლის მხატვრობით, აგრეთვე რამდენიმე ხატიც იმ მიზნით, რომ დავეხმაროთ ამ თემმა დაიბრუნოს ძველი მნიშვნელობა.

დასავლური გამოცდილება გვიჩვენებს თუ რამდენად მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს სარესტავრაციო სამუშაო არა მარტო ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისათვის, არამედ, აგრეთვე, ქრისტიანული თემებისათვის, რომლებიც საჭიროებენ შეკრების ადგილებს და ტრადიციულ კულტმსახურების ობიექტებს თავიანთ უშუალო განკარგულებაში. ეკლესიები კედლის მხატვრობით და ხატებით ძალიან მნიშვნელოვანია მართლმადიდებლობაშიც. ამგვარად, რესტავრაცია შესაძლებელია განვიხილოთ საშუალებადაც სვანეთში ქრისტიანობის მხარდასაჭერად.

ქრისტიანული მემკვიდრეობის შესწავლისა და გადარჩენის პრობლემები სვანეთში

შოთა ჩართოლანი

არქეოლოგიური კვლევის ცენტრი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ყველაზე მაღალმთიანმა, ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა მხარემ სვანეთმა კომპაქტურად შემოგვინახა მრავალფეროვანი ქრისტიანული კულტურული მემკვიდრეობა, რისთვისაც სამართლიანად დაიმკვიდრა "ეროვნული კულტურის საგანძურის" საპატიო სახელი.

XIX ს. შუახანებიდან დაწყებული დღემდე, სვანეთის ძეგლები ქართველი და უცხოელი მეცნიერების აქტიური შესწავლის საგანია. ამ კვლევა-ძიების ძირითადი შედეგები მრავალრიცხოვან პუბლიკაციებშია გამოქვეყნებული. ჩვენი საუკუნის 70-იან და მომდევნო წლებში შეიქმნა ახალი საგანგებო სამეცნიერო უჯრედები, სრულად აღირიცხა საეკლესიო ფასეულობანი. შეიქმნა მათი დაცვის ზონალური სისტემა და შემცირდა ძეგლთა ხელყოფისა და ქურდობის შემთხვევები.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილია ადრეშუასაუკუნეების ქრისტიანული სამაროვნები და საკულტო ძეგლები. ამ აღმოჩენებმა რამოდენიმე საუკუნით დააძველა საქართველოს მაღალმთიან ზოლში ქრისტიანობის გავრცელების ქვედა ქრონოლოგიური თარიღი.

უკანასკნელი 10 წლის მანძილზე, სვანეთში შექმნილ მწვავე კრიმინოგენური ვითარების, საზოგადოებრივი და სარწმუნოებრივი დესტაბილიზაციისა და განუკითხაობის პირობებში კერძო პირებმა დაისაკუთრეს ადგილები, სადაც კულტურის ძეგლების არსებობაა დადასტურებული. ბუნებრივ-კლიმატური მოვლენების, განძის მაძიებლებისა და ე.წ. კერძო რესტავრატორების ხელით ზიანდება და ნადგურდება საკულტო ძეგლები. შეწყდა მეცნიერებათა აკადემიის კვლევითი ინსტიტუტების მუშაობა სვანეთში, არ ფუნქციონირებს კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვის სამსახური. დაზუსტებას მოითხოვს ძეგლთა მესაკუთრის, შესწავლისა და სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ნორმები და პრინციპები. მრავალი საეკლესიო ნივთი ინახება ოჯახებში. ეკლესიებში დაცული ხატები და ჯვრები უკანასკნელი 25 წლის მანძილზე, შეუფერებელ კლიმატურ-ეკოლოგიურ პირობებში - რკინის სეიფებშია ჩაკეტილი.

კვლავაც იკარგება და მახინჯდება ძველი საწესო-რელიგიური რიტუალები. ფართოვდება სექტანტიზმი და მკვეთრად მცირდება მართლმადიდებელი მორწმუნე მრევლის რაოდენობა, რაც სოციალურ და კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციას უკარგავს ეკლესიას.

სვანეთში ქრისტიანულ-მართლმადიდებლური სარწმუნოებისა და კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენის, შესწავლისა და გამოყენების პრობლემების გადასაწყვეტად, საჭიროდ გვესახება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ და საპატრიარქომ შეიმუშავონ ერთიანი ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური პროგრამა და მისი განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები.

სვანეთის კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა მთელი საქართველოს საკუთრებაა. ამიტომაც იგი განსაკუთრებულ ყურადღებასა და მზრუნველობას იმსახურებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრისტიანობა და ხელოვნება

მანანა ჩიტეიშვილი

აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

ქრისტიანობა და საქართველოს ცივილიზაციური კუთვნილების პრობლემა

ნინო ჩიქოვანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

XX ს. 60-იანი წლებიდან ჰუმანიტარული მეცნიერებანი დიდ ყურადღებას უთმობენ ცივილიზაციის საკითხების კვლევას. 90-იანი წლების დასასრულიდან, როცა ცივი ომის დამთავრებამ ძირეულად შეცვალა საერთაშორისო ვითარება და ფართოდ გაიშალა დისკუსია ს.ჰანთინგტონის "ცივილიზაციათა შეჯახების" თეორიის ირგვლივ, ასეთმა კვლევა-ძიებამ განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა. მხედველობაში გვაქვს ცივილიზაციის საკითხების კვლევის ის მიმართულება, რომელიც ცივილიზაციის რაობის შესახებ არსებული მრავალი თვალსაზრისიდან ამოსავლად იღებს შემდეგ განსაზღვრებას: ცივილიზაცია — ესაა ადამიანთა მსოფლმხედველობრივი, მენტალური, ქცევითი იდენტურობის ყველაზე ვრცელი არეალი; მენტალურ და ქცევით სტერეოტიპთა ერთობლიობა, რომელიც ადამიანთა ჯგუფის ქმედებას განსაზღვრავს.

საქართველოსათვის ფრიად აქტუალურია ცივილიზაციური კუთვნილების პრობლემა, რომლის კვლევა მხოლოდ უკანასკნელ პერიოდში დაიწყო. ცივილიზაციურ მახასიათებელთა შორის რელიგია ერთ-ერთი უმთავრესია, მაგრამ არა ერთადერთი. საქართველოს მიერ ქრისტიანობის მიღება, პოლიტიკურთან ერთად, ცივილიზაციური არჩევანიც იყო და საქართველოს ცივილიზაციური კუთვნილების მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორიც. მაგრამ აღმოსავლურქრისტიანულ სამყაროსთან რელიგიური ერთობა სრულიადაც არ ნიშნავს მასთან ცივილიზაციურ ერთობასაც, რადგან, სხვა ცივილიზაციური მახასიათებლებით, აღნიშნული სამყაროს ცალკეული ნაწილები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ცივილიზაციური კუთვნილება ისტორიული წარსულითაა განსაზღვრული. ცივილიზაციური მახასიათებლების ჩამოყალიბებას ხანგრძლივი დრო სჭირდება, ამასთან, ისინი მუდმივი არ არის და საუკუნეთა განმავლობაში იცვლება. ჩვენი ცივილიზაციური კუთვნილების განსაზღვრისათვის აუცილებელია, ერთის მხრივ, თანამედროვე საქართველოს ციივილიზაციურ მახასიათებელთა, მეორეს მხრივ, კი მათი ისტორიული დინამიკის შესწავლა.

რამდენადაც ცივილიზაციურ მახასიათებელთა ჩამოყალიბება კულტურის ფარგლებში და მის ფონზე მიმდინარეობს, გააზრებას მოითხოვს თვით ქართული კულტურის რაობის პრობლემაც — კარჩაკეტილობა-გახსნილობის, ტრადიციულობა-ნოვატორულობის, ორიგინალობა-იმიტაციურობისა და ზოგიერთი სხვა პარამეტრის მიხედვით. ასეთი კვლევის ხერხები და მეთოდები კარგადაა დამუშავებული დასავლურ კულტუროლოგიაში.

ცივილიზაციის საკითხების კვლევას არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული დანიშნულებაც აქვს: მისი შედეგების გათვალიწინება საშუალებას იძლევა მოიძებნოს საზოგადოების წინაშე მდგარი ზოგიერთი პრობლემის მოგვარების გზები, დაიძლიოს სტერეოტიპები და ბრმა მიბაძვა საზოგადოებრივი პროცესების მართვის სფეროში, უფრო სწორად განისაზღვროს საშინაო და საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები.

მართლმადიდებლობა და მონარქია

პაატა ჩიქოვანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

„არა არს ხელმწიფებაჲ, გარნა ღმრთისაგან“ (რომ. 13,1) – შეგვაგონებს პავლე მოციქული. „ღმრთისა გეშინოდენ, მეფესა პატივ-სცემდით“ – გვმოძღვრავს მოციქული პეტრე (I პეტრე, 2,17). წმიდა წერილის ამ სენტენციებზე დაყრდნობით მოხსენება იხილავს სამეფო ხელისუფლების რაობას მართლმადიდებლური სწავლების შუქზე.

ესქატოლოგიური თვალსაზრისით, ჩვენთვის, აპოსტასიის ჟამის მცხოვრებთათვის, ცოდნის გაღრმავებას ამ მიმართულებით ის განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია, რომ თუკი, ერთი მხრივ, მხოლოდ და მხოლოდ მონარქიაა ის სახელმწიფოებრივი წყობილება, რომელსაც სცნობს მართლმადიდებლური ქრისტიანობა, მეორე მხრივ, არსებობს კიდევ მართლმადიდებელი ეკლესიის დიდი მნათობის, წმ. იოანე ოქროპირის ნააზრევი, რომლის თანახმად: „მართლმადიდებელ ხელმწიფეებს ძალაუფლება ექნებათ ხელთ ანტიქრისტეს მოვლინებამდე, ბოროტების გავრცელების შემაფერხებლად“.

ამ მხრივ, მართლმადიდებელი სახელმწიფოს მქონე ქართველებს მართებთ სასოება სახელმწიფოებრივი ხელისუფლების იმ ფორმაზე, რომელიც შეწყნარებულია ჭეშმარიტი ქრისტიანული აღმსარებლობის მიერ და ღვთივკურთხეული ბაგრატოვანთა გვარის იმ წარმომადგენელზე, რომელიც შეიძლება გახდეს ერთი მათგანი, ვინც შეეწინააღმდეგება ანტიქრისტეს – „ბოროტების გავრცელების შემაფერხებლად“.

არაგვის ხეობის სამაროვნებზე აღმოჩენილი ქრისტიანული სიმბოლოებით შემკული ნივთები

ვერა ჩიხლაძე

არქეოლოგიური კვლევის ცენტრი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

მდინარე არაგვის ორივე ნაპირზე გამოვლენილია წინაქრისტიანული და ადრექრისტიანული ხანის სამაროვნები (აბანოსხევი, ხიდარი, ბაგიჭალა, წობენი, ჩინთი, კვირაცხოველი, არაგვის პირი, ახალი ჟინვალი, თალთები, ჟინვალი, ბალებიანი, ხერთვისი, ნეძიხი, ანანური, ცივწყარო, სათაო, წიფრანისძირი და კართანა). შესწავლილი ძეგლებიდან მრავალფეროვანი მასალის შემცველია ჟინვალის სამაროვანი, რომელიც არაგვის შუა წელზე მდებარეობდა. მიკვლეული მასალის მიხედვით იგი ქალაქური ტიპის დასახლების სამაროვანია.

არაგვის ხეობაში გვიანანტიკურ-ადრეშუასაუკუნეების სამაროვნებზე აღმოჩენილია მრავალრიცხოვანი მასალა, რომელშიც ასახულია ამ ეპოქის ქართლში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური თუ კულტურულ-რელიგიური ცვლილებები, რაც განპირობებული იყო ქვეყნის ფეოდალიზაციისა და გაქრისტიანების პროცესებით. აღნიშნული ვითარება დიდად განაპირობა იმ გარემოებამ, რომ არაგვის ხეობაში გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო-სატრანზიტო გზა, ხოლო ჟინვალი წარმოადგენდა ქართლის სამეფოს ჭიშკარს ჩრდილოეთისაკენ მიმავალ გზაზე. აღმოჩენილი მასალების ნაწილი საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ ქრისტიანული რელიგიის გავრცელებას ამ რეგიონში.

ქრისტიანული სიმბოლოებით შემკული ნივთები ჟინვალის სამაროვანზე გვხვდება ჯერ კიდევ ქართლში, ქრისტიანობის ოფიციალურად აღიარებამდე. ე. წ. წარმართული წესით დაკრძალულ მიცვალებულებს ჩატანებული აქვთ ბეჭდები, რომელთა ინტალიოებზე ამოკვეთილია დელფინი, თევზები, ღუზა თევზებით, ბერძნული წარწერა „იესო"; ვერცხლისა და ბრინჯაოს სამაჯურები თევზების გამოსახულებით; ბრინჯაოს ბალთები, რომლებზეც ჯვრებია ამოკაწრული. ყველა ეს ნივთი აღმოჩენილია სამარხეულ კომპლექსებში, რომლებიც ზოგადად II-IV სს. არის დათარიღებული.

ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ არაგვის ხეობის სამაროვნებზე ინვენტარის ცვლილებასთან ერთად, ბუნებრივია, მრავლად გვხვდება ქრისტიანული სიმბოლიკის შემცველი სამარხეული კომპლექსები, კერძოდ V-VII სს. დათარიღებულ სამარხებში აღმოჩნდა ბრინჯაოს ბეჭედი ბომონისა და ჯვრის გამოსახულებით; ჯვრებით შემკული ბეჭდები, ბიზანტიური ინტალიოები, რომლებზეც ამოკვეთიილია ქრისტეს დბადება, ღვთის მშობელი ყრმით, ყვავილი, ჯვარი და სხვ. აგრეთვე საკინძები, რომელთაც თავები შემკული აქვთ ჯვრის, გუმბათის, სამრეკლოსა და მტრედების გამოსახულებებით და მშვილდსაკინძები, რომელთაც ზურგზე ჯვარი აქვთ გამოხატული. მსგავსი ძეგლები დადასტურებულია აღმოსავლეთ საქართველოს სხვა სინქრონულ სამაროვნებზეც.

ახალი აღთქმის სამების გამოსახულებები გვიანი შუა საუკუნეების ქართულ საეკლესიო მხატვრობაში

ნინო ჩიხლაძე

შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი
თბილისი, საქართველო

XVI-XVII საუკუნეებში მართლმადიდებელი ქვეყნების ეკლესიათა მოხატულობებისა თუ ხატების იკონოგრაფია მნიშვნელოვან ცვლილებას განიცდის. ფართოდ ვრცელდება საღვთისმეტყველო-დიდაქტიკური შინაარსის სიმბოლური გამოსახულებები, რომელთა მიმართ უმაღლეს საეკლესიო წრეებში ხშირად არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობდა. "სამების" იკონოგრაფიული კომპოზიცია, რომელზეც სამი ჰიპოსტასი განსხვავებული სახითაა მოწოდებული, ამგვარ გამოსახულებათა შორის მოიხსენიება.

"სამების" ტრადიციული სიმბოლური კომპოზიცია, რომელსაც "აბრაამის სტუმართმოყვარეობასაც" უწოდებენ, იკონოგრაფიული ვარიაციების მიუხედავად საუკუნეების განმავლობაში სამი ანგელოზით გამოიხატებოდა. XIV საუკუნიდან კი მის პარალელურად ჩნდება "მამობის" სახელით ცნობილი "სამების" გამოსახულება, რომელზეც მამა ღმერთი - "ძველი დღეთაჲს", ძე ღმერთი - ქრისტე ევმანოელის, ხოლო სულიწმიდა - მტრედის სახითაა წარმოდგენილი. XV საუკუნიდან ვრცელდება "სამების" კიდევ ერთი იკონოგრაფიული კომპოზიცია - "ახალი აღთქმის სამება", სადაც სულიწმიდა მტრედის სახით თანამოსაყდრე მამასა და ძეს შორის არის გამოსახული.

რთული და წინააღმდეგობრივი ხასიათის ეს გამოსახულებები, საეკლესიო კრებების გარკვეული შეზღუდვების მიუხედავად, XVI საუკუნიდან ფართოდ გავრცელდა ბალკანეთის ქვეყნებსა და განსაკუთრებით რუსეთში, სადაც ორივე ტიპის "სამება" მრავლად გვხვდება როგორც კედლის მხატვრობაში (განსაკუთრებით გუმბათებისა და კამარების მოხატულობებში), ისე ხატწერაში.

საქართველოში სამების ორივე იკონოგრაფიული ვარიანტი კიდევ უფრო გვიან, XVII საუკუნიდან ჩნდება. შემორჩენილი მაგალითების საფუძველზე სავარაუდოა, რომ აღნიშნული კომპოზიციები აქ ნაკლებადაა გავრცელებული, ვიდრე ბალკანეთის ქვეყნებსა და რუსეთში. კედლის მხატვრობის (ერკეთისა და შემოქმედის დარბაზული ეკლესიების კამარებზე "მამობა", XVII ს., კორცხელის ეკლესიაში "ახალი აღთქმის სამება", XVII ს.), ხატწერის (ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიის ხატი "მამობის" გამოსახულებით, XVII ს.) და ჭედურობის (საპატრიარქოს "ვედრების" ხატი საუფლო დღესასწაულების, მოციქულებისა და "მამობის" გამოსახულებით 1714 წლისა) მხატვრულად საინტერესო, მაღალოსტატური ნიმუშები მრავალმხრივ საყურადღებო იკონოგრაფიულ თავისებურებებს წარმოაჩენს.

ნაციონალიზმი და რელიგია: ქართული მაგალითი

მარიამ ჩხარტიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

სამეცნიერო ლიტერატურაში ნაციონალიზმის საყოველთაოდ გაზიარებული დეფინიცია არ არსებობს. ამ მიზეზით ნაციონალიზმისა და რელიგიის კორელაციის პრობლემის ანალიზის დაწყებამდე მართებულია ვაჩვენოთ თუ როგორ გვესმის ეს ტერმინი.

ნაციონალიზმი უკავშირდება ეთნიკურ ჩვენ-ჯგუფს. ამ ტიპის ჩვენ-ჯგუფის წევრთა მიერ ერთიანობის განცდა ეფუძნება საერთო წარმომავლობის იდეას. ნაციონალიზმი ამ შიგა სოლიდარობის იდეოლოგიაა. იგი ჩნდება ეთნიკური ერთეულის მიერ თავისი არსებობის გაცნობიერებისთანავე. ნაციონალიზმი ხელს უწყობს ერთობას და ინახავს ჯგუფის კულტურას. აღნიშნული სოციალური ფუნქცია უნივერსალურია. იგი ნაციონალიზმს ახასიათებს ყველგან და ყოველ დროში. ნაციონალიზმი რელიგიური გვარის ფენომენია. რელიგიური მატრიცის კვალი ეტყობა თანამედროვე ნაციონალურ კონცეფციებსაც კი. მეცნიერს არ შეუძლია თქვას კარგია თუ ცუდი ნაციონალიზმი; მეცნიერული თვალთახედვით ესაა ობიექტური მოცემულობა, რომლის შესახებ უნდა გვახსოვდეს სოციოლოგიური გამოკვლევების დროს.

მოხსენებაში განხილულია ნაციონალიზმის და რელიგიის კორელაციის ისტორია ქართულ საზოგადოებაში. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შემდეგ თემებს: (1) ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად მიღება; საზოგადოებრივ ცნობიერებაში ნაციონალურის, უნიკალურის და კოსმოპოლიტურის, უნივერსალურის შერწყმის პროცესი; ადრექრისტიანული ქართული მესიანიზმი როგორც ამ პროცესის გამოვლენა. (2) ახალი დროის მოთხოვნების შესატყვისი ქართული ნაციონალური კონცეფციის ფორმირება: ნაციონალიზმი როგორც რელიგია. (3) ქართული საზოგადოება როგორც მრავალეროვანი და რელიგიურად არაერთგვაროვანი ჩვენ-ჯგუფის - საბჭოთა ხალხის – ნაწილი, ინტერნაციონალიზმი ნაციონალიზმის ნაცვლად, ათეიზმი – რელიგიის მაგიერ. (4) საქართველოში დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრების და ღია საზოგადოების მშენებლობის პროცესის პარალელურად ეროვნული დამოუკიდებლობის და პოლიტიკური პლურალიზმის პირობებში ქართული ნაციონალიზმის და ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის აღორძინება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული მართლმადიდებლური პრესის ისტორიიდან

ცაცა ჩხარტიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

საეკლესიო ჟურნალი „მწყემსი" გამოდიოდა 1883-1910 წლებში. ჟურნალის გამომცემელი და რედაქტორი იყო დეკანოზი დავით ღამბაშიძე. ამ პიროვნების შესახებ ძალზე მწირი ცნობები გვაქვს შემორჩენილი. ვიცით მხოლოდ ის, რომ იგი საქართველოში განისვენებს, მისი მემკვიდრეები კი მოღვაწეობდნენ საზღვარგარეთ.

აღსანიშნავია, რომ მაშინ, როდესაც საქართველოში პერიოდული გამოცემათა რიცხვი დიდი არ იყო, მათ შორის ორი სასულიერო დანიშნულებისაა. ესენია: „საქართველოს სასულიერო მახარობელი" და „მწყემსი". პარალერულად გამოდიოდა რუსული ჟურნალი „Пастырь". „მწყემსი" გამოდიოდა თვეში ორჯერ.

რედაქციას ჰქონდა კანტორები დასავლეთ საქართველოშიც.

ჟურნალის მიზანი იყო: უმაღლეს სასულიერო ხელისუფალთა ყველა განკარგულება და მოქმედება შეეტყობინებინა საზოგადოებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალის ძირითად დანიშნულებას სასულიერო ცხოვრების გაშუქება წარმოადგენდა, იგი ყურადღების გარეშე არ ტოვებდა არცერთ მნიშვნელოვან მოვლენას. „მწყემსს" რუბრიკების საკმაოდ ფართო სპექტრი ჰქონდა, ამასთან ჟურნალის თითქმის ყველა ნომერი განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან რუბრიკების მიხედვით.

„საქართველოს სასულიერო მახარობელი" - ეს ჟურნალი გამოდიოდა 1864-68 წწ. ყოველთვიურად თბილისში. რედაქტორ-გამომცემელი იყო მღვდელი გიორგი ხელაძე. ეს იყო პირველი ქართული სპეციალური საღვთისმეტყველო საეკლესიო ჟურნალი.

როგორც ორივე პერიოდული გამოცემის ანალიზი ცხადყოფს, XIX ს. ქართული მართლმადიდებლური პრესის პრინციპი საზოგადოებაში მაღალი ზნეობის დანერგვა და ეროვნული სულისკვეთების გაღვივება იყო.

ქრისტიანობა და მეფობა: კავშირი წმინდასთან

ბრანისლავ ცვეტკოვიჩი

იაგოდინას სამხარეო მუზეუმი
იაგოდინა, იუგოსლავია

კარგადაა ცნობილი, რომ ადრეული ქრისტიანული ხელოვნება დაეფუძნა ელინისტურ ანთროპომორფიზმს და რომაულ ტრიუმფალურ მოდელებს, რომ ახლად შექმნილი სახეები სახარებით დანახული გამოცხადებისეული კონცეფციით იყო განმსჭვალული. მოგვიანებით, საკუთარი სტილისა და იკონოგრაფიის განვითარებით ქრისტიანული ხელოვნება გახდა სამეფო კარის თუ ეკლესიის მიერ სხვადასხვა პერიოდში დანერგილი მთელი რიგი იმპერიული თუ საღვთო პრაქტიკის პირდაპირი ამსახველი. ამავე დროს, მხატვრები ესწრაფვოდნენ დაუფლებოდნენ ბერძნულ-რომაული და სპარსული მემკვიდრეობის მრავალ ფორმისეულ გადაწყვეტას. შესაბამისად ახლო აღმოსავლეთის და ევროპის წინარე პერიოდის ხელოვნების ტრადიციებმა

დიდი წვლილი შეიტანეს ქრისტიანული ტრიუმფალური იკონოგრაფიის და განსაკუთრებით მისი პოლიტიკური შემგუებლობის უნარის ჩამოყალიბებაში ორი უკანასკნელი ათასწლეულის განმავლობაში.

ის რაც ქრისტიანობის კავშირს მეფობასთან ასე შთამბეჭდავს ქმნის, არის შუასაუკუნეობრივი იდეოლოგიის კონცეპტუალური გასაღები: შედარება მიწიერი და ზეციური მეუფების, უკანასკნელის პირველის ავთენტურ ასახვად მოაზრება ქრისტიანობის მთელი ისტორიის მანძილზე. სამეფო იკონოგრაფია ღმერთის მიწიერი სამეფოს გამოვლენად რჩებოდა. სიმბოლური ჟესტების წარმოშობა არასდროს წარმოადგენდა საიდუმლოს: იგი მომდინარეობს ეგვიპტური, ბაბილონური, სასანური, რომაული ხეში ნაკვეთი რელიეფების და ფრესკების ძველი სახეებიდან. მეფეთა გამოსახულებებში მთავარი იყო ქრისტეს ჟესტები, როგორც სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის ალუზია, როგორც მიმანიშნებელი ცხებულობაზე. გვირგვინკურთხევის სცენები იყო საგანგებო ფორმულები რათა წარმოჩენილიყო მართვის საღვთო უფლება და მმართველის მესიანიზმი. მეფეთა გამოსახულებები იყო არა მხოლოდ ცალკეული მმართველთა, როგორც პიროვნებათა სახეები, არამედ ბევრად ამაზე მეტი. ფაქტობრივ ეს სახეები გამიზნული იყო აღქმულიყო როგორც საზოგადო სამართლიანობის და კანონიერების ხატი.

მოხსენებაში მიმოხილულია მეფეთა გამოსახვის სპეციფიკური საშუალებანი. ბალკანეთის შუასაუკუნეობრივ ხელოვნებაში ხაზგასმულია ღვთაებრივი ძალის ავტორიტეტის მანიფესტაცია რჩეულ სამეფო პერსონათა მიმართ. გამოსახვის ერთ და იმავე საშუალებებს ვაწყდებით როგორც რელიგიურ, ისე პორტრეტულ სცენებში, რაც დამამტკიცებელია, რომ ხატოვანი ენა ერთი და იგივე იყო როგორც საკრალურის, ისე პროფანულისათვის. ის რაც ღვთაებრივზე მიუთითებდა, ზუსტად იგივე აღნიშნავდა მეფურს. შუასაუკუნეობრივ ბალკანურ ხელოვნებაში არის სიმბოლური ჟესტების და ფორმისეული გადაწყვეტის არატრადიციული გამოყენების შემთხვევები, რომლებიც სპეციფიკურ მიზეზთა გამო, შეუძლებელია გვხვდებოდეს ბიზანტიის ოფიციალურ ხელოვნებაში. დეტალური ანალიზი ადასტურებს არა მარტო ჟესტების ცნობილი რეპერტუარის, არამედ ზუსტად განსაზღვრული კომპოზიციური ტიპების გამოყენებასაც. შერჩეული მაგალითების ორიგინალურობა და უნიკალურობა ამტკიცებს მეფეთა გამოსახულებების იდეების და ინფორმაციის მნიშვნელოვნებას. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ის გადაწყვეტანი, რომლებიც ეხება წმინდასთან კავშირის სხვადასხვა ფორმას (ასეთია, მაგალითად, წმ. თომას ხატი ბასილისა მარია ანგელინას პორტრეტით), და მაგიურ ინტერვენციაზე მიმანიშნებელი წმინდა ჟესტების (ასეთია, მაგალითად, წმინდა ექიმთა ფიგურები სტუდენიცას სამეფო ეკლესიაში) და შარავანდისა და ცის სეგმენტების გამოყენების მრავალი შემთხვევა (ამის მაგალითია ლეზნოვო, ბაჩკოვო, არილიე, სოფოცანი, პრილეპი, რავენიცა, ლიუბოსტინია, დეჩანი, რუდენიცა). ამგვარად გარკვეულ ისტორიულ და იდეოლოგიურ კონცეფციებს ენიჭება საგანგებო მნიშვნელობა, წერილობით წყაროებში აღმოჩენილი არა ერთი ფაქტი კი სხვაგვარად ადასტურებს მას. თუმც ცალკეული მონაცემების განმარტება მხატვართა ნამდვილი მიზნების წარმოჩენისას შეიძლება იწვევდეს ეჭვს, გაანალიზებული ყველა მაგალითი თითოეული თავისებურად ასაჩინოებს ქრისტიანობასა და მეფობას შორის უწყვეტი კავშირის ზეციურ ხასიათს.

ქეთევან დედოფალი და ქრისტიანული კულტურა

მარინე ცინცაბაძე

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის დიდმოწამის, ქეთევან დედოფლის ეროვნულ-სარწმუნოებრივ ღვაწლსა და ისტორიულ მისიას განვიხილავთ ქრისტიანული კულტურის განვითარების პროცესში.

XVII ს. დასაწყისის ქართული სახელმწიფოებრიობის ყველა კარდინალური საკითხი ქეთევან დედოფლის გარშემო ტრიალებს, რომელსაც გარდა რელიგიური მხარისა, დიდი დატვირთვა ეძლევა იმ ეპოქის საგარეო ურთიერთობის შინაგანი კონფლიქტების გარკვევაში. XVII, XVIII და XIX ს. I ნახევრის ქართული ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრში მოვიძიეთ 17 ქართველი ავტორის 22 თხზულება, სადაც აღიბეჭდა ქეთევან დედოფლის სახელი.

ქეთევან დედოფლის მორალურ–ზნეობრივმა ღვაწლმა გადალახა ეროვნული საზღვრები და იგი ზოგადქრისტიანულ მოვლენად აღიქმებოდა. დედოფლის ღვაწლის წარმოჩენამ ქართულ, დასავლურ ევროპულ, რუსულ, სომხურ მწერლობასა და ხელოვნების დარგებში, კერძოდ, დრამატურგიაში, მუსიკალურ-დრამატულ თხზულებაში, გრავიურასა და მინიატურაში, მონუმენტურ მხატვრობასა და ხატწერაში წარმოგვიდგინა უნიკალური შემთხვევა ქრისტიანული კულტურის ისტორიაში, რომელიც ერგო ქართველ დედოფალს. მას, როგორც ისტორიულ მოღვაწესა და წმინდანს, მიეძღვნა ქრისტიანი ხალხების სხვადასხვა ენაზე ამაღლებული თქმებით აღსავსე სტრიქონები და ხელოვნების ნიმუშები, რომლებიც ჰუმანური იდეალების და ეროვნებათაშორისო ურთიერთობის შესაძლებლობის პერსპექტივას ემსახურება.

საქართველოს საეგზარქოსოს სამისიონერო საქმიანობა აფხაზეთში

ვლადიმერ წვერავა

აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

XIX საუკუნის 50-60-იან წლებში რუსეთის ცარიზმმა დაამთავრა კავკასიის იარაღით დაპყრობა და მის წინაშე ახლადდამორჩილებული ხალხების ასიმილაციის საკითხი დადგა. ამან განსაზღვრა კავკასიაში ცარიზმის ამოცანები ქრისტიანულ-მისიონერული საქმიანობის დარგში. 1860 წელს მეფისნაცვალ ა. ბარიატინსკის ინიციატივით შექმნილ "კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოებას" თავისი ერთ-ერთი განყოფილება ჰქონდა აფხაზეთშიც.

აფხაზეთის ეკლესია ამ პერიოდში ექვემდებარებოდა იმერეთის ეპარქიას, რომელსაც სათავეში ედგა გამოჩენილი მღვდელმთავარი გაბრიელ ეპისკოპოსი. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის აფხაზეთში ქრისტიანული სამისიონერო მოღვაწეობის ფართოდ გაშლის საქმეში, რომელშიაც აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველი სასულიერო პირები. XIX ს. 80-იან წლებში (1877-1878 წლების ომში გამარჯვების შემდეგ) რუსეთის ცარიზმმა რადიკალურად შეცვალა აფხაზეთში თავისი საეკლესიო პოლიტიკა. პირველ რიგში ეს გამოიხატა იმაში, რომ აფხაზეთის ეკლესია ცალკე ეპარქიად გამოყვეს, რომელსაც სათავეში რუსი ეპისკოპოსი ჩაუყენეს, ქართველები რუსი მისიონერებით შეცვალეს.

რუსეთის ცარიზმი კიდევ უფრო შორს წავიდა. შეეცადა ქართველი და აფხაზი მოსახლეობის დაპირისპირების მიზნით აფხაზეთის ეპარქია ყუბანის ეპარქიისათვის დაექვემდებარებინა და ამით აფხაზეთი საქართველოსაგან ეკლესიურადაც ჩამოეშორებინა. ცარიზმის ეს მზაკვრული განზრახვა ქართველი და აფხაზი ინტელიგენციისა და სამღვდელოების ერთობლივი ძალისხმევით ჩაიშალა.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში ქართველი და აფხაზი ხალხების ურთიერთობაში უხეშად ერეოდა თავისი სამხედრო-სტრატეგიული და პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე მესამე ძალა, რასაც სავალალო შედეგები მოჰყვა. ქართველი და აფხაზი ხალხების ურთიერთობის მოწესრიგების დროს გამოყენებულ უნდა იქნეს ამ ხალხების თანამშრომლობის, მათ შორის, სასულიერო სფეროს მდიდარი ისტორიული გამოცდილება.

ხალხური ქრისტიანობა: ზამთრის ციკლის საახალწლო დღესასწაულები

ლალი ჭანჭალეიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

დასავლეთ საქართველოში ზამთრის ციკლის საახალწლო დღესასწაულების (ბარბალობა, შობა, ახალი წელი, ნათლიღება) გამოკვლევისას ნათლად ჩანს, რომ ადგილობრივ ნიადაგზე არსებული წეს-ჩვეულებები შერწყმულია ქრისტიანულ ოფიციალურ კულტთან, მაგრამ ისინი გახალხურებულია.

დღესასწაულ ბარბალობაში ღვთაება ბარბალეს მიაწერდნენ მაგიურ ძალას და იგი მიჩნეული იყო როგორც ადამიანის, ასევე შინაური ფრინველისა და საქონლის მფარველად. სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული აზრით, ბარბალობა არის ძველი ქართული ახალწელიწადი და კალენდარული წლის დასაწყისი უძველესი დღეობა. მზე-ბარბალეს კულტი შეერწყა ქრისტიანულ წმ. ბარბალეს კულტს.

ქართველი ხალხის ცხოვრებაში უდიდესი ადგილი უჭირავს ქრისტეშობის დღესასწაულს, რომელიც ასევე გახალხურებულია მასში არსებული წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების მიხედვით („ალილოზე" სიარული, საშობაო ღვეზელები და სხვა).

ქართულ საახალწლო ტაბლაზე მდებარე „ბასილას" ქანდაკება, სამეცნიერო ლიტერატურაში, წინაქრისტიანულ რელიგიაში მზის ღვთაების ქანდაკებად არის მიჩნეული. ბასილას სახელს ხალხი უდიდეს ქრისტიანულ მოღვაწეს ბასილ დიდს უკავშირებს.

საახალწლო დღესასწაულის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი „ჩიჩილაკი", რომლის ეთნოგრაფიული გავრცელება დასავლეთ საქართველოს არ სცილდება, თავისი გრძელი წვერებით სიუხვისა და ბარაქის გამომხატველია და მზის ღვთაების სიმბოლოდ არის მიჩნეული. გურიაში მას „ბასილას წვერებით" მოიხსენიებენ.

საახალწლო ტაბლაზე წარმოდგენილი ღორის თავი, რომელიც თავისი სიმბოლური მნიშვნელობით ნაყოფიერება-გამრავლების გამომხატველია, არის ნაყოფიერების ღვთაება ბასილის ანუ მზის ღვთაების ზვარაკი. ღორი ასევე დაკავშირებულია მევენახეობა-მეღვინეობის მფარველ ღვთაება „აგუნასთან".

ახალი წლის დღესასწაულში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სახლის მეკვლე ოჯახის კერასთან დაკავშირებული რიტუალებით. მეკვლე აუცილებლად მამაკაცი ან პატარა ბიჭი უნდა იყოს. მეკვლე არის დამაკავშირებელი ზეციურ და მიწიერ სამყაროს შორის. იგი ასოცირდება ქრისტე ღმერთთან.

წმინდა წყლის სიმბოლიკა ფართოდაა ასახული ზამთრის ციკლის ყველა დღესასწაულში. წმინდა წყალი იგივე ნაკურთხი წყალია. წმინდა წყლით მეკვლეს მიერ ოჯახის კურთხევა, ნათლიღებას კი ნაკურთხი წყლით მრევლის, შემდეგ კი მათ მიერ თავიანთი ოჯახების ნაკურთხი წყლით კურთხევა ერთმანეთთან უდიდეს კავშირშია და კიდევ ერთხელ მიანიშნებს წინაქრისტიანულისა და ქრისტიანული წეს-ჩვეულებების შერწყმაზე.

დასავლეთ საქართველოში ზამთრის ციკლის საახალწლო დღესასწაულების წეს-ჩვეულებები და რიტუალები ეხმაურება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ამავე დღესასწაულებთან დაკავშირებით არსებულ წეს-ჩვეულებებს და მრავალფეროვანი მასალებით საშუალებას იძლევა წარმოდგენა ვიქონიოთ ზოგად ქართულ ფენომენზე.

სხალთის ეკლესიის მოხატულობა

მაია ჭიჭილეიშვილი

ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

ქართული ხატები სინას მთაზე

ნინო ჭიჭინაძე

გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი
თბილისი, საქართველო

ქრისტიანული სულიერების ერთ-ერთ უმთავრესსა და უძველეს სავანეში, სინის მთის წმინდა ეკატერინეს მონასტერში, სადაც ქრისტიანული ხელოვნების უმდიდრესი საგანძურია დავანებული, განსაკუთრებული ადგილი უკავია ქართული ხატწერის ნაწარმოებებს. სხვადასხვა დროსა და ადგილას შექმნილი ეს წმინდა ხატები ერთმანეთისაგან განსხვავდება თავისი ფორმით, შინაარსით, მხატვრული სტრუქტურითა და დანიშნულებით. თითოეული მათგანი თავისებურად ასახავს უფლის დიდებასა და ბრწყინვალებას.

სინის მთის ქართული ფერწერული ხატები კომპოზიციური სრულყოფილებით, მხატვრული ოსტატობით, შინაარსის შემოქმედებითი ინტერპრეტაციითა და დახვეწილი ესთეტიკურ-თეოლოგიური აზროვნებით ხასიათდება. მათ შორის ყველაზე ადრეული ხუცეს მონაზონის იოანე თოხაბის მიერ დაწერილი ექვსი ხატი (ოთხი მათგანი ლიტურგიკული ხატი – კალენდრებია, დანარჩენ ორ ხატზე შესაბამისად განკითხვის დღე და ახალი აღთქმის სცენები – მაცხოვრის სასწაულები და ვნებებია გამოსახული) XI ს. დასასრულითა და XII ს.

დასაწყისით თარიღდება. წმ. გიორგის ორი ხატი, რომელთაგან ერთზე ქართველი მეფე, ხოლო მეორეზე იოანე ხუცეს მონაზონია გამოსახული, XIII ს. დასაწყისითაა განსაზღვრული. ვედრებისა და წმინდანთა სახეებიანი ხატები XIV საუკუნეშია შესრულებული. ამ ხატების მიერ ჩვენამდე მოტანილი მხატვრული, წყაროთმცოდნეობითი თუ სულიერი ინფორმაცია ქრისტიანული მართლმადიდებლური აღმსარებლობის მრავალ ასპექტს მოიცავს.

ეს სახეები, მათი მხატვრულ-კომპოზიციური თავისებურებები ნათელს ჰფენს ხატწერისა, და უფრო ფართოდ, მართლმადიდებლური ხელოვნების ისტორიის მრავალ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიცაა ხატმწერთა და კტიტორთა ვინაობა, ლიტურგიისა და იკონოგრაფიის ურთიერთკავშირები, ნიმუშისა და დამკვეთის როლი ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნაში და სხვა.

მოხსენებაში გამოთქმულია ახალი მოსაზრებანი ხატების შექმნის ადგილის, დროისა და თავდაპირველი კომპოზიციის შესახებ.

განხილული წმინდა სახეები წმ. ეკატერინეს მონასტრიდან თავისი დროის მოწინავე მხატვრულ და სულიერ ტენდენციებს ასახავს. ისინი წარმოადგენს იმის მჭევრმეტყველ საბუთებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო შუა საუკუნეების საქართველოს წვლილი აღმოსავლურ ქრისტიანულ კულტურაში. ამასთანავე, ისინი ახალი მონაცემებით ამდიდრებს არა მხოლოდ სინის ქართული კოლონიის, არამედ ამ სახელგანთქმული მონასტრის ისტორიას.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების საეკლესიო პოლიტიკა და კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდე

დოდო ჭუმბურიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

მარიამ დედოფალი და ქართული ეკლესია

ნანა ხაზარაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ჰაგიოგრაფიული ციკლები

რამაზ ხალვაში

შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო

ანტიკური ხანის ხუროთმოძღვრული თემის რემინისცენციები შუა საუკუნეში

კახა ხიმშიაშვილი

გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

უძველესი მონასტრები საქართველოში

დავით ხოშტარია

გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

ოთხმოციოდე წლის წინ კ. კეკელიძე წერდა: "არავითარი საბუთი იმისა, რომ ჩვენში ეგრეთ წოდებულ ათცამეტ ასურელ მამათა მოსვლამდე მონასტრები, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ყოფილიყო, არ არსებობს. პირველი მონასტრები ჩვენში დააარსეს ასურელმა მამებმა". უკანასკნელი ათწლეულების გამოკვლევებმა გამოავლინა რამდენიმე საბუთი, რომლებიც გვაფიქრებინებს, რომ პირველი მონასტრები საქართველოში აღმოცენდა ასურელი მამების მოსვლამდე სულ ცოტა ერთი საუკუნით ადრე.

1980 წელს წილკნის მახლობლად გათხრილ აკლდამაში აღმოჩნდა დაზიანებული ბერძნული წარწერა. თ. ყაუხჩიშვილის წაკითხვით, მასში ნახსენებია ბერი (ἡσυχαστης) ფარანუსესი, ალბათ ადგილობრივი მონასტრის წინამძღვარი (ἀββα). წარწერა, რომელიც IV-V საუკუნეებით თარიღდება, მოწმობს წილკანში მონასტრის არსებობას უკვე ადრექრისტიანულ ხანაში. როდესაც VI საუკუნის შუახანებში იოანე ზედაზნელის ერთ-ერთი მოწაფე ისე ეპისკოპოსის ხარისხში წილკანში დამკვიდრდა, როგორც ჩანს, იქ მას ეს მონასტერი დახვდა. ყოველ შემთხვევაში საგულისხმოა, რომ თვით ისეს, სხვა ასურელი მამებისაგან განსხვავებით, მონასტერი არ დაუარსებია.

VI საუკუნის სირიული დოკუმენტი – ბეით მარ ისააკ გაბულელის მონასტრის წინამძღვარ თომას ეპისტოლე გვიჩვენებს, რომ VI საუკუნის I ნახევარში საქართველოში ფუნქციონირებდა ტანას მონასტერი, რომელსაც გ. აბრამიშვილი დამაჯერებლად აიგივებს ატენთან. თუ სიონის ტაძრის გათხრებისას მოპოვებულ არქეოლოგიურ მონაცემებსაც გავითვალისწინებთ, მონასტრის დაარსება V საუკუნის შუახანებს შეიძლება მივაკუთვნოთ.

V საუკუნის II ნახევარში ჩანს დაარსებული ოპიზის მონასტერი. "ვახტანგ გორგასლის ცხოვრების" მიხედვით, ის ააშენა ვახტანგის ძუძუმტემ არტავაზმა. ეს მატიანე მრავალ ლეგენდურ ეპიზოდს შეიცავს და მთლიანად არცთუ სანდო ისტორიული წყაროა, მაგრამ აღნიშნული ცნობის კონტექსტი (ვახტანგ მეფის აღმშენებლობა კლარჯეთში) სავსებით რეალურია და ცნობის სისწორეში ეჭვის შესატანად საფუძველი არ გაგვაჩნია. ოპიზის მონასტრის დაარსებას ადრეულ ხანაში ირიბად ადასტურებს "წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაც".

ამ მონაცემებით, ვფიქრობ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში V საუკუნიდან უკვე არსებობდა რამდენიმე მონასტერი. მათი დაარსების ინიციატორები, ალბათ, უპირატესად ქართლის ეკლესიის ბერძენი მღვდელთმთავრები იყვნენ და თვით მონასტრებიც ბერძნული ტიპისა იყო (ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია, რომ, მატიანეს თანახმად, ვახტანგ მეფემ საგანგებოდ მიუთითა არტავაზს ოპიზისათვის ნიმუშად აეღო "მონასტერნი საბერძნეთისანი"). მოგვიანებით, VI საუკუნის შუახანებიდან, საქართველოში ასურელი მამების დამკვიდრებამ ბიძგი მისცა მეუდაბნოეობის პრაქტიკის ფართოდ გაშლას და მრავალრიცხოვან ახალ სავანეთა აღმოცენებას.

ცოდვა-მადლზე წარმოდგენა შუა საუკუნეების საქართველოში

ედიშერ ხოშტარია-ბროსე

კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

ქართული ისტორიული საბუთები ძვირფასი წყაროა არა მხოლოდ ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური და სამართლებრივი ისტორიის შესასწავლად, არამედ შუა საუკუნეების საქართველოში ადამიანის მსოფლმხედველობრივი, ყოფითი თუ ეთიკური შეხედულებების წარმოსადგენადაც.

ამის ნათელი მაგალითია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ძველი საბუთების ფონდში დაცული 1701 წლის ნასყიდობის წიგნი, მიცემული იესე დეკანოზიშვილის მიერ ელიზბარ დავითიშვილის ქალისათვის, ბატონ ანასათვის (Qd 1799).

საბუთიდან ვიგებთ, რომ მისი გამცემი ყიდის მის მიერვე შეძენილი მიწის ნაკვეთს უკიდურესი გაჭირვების გამო, "დიდსა შიმშილობაში", რაც თავისთავად ნიშანდობლივი ფაქტია ქვეყნის მდგომარეობის გასათვალისწინებლად. იმის აღნიშვნის შემდეგ, რომ მყიდველისაგან მიიღო სრული ფასი ("რითაც ჩვენი გული შეგვჯერდებოდა"), საბუთის "კრულობით" (წყევლის) ნაწილში, ტრაფარეტული გამოთქმის ("ვინცა და რამანც ჩემა გვარმა და ნათესავმა, დიდმა ანუ მცირემა ამისად შლად და ქცევად ხელყოს, მასამც რისხავს ღმერთი და ყოველნი მისნი წმინდანი...") შემდეგ, იგი განაგრძობს: "და ნურათამც სინანულით ნუ იქნების ხსნა სულისა მისისა, ნუ წირვითა და ლოცვითა, ნუ საყდრისა და ხიდის შენებითა, ნუცა ტყვის ხსნითა და ელუსალემს წასვლითა, და მაზედამც მოიქცევა წყევა შვიდის კრებისა..."

როგორც ვხედავთ, საბუთის თანახმად, მიწის "ნასყიდის" დარღვევა დიდ ცოდვად ითვლებოდა, რაც შუა საუკუნეების საქართველოში ამ ინსტიტუტის მნიშვნელობაზე მეტყველებს. გარდა ამისა, აქედანვე ვიგებთ თუ ჩადენილი ცოდვის მონანიების რა გზები არსებობდა შუა საუკუნეების საქართველოში. პირველ რიგში, ეს ყოფილა *წირვა და ლოცვა*, შემდგომ *საყდრისა და ხიდის შენება*. მეტად ნიშანდობლივია, რომ ხიდის აშენება ეკლესიის აშენებასთან ერთად არის მოხსენიებული. ეს მოწმობს, რომ ზრუნვა გზებსა და საგზაო ნაგებობებზე, ე. ი. ქვეყნის სამეურნეო კეთილდღეობაზე დიდ მადლად, "ქველ საქმედ" განიხილებოდა, ფაქტობრივად ეკლესიის აშენების ტოლფასად. ამის შემდეგ ნახსენებია *ტყვის დახსნა*, რაც აგრეთვე

არსებითი გარემოება იყო გაუთავებელი ომიანობითა და ტყვის სყიდვის სენით განადგურებულ ქვეყანაში. დასასრულს ნათქვამია ცოდვის მოსანანიებლად *იერუსალიმს მოსალოცად წასვლის* თაობაზეც. ჩანს, ეს იყო ყველაზე ეფექტური საშუალებანი ცოდვის გამოსასყიდად, მაგრამ დოკუმენტის გამცემის თვალსაზრისით, ისინიც კი ვერ იხსნიდნენ დამნაშავეს ღვთის სასჯელისაგან "ნასყიდობის" დარღვევის შემთხვევაში.

სამონასტრო მიწათმფლობელობის დიფერენციაციის საკითხი საქართველოში

ნიკო ხუციშვილი

კორნელი კეკლიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

იერუსალიმის ჯვრის მონასტერი გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში (როგორც საისტორიო წყაროები გვიჩვენებს, დაახლოებით XVI საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან) მნიშვნელოვანი რაოდენობის უძრავ-მოძრავ ქონებას ფლობდა. ასეთი განვითარებული საეკლესიო მიწათმფლობელობის ჩამოყალიბება არაა შემთხვევითი. მისი საფუძველი იყო იერუსალიმის ქართული კოლონიის ორგანული კავშირი ქართულ სახელმწიფო და საეკლესიო პოლიტიკასთან.

ქართულ საისტორიო საბუთებში იერუსალიმისადმი შეწირული ქონების აღრესატად, იშვიათი გამონაკლისის გარდა, დასახელებულია ჯვრის მონასტერი, გოლგოთა და ქრისტეს საფლავი. გარდა ამისა, გვხვდება ზოგადი ტერმინიც: "იერუსალიმისა". იერუსალიმის ჯვრის მონასტერი XI-XVII საუკუნეებში იყო იერუსალიმის ქართული კოლონიის ცენტრი, ხოლო გოლგოთისა და ქრისტეს საფლავის სახელით მოქმედებდა იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო. გამომდინარე თვით ამ საბუთების შინაარსიდან და იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიის ამსახველი სხვა მასალებიდან (იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპები და სხვ.), ვასკვნით, რომ საქმე გვაქვს ერთ სამონასტრო მიწათმფლობელობასთან, რომელიც, გარკვეული ისტორიული ვითარების გამო, სხვადასხვანაირად იწოდებოდა.

შეწირულების აღრესატის ასეთი ფორმულირება იწვევს, აგრეთვე, ერთგვარ გაუგებრობას, რაც დაკავშირებულია საკუთრების დიფერენციაციის საკითხთან. კერძოდ, ნათელი არ არის ვინ იგულისხმება საქართველოში იერუსალიმისადმი შეწირული ქონების მფლობელად: იერუსალიმის ქართული კოლონია თუ იერუსალიმის საპატრიარქო, რომელიც XVI საუკუნიდან მხოლოდ ბერძენი სასულიერო პირებისაგან შედგებოდა. გასათვალისწინებელია იერუსალიმის პატრიარქების, განსაკუთრებით თეოფანე IV-ის (1608-1644) პირადი წვლილი საქართველოში იერუსალიმის სამონასტრო მიწათმფლობელობის ჩამოყალიბებაში.

საისტორიო წყაროები გვიჩვენებს, რომ საქართველოში იერუსალიმის სამონასტრო მიწათმფლობელობა ძირითადად ჩამოყალიბდა XVII საუკუნის 80-იან წლებამდე, როდესაც პალესტინის ქართული მონასტრები არ იყვნენ დამოკიდებულნი იერუსალიმის ბერძნულ საპატრიარქოზე. ყმა-მამულის მმართველებად კი XVIII საუკუნის დამდეგამდე ინიშნებოდნენ ქართველი ჯვარის მამები. ზემოაღნიშნული მიგვითითებს, რომ საქართველოში იერუსალიმის სამონასტრო მიწათმფლობელობის ჩამოყალიბებისას ქართული მხარე (ქართველი მეფე-მთავრები, იერუსალიმის ქართული კოლონია) წარმოდგენილი იყო როგორც შეწირული ქონების იურიდიული მესაკუთრე.

რელიგიური მნიშვნელობის მატერიალური ობიექტები როგორც ეროვნული იდენტობის ნიშნული

ქეთევან ხუციშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

ქართული სამონასტრო ცხოვრების ზოგიერთი თავისებურება

მანანა ჯავახიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

ქართულ სამონასტრო ცხოვრებას დიდი ხნის ისტორია აქვს. ჩვენში სამონასტრო ცხოვრება ასურეთის ზეგავლენით უნდა გავრცელებულიყო, კერძოდ, VI საუკუნეში ცამეტი ასურელი მამის მიერ საქართველოში ეკლესია-მონასტრების მშენებლობით. შემდგომში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს და, საერთოდ, ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთ საქრისტიანოს ბურჯად ქცევასთან დაკავშირებით, ქართული სამონასტრო ცხოვრება თითქმის იმეორებს ბიზანტიური სამონასტრო ცხოვრების სტილს, მის დიდ გავლენას განიცდის. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავად ქართული მონაზვნობის არსებობისა და განვითარების ფაქტი იმაზე მიგვანიშნებს, რომ იგი არ წარმოადგენს ბიზანტიური სამონასტრო ცხოვრების ზუსტ ასლს, მას თავისებურებანიც გააჩნია:

1. საქართველოში მონასტრები ძირითადად დასახლებული ადგილებისაგან მოშორებით, "უდაბურ" მხარეებში ვრცელდება. ქართული სამონასტრო ცხოვრება, დასავლეთ ევროპისა და ბიზანტიისაგან (კონსტანტინოპოლი) განსხვავებით, ქალაქებში ფეხს ვერ იკიდებს და მისი "მოწყვეტილობაც" ქართულ თავისებურებად მიგვაჩნია.
2. ქართული სამონასტრო წესდებები ბიზანტიურ ტიპიკონთა დიდ გავლენას განიცდიან, თუმცა თავისებურებითაც გამოირჩევიან:

♦ ჩვენამდე მოღწეულ ქართულ ტიპიკონებში გვხვდება მონასტერში არსებული ძმობის წევრთა სამ დასად დაყოფის ფაქტი. ანალოგიური რამ სხვა ქრისტიანული ქვეყნების მონასტრების წესდებებში არ დასტურდება.

♦ ქართულ ისტორიულ საბუთებში დასახელებულია ზოგიერთი თანამდებობა, (მაგ: "ბერი მესთულე", "ბერი მეღალე"), რაც მხოლოდ ქართულ სამონასტრო თანამდებობად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

ქრისტიანულ ღვთაებათა ლოკალური ვარიანტების ტრანსფორმაციული მოდელების ძიებისათვის

ნათია ჯალაბაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

ყოველი საზოგადო კულტურული ფენომენი კონკრეტულ ეთნიკურ გარემოში ამ გარემოსათვის ორგანულ ლოკალურ მახასიათებლებს იძენს. ლოკალური თავისებურებანი განსაზღვრავს სოციალურ-კულტურულ ფენომენთა ტრანსფორმაციის ხასიათს და სპეციფიკას.

ქრისტიანობას საქართველოში დამკვიდრებისა და განვითარების საკმაოდ რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე მრავალსაუკუნოვანი ისტორია გააჩნია. საქართველოს გეოგრაფიულმა თუ სოციალურ-კულტურულმა მოზაიკამ თავისებურად განაპირობა ქრისტიანობის ორიგინალური ხასიათი.

საქართველოს ბარის პოლიტიკური და ფსიქოლოგიური გარემო არ წარმოადგენდა შემაფერხებელ გარემოებას ქრისტიანული კულტურის განვითარებისათვის, მაშინ როდესაც მთის საზოგადოებრივი სტრუქტურა ახალი რელიგიისთვის გარკვეულ ბარიერს ქმნიდა. მთის გასაქრისტიანებლად ბრძოლა, რაშიც მოიაზრებოდა მისი დამოუკიდებლობის მოსპობა და კლასობრივი საზოგადოების უღელში შებმა, საუკუნეების მანძილზე მიმდინარეობდა.

მიუხედავად იმისა, რომ მთიელებმა ქრისტეს რჯული მიიღეს, ისინი ჭეშმარიტ ქრისტიანებად ვერ გარდაიქმნენ და ახალი იდეოლოგია ძველ სარწმუნოებასთან ერთად განაგრძობდა თანაარსებობას.

ქრისტიანულ ღვთაებათაგან მთის რეგიონში ყველაზე პოპულარულია წმინდა გიორგის, ღვთისმშობლის, მთავარანგელოზის და სამების კულტები. რელიგიური სინკრეტიზმის შედეგად ქრისტიანულ ღვთაებებს დაკარგული აქვთ თავიანთი კანონიკური ხასიათი და მათში წინაქრისტიანული ღვთაებების მახასიათებლები დომინირებს.

იკვეთება ქრისტიანულ ღვთაებათა ადგილობრივ ნიადაგზე ტრანსფორმაციის შემდეგი მიმართულებები:

1) იმიჯი; 2) ხასიათი; 3) ფუნქციები; 4) კულტმსახურება. თითოეული მიმართულება განისაზღვრება რეგიონის სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და ეთნოფსიქოლოგიური მახასიათებლებით და გამოავლენს ქრისტიანულ ღვთაებათა ტრანსფორმაციის სპეციფიკას აღმოსავლეთ საქართველოს მთაში.

საქართველოს ეკლესია და პოლიტიკური პარტიები XX საუკუნის პირველ ოცეულში

ოთარ ჯანელიძე

ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის დასავლურ ენათა და კულტურათა სახელმწიფო
უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

ქართველი ხალხის ცხოვრებაში მართლმადიდებელი ეკლესია ისტორიულად თვალსაჩინო როლს ასრულებდა, იგი სულიერად წინამძღვრობდა ერს.

ქვეყნის რუსეთის მპყრობელობაში ჩავარდნამ ქართულ ეკლესიასაც მძიმე მდგომარეობა შეუქმნა. ავტოკეფალიაწართმეული ივერიის ეკლესია სინოდის ტყვეობაში მოექცა. ღვთის სახლიდან განიდევნა ქარ-

თული წირვა-ლოცვა და გალობა. ეკლესია-მონასტრებს ჩამორთმეულ დიდძალ ქონებას ხაზინა დაეპატრონა, მოქმედ ტაძართა და ეპარქიათა რიცხვი მინიმუმამდე შემცირდა, რის შედეგადაც მრევლის გარკვეული ნაწილი მოწყდა დედაეკლესიას და ზურგი აქცია სარწმუნოებას.

პროგრესული ქართველი სამღვდელოება არასოდეს შერიგებია ეკლესიის ამგვარ ხვედრს. გაუქმებული ავტოკეფალიის აღდგენა მისი უმთავრესი საზრუნავი იყო, რასაც წინ ეღობებოდა იმპერიის როგორც სასულიერო, ისე საერო ხელისუფლება.

ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი იმთავითვე თანაუგრძნობდა და მხარში ედგა ქართველ სამღვდელოთა ბრძოლას ეკლესიის თვითმწყემსობის დასაბრუნებლად, რომელიც განსაკუთრებით გააქტიურდა რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში. ეს ბრძოლა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ორგანული ნაწილი იყო.

XX საუკუნის დამდეგიდან ეკლესიის პრობლემა საქართველოში აღმოცენებული პოლიტიკური პარტიებისა და მიმდინარეობების ყურადღების სფეროში მოექცა. პოლიტიკურ ორგანიზაციებს შორის არსებული იდეურ-მსოფლმხედველობრივი განსხვავება თავს იჩენდა ეკლესიასა და სარწმუნოებისადმი დამოკიდებულებაშიც. ათეისტურ პოზიციებზე მდგომ სოციალისტურ პარტიებს ნაკლებად აღელვებდათ ქართული ეკლესიის უნუგეშო მდგომარეობა. მათი მოთხოვნა სინდისის თავისუფლების, სახელმწიფოსაგან ეკლესიის, ხოლო ეკლესიიდან სკოლის გამოყოფით შემოიფარგლებოდა. გათვალისწინებული იყო საეკლესიო და სამონასტრო მიწების გამოუსყიდველად ჩამორთმევა.

ერთადერთი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც სისხლხორცეულად ინტერესდებოდა ქართული ეკლესიის ბედით იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამებში ხაზგასმული იყო თვითმწყემსობის განახლებისა და მცხეთა-ივერიის კათალიკოსობის აღდგენის, ეკლესიისათვის ჩამორთმეული ქონებისა თუ განძეულის დაბრუნების, სარწმუნოებრივ უფლებათა კონსტიტუციური დაცვისა და სხვ. მოთხოვნები. ეროვნულ-დემოკრატები არა მხოლოდ სიტყვიერად აღიარებდნენ ქართული ეკლესიის უფლებებს, არამედ პრაქტიკულად იღწვოდნენ ცხოვრებაში მათ დასამკვიდრებლად. ქართული ეკლესიის მესვეურნიც მხარში ედგნენ ეროვნულ-დემოკრატებს. ამ პარტიის ყრილობებს ივერიის ეკლესიის მეთაურები უხდიდნენ პარაკლისს. 1917 წლის მარტში ეკლესიისათვის ავტოკეფალიის დაბრუნებამ ხელი შეუწყო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას.

სოციალ-დემოკრატიული პარტია დაჟინებით მოითხოვდა და საქართველოს დამფუძნებელ კრებაში მიაღწია კიდეც საეკლესიო უქმეების შემცირებას, რაც ოპოზიციამ ეკლესიის უფლებათა შელახვად აღიქვა.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ეკლესია აქტიურად ქომაგობდა სახელმწიფოს აღმშენებლობას, გაძლიერებასა და განმტკიცებას.

ქრისტიანული ეკლესია და სახელმწიფო ურთიერთობა საქართველოში

მთავარეპისკოპოსი ანანია (ჯაფარიძე)

საქართველოს საპატრიარქო
თბილისი, საქართველო

გარეჯის ქვაბოვანი სავანეების საისტორიო გეოგრაფიის საკითხები

თემო ჯოჯუა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
თბილისი, საქართველო

გარეჯის ცალკეული ქვაბოვანი სავანეების გეოგრაფიული მდებარეობის და, განსაკუთრებით, მათი სახელწოდებების შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს, რაც სამონასტრო ცხოვრების კვლევისას მრავალ აღრევასა და გაურკვევლობას იწვევს. წინამდებარე მოხსენებაში დავადგინეთ: ა) გარეჯის მრავალმთაში დღეისთვის გამოვლენილი ქვაბოვანი სავანების სრული ნუსხა და რუკაზე დავიტანეთ თითოეული მათგანის ზუსტი გეოგრაფიული მდებარეობა; ბ) თავი მოვუყარეთ გარეჯის ქვაბოვანი სავანეების წერილობით წყაროებში დადასტურებულ სახელწოდებებს და გავარკვიეთ მათი ქრონოლოგიური, გეოგრაფიული და სემანტიკური ურთიერთმიმართება.

რელიგიური ტოლერანტობისაკენ

ეპისკოპოსი გერტ ჰუმელი

ევანგელისტურ-ლუთერანული ეკლესია საქართველოში
თბილისი, საქართველო

ეროვნული
ბიბლიოთეკა